<b>V ეკოლოგიას §44</b> ცყვლისა და ხმელელიანება დანართისა და ხმელელიანება	<p><b>ბიოლ.</b> XI.8.3. ანალიზებს ეკოსისტემაში ენერგიის ნაკალის შემცირების მიზანშის და ასაბუთებების ბიოგენური ელემენტების შენარჩუნების მნიშვნელობას ეკოსისტემაში (მაგ., ჩ., ნორუნები);</p> <p><b>ბიოლ.</b> XI.8.4. მოძიებს ინფორმაციას ლოკალურ გარემოში არსებული დამაპირდებული ნივთიერებების (მაგ., მტამე მეტალები, ზოგიერთი ჰესტიკილი, სასუები) შესახებ და სემატურად გამოსახავს მცოდნებაში ამ ნივთიერებების მიმოკვევას და დაგროვებას;</p> <p><b>ბიოლ.</b> XI.9.4. აგროვებს ინფორმაციას ლოკალურ ეკოსისტემაზე ანთოლოგენური ფაქტორების ზემოქმედების შესახებ, მასალას წარმოადგენს რეფერატის, ფოტომასალის ან ჩანახატების სახით, გამოთქვას მოსაზრებას ამ პროცესში თავიდან აცილების გზების შესახებ;</p> <p><b>ბიოლ.</b> XI.9.5. ანალიზებს გარემოს დაპირდისების შესვებად ნარმოქმნილ რისკებს, ასახელებს მაგალითებს, დაგრამობებისა და/ან პერიოდული ასაბუთების დაბინძურებების უარყოფით ზეგავლენას აღამიანის ჯანმრთელობაზე, კვლეული სახეობების გავრცელებაზე და სხვა;</p> <p><b>კვლ.</b> XI.4. მოსწავლეს შეუძლია მონაცემთა ანალიზი და შეფასება.</p>	<p><b>ბიოლ.</b> XI.8.5. აღამიანის ორგანიზმი მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების საფუძველზე გამოიყენება გარაუდს ენერგიის გადაცემასა და ნივთიერებების მომრცევას ადამიანის ადგილის შესახებ.</p> <p><b>ბიოლ.</b> XI.9.4. აგროვებს ინფორმაციას ლოკალურ ეკოსისტემაზე ანთოლოგენური ფაქტორების ზემოქმედების შესახებ, მასალას წარმოადგენს რეფერატის, ფოტომასალის ან ჩანახატების სახით, გამოთქვას მოსაზრებას ამ პროცესში თავიდან აცილების გზების შესახებ;</p> <p><b>კვლ.</b> XI.4. მოსწავლეს შეუძლია მონაცემთა ანალიზი და შეფასება.</p>	<p><b>ბიოლ.</b> XI.10. მოსწავლეს შეუძლია იმსჯელოს ადამიანის ყოფისათვის მიკროორგანიზმების სასარგებლობა და საზიანო თვისებების მნიშვნელობაზე.</p> <p><b>ბიოლ.</b> XI.10.1. ახლებს ბატონიების, საკვების, კორუსტუმისა და სხვა მციროორგანიზმების კლასიფიკირებას, სახელების მათ მიერ გამოწვეულ ზოგიერთ დაავალებას და მსჯელობს ამ დავალებების გზებზე;</p> <p><b>ბიოლ.</b> XI.10.6. მსჯელობს ანტიაბოტიკების მნიშვნელობასა და ეფექტუალობაზე, გამოყენების სპეციფიკაზე;</p> <p><b>კვლ.</b> XI.1. მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს კვლევის საგანი და კვლევის უზრუნველყოფა.</p> <p><b>კვლ.</b> XI.2. მოსწავლეს შეუძლია კვლევითი პროცედურის განხორციელება/მოაცილების აღნირება.</p> <p><b>კვლ.</b> XI.3. მოსწავლეს შეუძლია მონაცემთა წარმოდგენა სხვადასხვანი საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.</p>
<b>VI აღამანი და მიკროორგანიზმები §46</b> ინფექციების ასახვის კონტროლი კონსისტორების მართვა გურები და გავვარება	<p><b>VII აღამანი და მიკროორგანიზმები §46</b> ინფექციების ასახვის კონტროლი კონსისტორების მართვა გურები და გავვარება</p>	<p><b>VI აღამანი და მიკროორგანიზმები §46</b> ინფექციების ასახვის კონტროლი კონსისტორების მართვა გურები და გავვარება</p>	27

1	2	3
<b>VI</b> ალამიანი და მიკროზოგანარების ნიზამითი	<p><b>ბიოლ. XI.10.</b> მოსწავლის შეუძლია იმსჯელოს აღამიანს ყოფისათვის მიკროორგანიზმების სასარგებლო და საზიანო თვისებების მნიშვნელობაზე.</p> <p><b>ბიოლ. XI.10.8.</b> ატონბაზერქნებს საკვებების/ნეტლის დაბინძურებების რისკებს და საუპრობს ამ რისკების შემცირების გზეზე, ალნერს წყლის ბიოლოგიური განწმენდის მეთოლს. <b>კვლ. XI.3.</b> მოსწავლის შეუძლია მონაცემთა ნარჩოლებენა სახვალასხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.</p> <p><b>კვლ. XI.3.</b> მოსწავლის შეუძლია მონაცემთა ნარჩოლებენა სტრადასხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.</p> <p><b>კვლ. XI.4.</b> მოსწავლის შეუძლია მონაცემთა ანალიზი და შეფასება.</p>	
<b>VI</b> ალამიანი და მიკროზოგანარების ნიზამითი	<p><b>ბიოლ. XI.10.2.</b> მოიპოვებას ინფორმაციას ადამიანის მიუწოდევფიციტის ვირუსით (აივ) და ინფილტრულ პარეტში სხვადასხვა დავადების მიმდინრობის შესახებ;</p> <p><b>ბიოლ. XI.10.3.</b> აღვენს კოთხვას და ატარებს სოციალურ კვლევას შედესი და მისი გაფრაცელების შესახებ;</p> <p><b>ბიოლ. XI.10.4.</b> მშავლის გარკვეული დაავალებისაგან ორგანიზმის თავიდაცვის უნარზე და იმუნიზაციის მნიშვნელობაზე;</p> <p><b>კვლ. XI.4.</b> მოსწავლის შეუძლია მონაცემთა ანალიზი და შეფასება.</p>	2
<b>VI</b> ალამიანი და მიკროზოგანარების ნიზამითი	<p><b>ბიოლ. XI.10.</b> მოსწავლის შეუძლია იმსჯელოს აღამიანს ყოფისათვის მიკროორგანიზმების სასარგებლო და საზიანო თვისებების მნიშვნელობაზე.</p> <p><b>ბიოლ. XI.10.1.</b> ახლებს ბაქტერიუმების, სოკონიჟების, ასონის გამოწვევულ ზოგიერთ დაავალებას და მსჯელობს ამ კლასიფიცირებას, ასახელებს მათ მეტ გამოწვევულ დაავალებას გზეზე;</p> <p><b>კვლ. XI.4.</b> მოსწავლის გაფრაცელების გზეზე მონაცემთა ანალიზი და შეფასება.</p>	2
<b>VI</b> ალამიანი და მიკროზოგანარების ნიზამითი	<p><b>ბიოლ. XI.10.</b> მოსწავლის შეუძლია იმსჯელოს აღამიანს ყოფისათვის მიკროორგანიზმების სასარგებლო და საზიანო თვისებების მნიშვნელობაზე.</p> <p><b>ბიოლ. XI.10.1.</b> ახლებს ბაქტერიუმების, სოკონიჟების, ასონის გამოწვევულ დაავალებას და საენერგეტიკული გავრცელების გზეზე;</p> <p><b>კვლ. XI.4.</b> მოსწავლის შეუძლია მონაცემთა ანალიზი და შეფასება.</p>	2

1	2	3
<b>VI</b> ადამიანი და მისლორგენი ნიზებაზი <b>§50</b> სასალგებლო მიკლოლგანიზ- მები სიკონების გამოყენებას პუნქტოს განვითარების საგანი და კვლევის ეტაპზე. კვლ. <b>XI.1.</b> მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს კვლევის საგანი და კვლევის ეტაპზე. კვლ. <b>XI.2.</b> მოსწავლეს შეუძლია კვლევითი პროცედურის განხორციელება/მონაცემების აღ- რიცხვა. კვლ. <b>XI.4.</b> მოსწავლეს შეუძლია მონაცემთა ანალიზი და შეფასება.	1	2

## გაპვეთილების სცენარები

### I ორგანიზმთა გამრავლება და განვითარება

#### §3

პიპოთება: ერთი გენი — ერთი ცილი

შესატყვისობა სასწავლო გეგმასთან  
მიმართულება: ცოცხალი სამყარო

შედეგი:

- ბიოლ.XI.5.6. განიხილავს დნმ-ის კოდს და ახასიათებს გენს როგორც დნმ-ის მონაკვეთს, რომელიც კონკრეტული ცილის სინთეზს განსაზღვრავს.
- კვლ. XI. 2. მოსწავლეს შეუძლია კვლევითი პროცედურის განხორციელება / მონაცემების აღრიცხვა.
- კვლ. XI. 4. მოსწავლეს შეუძლია მონაცემთა ანალიზი და შეფასება.

გავეტილის მიზანი:

მოსწავლეები გაეცნონ მოლეკულური ბიოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მეთოდის — ელექტროფორეზის პრინციპებს და შეძლონ ელექტროფორეგრამის ანალიზით ცილის მოლეკულის თვისებებზე მსჯელობა.


აქტივობები	მოსწავლეთა ორგანიზება	დროის განაწილება	შეფასების ფორმა
საშინაო დავალების შემოწმება	ინდივიდუალური, მთელი კლასი	5 წთ.	დაკვირვება
ახალი მასალის წარდგენა	მთელი კლასი	25 წთ.	დაკვირვება მოსწავლეთა აქტიურობაზე ახალი მასალების წარდგენის პროცესში
პრაქტიკული სამუშაო	ინდივიდუალური	10 წთ.	დაკვირვება მოსწავლეთა ინდივიდუალურად მუშაობაზე
საშინაო დავალების პირობის გაცნობა	ინდივიდუალური	5 წთ.	დაკვირვება

#### გაპვეთილის მსვლელობა

ახალი მასალის წარდგენა:

მიმართეთ კლასს: თანამედროვე ბიოლოგიაში ცილებისა და დნმ-ის მოლეკულების თვისებებისა და მათი მოქმედების შესანავლად, ხშირად ელექტროფორეზის მეთოდს

მიმართავენ. მეთოდის პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ განსხვავებული ზომისა და ელექტრული მუხტის მქონე ნივთიერებები ელექტრულ ველში მოძრაობისას განსხვავებულ მანძილს გადიან. უჩვენეთ სახელმძღვანელოში (გვ.16) ელექტროფორეზის აპარატისა და მასში მიმდინარე პროცესის ამსახველი ილუსტრაცია.




განუმარტეთ: ელექტროფორეზის აპარატში მოთავსებულია ჟელესმაგვარი ნივთიერებისგან, ე.წ. გელისგან დამზადებული ფირფიტა. გელს ბადისებრი სტრუქტურა აქვს. მასში გადაადგილებას განსხვავებული ზომის მოლეკულები სხვადასხვაგვარად ახერხებს.

გელზე გამოსაკვლევი ნივთიერების ხსნარს აწვეთებენ. ფირფიტის ერთ ბოლოს უარყოფითად დამუხტულ ელექტროდთან აერთებენ, მეორეს კი — დადებითად დამუხტულთან. ელექტრული დენის ჩართვის შემდეგ ნივთიერებები მოძრაობას იწყებს. უარყოფითად დამუხტული ნივთიერება დადებითად დამუხტული ელექტროდისკენ მიემართება და პირიქით. თუმცა, დიდი ზომის მოლეკულების მოძრაობას ბადის ნინაალმდეგობა აფერხებს. მცირე ზომის მოლეკულები ადვილად ძვრება ბადის ხვრელებში. ელექტრული დენის ჩართვიდან რამდენიმე საათში ნივთიერებები საბოლოოდ დაიკავებს ფირფიტაზე მუხტისა და ზომის შესაბამის ადგილს. გარკვეული ნივთიერებით დამუშავების შემდეგ, ეს ადგილები ზოლების, ანუ ფრაქციების სახით გამოჩნდება. გელზე მიღებულ ამ სურათს ელექტროფორეგრამა ეწოდება.

დახატეთ დაფაზე სქემა:

მიმართეთ კლასს: წარმოიდგინეთ, რომ გელის ფირფიტაზე დატანილია ხსნარი, რომელიც ორ სხვადასხვა ცილას შეიცავს. მათ ერთნაირი ზომები აქვს. გელის ბადის სტრუქტურაში ორივეს თავისუფლად შეუძლია მოძრაობა. ერთი ცილა დადებითადაა დამუხტული, ხოლო მეორე — უარყოფითად. როგორ პოზიციას დაიკავებს გელზე ცილის ეს მოლეკულები ელექტროფორეზის დროს?



შერჩევითად გამოიძახეთ რომელიმე მოსწავლე და სთხოვეთ, ნარმოადგინოს ცილის მოლეკულების განლაგება გელის ფირფიტაზე ელექტროფორეზის დასრულების შემდეგ. სურათი ასე უნდა გამოიყურებოდეს:




ამის შემდეგ დაფაზე ნარმოადგინეთ შემდეგი სქემა:

მიმართეთ კლასს: ამჯერად გელზე დატანილია ორი უარყოფითად დამუხტული ცილა. ისინი მხოლოდ ზომით განსხვავდება. ბადის სტრუქტურა ისეთია, რომ პატარა ცილა ადვილად ძვრება ბადის ხვრელებში, ხოლო დიდი ვერ ახერხებს მისი წინააღმდეგობის გადალახვას.

სთხოვეთ რომელიმე სხვა მოსწავლეს, ნარმოადგინოს ცილის ნარევის ელექტროფორეგრამა.




ელექტროფორეგრამა ასე უნდა გამოიყურებოდეს:



იმაში გასარკვევად, თუ რამდენად კარგად გაიაზრა კლასმა ელექტროფორეზის პრინციპი, დაურიგეთ მოსწავლეებს დანართი 2 და მიეცით დრო სამუშაოს შესასრულებლად.


## დანართი 2

- ნარმოიდგინე, რომ გელზე დატანილია ხსნარი, რომელიც სხვადასხვა ცილის ნარევს წარმოადგენს. ცილები ერთმანეთისგან ზომებითა და მუხტით განსხვავდება. „ჩართე“ ელექტროფორეზის აპარატი და გვიჩვენე, როგორ გადანაწილდება ცილის მოლეკულები გელზე.



- დავუშვათ, რომ ილუსტრაცია ცილის მოლეკულაზე საჭმლის მომნელებელი ორი ფერმენტის მოქმედების შედეგს ასახავს.  
პირველ ბილიკზე ცილის მოლეკულაა, მეორესა და მესამეზე კი ამ ცილაზე სხვა-დასხვა ფერმენტის მოქმედების შედეგად წარმოქმნილი ცილის ფრაგმენტები.  
 a. რა ჰქვია ამ ფერმენტებს?  
 b. ცილის რამდენ უბანს „უტევს“ თითოეული მათგანი?  
 c. როგორ ფიქრობ, საჭმლის მომნელებელი სისტემის რომელ განყოფილებაში მოქმედებენ ისინი?

- a. ....  
 b. ....  
 c. ....



# I ორგანიზმთა გამრავლება და განვითარება

## §6

სქესობრივი გამრავლების ფორმები  
გამეტების აგებულება  
გამეტოგენეზი  
მეიოზი

შესატყვისობა სასწავლო გეგმასთან  
**მიმართულება:** ცოცხალი სამყარო

### შედეგი:

- კვლ. XI.5.** მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს ორგანიზმთა გამრავლებისა და ინ-დივიდუალური განვითარების ფორმები.
- კვლ. XI.5.4.** იყენებს/ადგენს მეოზის სქემატურ მოდელს და აკავშირებს ქრომო-სომებისა და მათი უბნების განაწილებას გენეტიკურ ცვალებადობას-თან.

### გაკვეთილის მიზანი:

გაეცნოს მეოზის პროცესს. შესძლოს განასხვაოს ერთმანეთისაგან მიტოზისა და მეიოზის ფაზები.

აქტივობები	მოსწავლეთა ორგანიზება	დროის განაწილება	შეფასების ფორმა
საშინაო დავალების შემოწმება	მთელი კლასი	5 წთ.	დაკვირვება
ახალი მასალის წარდგენა ილუსტრაციებითა და დისკუსიით	მთელი კლასი	35 წთ.	დაკვირვების გზით ახალი ინფორმაციის აღქმისა და დასკვნების გაკეთების უნარების შეფასება
საშინაო დავალების პირობის გაცნობა	მთელი კლასი	5 წთ.	

### გაკვეთილის მსვლელობა

განუმარტეთ მოსწავლეებს: სქესობრივ გამრავლებაში ორი ინდივიდი — მდედრობითი და მამრობითი მონაწილეობს. ახალი ორგანიზმი გამეტების შერწყმით წარმოიქმნება.

ჰქონდეთ მოსწავლეებს: სად ხდება ცხოველებში სპერმატოზოიდებისა და კვერცხუჯრედების წარმოქმნა?

მოსწავლეები პასუხობენ: ცხოველებში სპერმატოზოიდების წარმოქმნა სათესლეებში ხდება, ხოლო კვერცხუჯრედების — საკვერცხეებში.

ჰკითხეთ მოსწავლეებს: რა ჰქვია გამეტების წარმოქმნისა და ფორმირების პროცესს?

მოსწავლეები პასუხობენ: კვერცხუჯრედების წარმოქმნის პროცესს ოვოგენეზი ჰქვია, ხოლო სპერმატოზოიდების წარმოქმნის პროცესს — სპერმატოგენეზი. გამეტების ფორმირების პროცესს გამეტოგენეზი ეწოდება.

განუმარტეთ მოსწავლეებს: გამეტოგენეზი შედგება სამი — გამრავლების, ზრდისა და მომწიფების ფაზისაგან. მომწიფების ფაზაში პირველადი სასქესო უჯრედები მეიოზურად იყოფა. მეიოზური გაყოფის დანიშნულება გამეტებში ქრომოსომათა რიცხვის განახევრებაა, რათა მდედრობითი და მარობითი გამეტების შერწყმისას კვლავ აღდგეს სახეობისთვის დამახასიათებელი ქრომოსომათა კომპლექტი.


მეიოზი ერთმანეთის მომდევნო პირველი და მეორე მეიოზური გაყოფისგან შედგება. მეიოზის ორივე გაყოფა მოიცავს პროფაზას, მეტაფაზას, ანაფაზასა და ტელოფაზას.

უჩვენეთ მოსწავლეებს მეიოზის მიმდინარეობის სქემა.

### მეიოზი I



### მეიოზი II



მიმართეთ კლასს: პირველი მეიოზური გაყოფის წინ, ინტერფაზაში ქრომოსომებში დნმ-ის რაოდენობა ორმაგდება. ცენტრიოლები ერთმანეთს შორდება და პოლუსების-კენ მიემართება.

ჰკიოთხეთ მოსწავლეებს: თუ მეიოზის პირველი გაყოფის წინ უჯრედში ოთხი ქრომოსომა იყო, რამდენი ქრომოსომა და რამდენი ქრომატიდი იქნება მასში ინტერფაზის ბოლოს?

მოსწავლეები პასუხობენ: უჯრედში ისევ ოთხი ქრომოსომა იქნება, ხოლო ქრომატიდი — რვა.

განუმარტეთ მოსწავლეებს: მეიოზის პირველი გაყოფის პროფაზაში ქრომატიდები სპირალურად ეხვევა და მოკლდება. ამიტომ კარგად ჩანს ქრომოსომების ფორმა და ზომა. ამავე ფაზაში ბირთვი ქრება, იშლება ბირთვის გარსი და ქრომოსომები ციტოპლაზმაში აღმოჩნდება. ამის შემდეგ, თითოეული ქრომოსომა პოულობს „თავის პარტნიორ“ პომოლოგიურ ქრომოსომას და მას მჭიდროდ ჩაევრიხება. ამ პროცესს კონიუგაცია ჰქვია. კონიუგაციის დროს, ზოგჯერ პომოლოგიურ ქრომოსომებს შორის მონაკვეთების გაცვლა — კროსინგოვერი ხდება.

სთხოვეთ ერთ-ერთი მოსწავლეს გამოვიდეს დაფასთან და გიჩვენოთ ქრომოსომების ის მონაკვეთები, რომელთა შორისაც კროსინგოვერი მოხდა.

განუმარტეთ მოსწავლეებს: მეტაფაზაში პომოლოგიური ქრომოსომები ერთმანეთის პირისპირ, უჯრედის ეკვატორულ სიბრტყეში განლაგდება. ქრომოსომების ცენტრომერებს მიკრომილაკები უკავშირდება.

ჰკიოთხეთ კლასს: რით განსხვავდება პირველი მეიოზური გაყოფის მეტაფაზა მიტოზის მეტაფაზისგან?

მოსწავლეები პასუხობენ: პირველი მეიოზური გაყოფის მეტაფაზაში ეკვატორულ სიბრტყეში პომოლოგიური ქრომოსომების წყვილები ლაგდება, მიტოზის მეტაფაზაში კი პომოლოგიური წყვილიდან მხოლოდ ერთი ქრომოსომა.

განუმარტეთ მოსწავლეებს: ანაფაზაში პომოლოგიური ქრომოსომები ერთმანეთს სცილდება და თითისტარას ძაფებს ისინი უჯრედის პოლუსებისკენ მიაქვს.

ჰკიოთხეთ მოსწავლეებს: ხედავთ განსხვავებას პირველი მეიოზური გაყოფისა და მიტოზის ანაფაზას შორის?

მოსწავლეები პასუხობენ: პირველი მეიოზური გაყოფის ანაფაზაში ერთმანეთს პომოლოგიური ქრომოსომები სცილდება, მიტოზის ანაფაზაში კი — ერთი ქრომოსომის შვილეული ქრომოსომები.

მიმართეთ კლასს: ტელოფაზაში პომოლოგიური ქრომოსომების პოლუსებზე გადანანილებას მოსდევს ციტოპლაზმის ორად გაყოფა. წარმოიქმნება ორი შვილეული უჯრედი.

ჰკიოთხეთ მოსწავლეებს: ქრომოსომათა როგორ კომპლექტს შეიცავს შვილეული უჯრედები? დნმ-ის რამდენ მოლეკულას — ქრომატიდს შეიცავს თითოეული ქრომოსომა?

თუ მოსწავლეებმა სწორად აღიქვეს თქვენ მიერ გადაცემული მასალა, ისინი პასუხობენ: შვილეული უჯრედები შეიცავს ქრომოსომათა განახევრებულ რაოდენობას, ანუ თითოეულ უჯრედში ორ-ორი ქრომოსომაა, ხოლო თითოეული ქრომოსომა ორი ქრომატიდისგან შედგება.

ჰკიოთხეთ მოსწავლეებს: რა განსხვავებას ხედავთ პირველი მეიოზური და მიტოზური გაყოფის შედეგად წარმოქმნილი უჯრედების ქრომოსომულ კომპლექტებს შორის? მოსწავლეები პასუხობენ: პირველი მეიოზური გაყოფის შედეგად მიღებული შვილეუ-


ლი უჯრედები ქრომოსომათა ჰაპლოიდურ კომპლექტს შეიცავს და თითოეული ქრომოსომა ორი ქრომატიდისგან შედგება. მიტოზის შედეგად წარმოქმნილი უჯრედები ქრომოსომათა დიპლოიდურ რაოდენობას შეიცავს, ხოლო თითოეული ქრომოსომა ერთ ქრომატიდს.

განუმარტეთ მოსწავლეებს: პირველ მეიოზურ გაყოფას სწრაფად მოსდევს მეორე მეიოზური გაყოფა, რომელსაც ინტერფაზა და, შესაბამისად, დნმ-ის გაორმავება წინ არ უძღვის. მეორე მეიოზური გაყოფის პროფაზაში ირლვევა ორივე უჯრედის ბირთვის გარსი და ქრომოსომები ციტოპლაზმაში გადადის. ქრომოსომების ცენტრომერებს თითისტარას ძაფები უკავშირდება. მეტაფაზაში ორივე უჯრედის ქრომოსომები ეკვატორულ სიბრტყეში ლაგდება. ანაფაზაში თითისტარას ძაფები მოკლდება, ქრომოსომების შემცველი ქრომატიდები ერთმანეთს შორდება და უჯრედის პოლუსებისკენ გადაიტანება. ტელოფაზაში იყოფა ორივე უჯრედის ციტოპლაზმა. ორი უჯრედიდან ოთხი მიიღება.

ჰკიოთხეთ მოსწავლეებს: ქრომოსომათა როგორ კომპლექტს შეიცავს თითოეული უჯრედი და რამდენი ქრომატიდისგან შედგება თითოეული ქრომოსომა?

მოსწავლეები პასუხობენ: თითოეული უჯრედი შეიცავს ქრომოსომთა ჰაპლოიდურ რაოდენობას, კერძოდ, 2-2 ქრომოსომას. თითოეული ქრომოსომა ერთი ქრომატიდისგან შედგება.

წარუდგინეთ კლასს სქემა და ჰკიოთხეთ ერთ-ერთ მოსწავლეს: რა პროცესს ასახავს მოცემული სქემა? ამ სქემის რომელი დეტალი გამოდგება მიტოზის მარტივად წარმოსადგენად?



მოსწავლე სავარაუდოდ პასუხობს: ილუსტრაციაზე ნაჩვენებია მეიოზის პროცესის მარტივი სქემა. მიტოზის მარტივად წარმოსადგენად გამოდგება მეორე მეიოზური გაყოფა.

თუ გაქვთ ტექნიკური საშუალება, უჩვენეთ მოსწავლეებს ანიმაციური ფილმი მეიოზზე. ინტერნეტ გვერდის მისამართი სახელმძღვანელოშია მოცემული.

## II გენეტიკა

### §11, §12, §13, §14, §15

მემკვიდრეობითი ნიშნების გაღაცევა  
სძესი განსაზღვრის ძორომოსოფული მექანიზმი  
მემკვიდრული დაავადებები

შესატყვისობა სასწავლო გეგმასთან  
მიმართულება: ცოცხალი სამყარო

შედეგი:

- ბიოლ. XI.6. მოსწავლეს შეუძლია ჩამოაყალიბოს მემკვიდრეობითობის კანონები და იმსჯელოს ცვალებადობის ფორმებზე.
- ბიოლ. XI.6.3. ადგენს გენთა დამოუკიდებლად და შეჭიდულად მემკვიდრეობის სქემებს, ადარებს ერთმანეთს და მსჯელობს მათ შორის განსხვავებაზე, ასახელებს შესაბამის მაგალითებს;
- ბიოლ. XI.6.4. იყენებს ადამიანში სქესის განსაზღვრის სქემას და ადგენს ვაჟისა და გოგონას დაბადების ალბათობას;
- ბიოლ. XI.6.7. აღნერს ზოგიერთი გენეტიკური დაავადების მემკვიდრეობის ხასიათს. აგროვებს და წარმოადგენს მასალას მათი პროფილაქტიკის ან მკურნალობის პერსპექტივის შესახებ;
- ბიოლ. XI.6.8. გენეტიკური ამოცანების გადაჭრისას იყენებს მონაცემთა ანალიზს, სტატისტიკისა და ალბათობის თეორიის ელემენტებს;
- კვლ. XI.3. მოსწავლეს შეუძლია მონაცემთა წარმოდგენა სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით.
- კვლ. XI.4. მოსწავლეს შეუძლია მონაცემთა ანალიზი და შეფასება.

შემაჯამებელი გაკვეთილი

გაკვეთილის მიზანი:

თემის შესაბამისი განვლილი მასალის ათვისების შემოწმება (§11-დან §15 -ის ჩათვლით).

რესურსი:

ორ ვარიანტად შედგენილი საკონტროლო კითხვები, ტესტები და ამოცანები.

გაკვეთილის მსვლელობა

დაყავით კლასი ორ ჯგუფად და დაურიგეთ ქვემოთ მოცემული ვარიანტები.  
მიეცით განსაზღვრული დრო სამუშაოს შესასრულებლად (40 წუთი).

## I ვარიანტი

1. ალბინიზმს განსაზღვრავს **a** გენი, ხოლო კანისა და თმის ნორმალურ პიგმენტაციას **A** გენი. როგორი ფენოტიპები ექნებათ ინდივიდებს, თუ მათი გენოტიპია: **AA, Aa, aa?**
2. ჯანმრთელ მშობლებს დალტონიზმით დაავადებული შვილი შეეძინათ. რომელი სქესის იქნება ახალშობილი? ეს ქორნინება და მისი შედეგები წარმოადგინეთ სქემატურად.
3. ჰემოფილით დაავადებული მამაკაცი დაქორნინდა ჯანმრთელ ქალზე, რომლის მამა ჰემოფილით იყო დაავადებული. როგორია ალბათობა იმისა, რომ მათი შვილი ჰემოფილით იქნება დაავადებული?
4. თაფლისფერთვალა მამაკაცსა და ცისფერთვალა ქალს ორი თაფლისფერთვალა შვილი ჰყავთ. შესაძლებელია თუ არა, მათ ცისფერთვალა შვილი ეყოლოთ? პასუხი სქემატურად წარმოადგინეთ.
5. როგორი რეზუსის მქონე შვილები ეყოლებათ მშობლებს, რომელთაგან ერთს რეზუს-დადებითი (**R**), ხოლო მეორეს რეზუს-უარყოფითი (**r**) სისხლი აქვს?
6. მსოფლიოში რეგისტრირებულია 3, 4, 5 და მეტი იდენტური ტყუპის გაჩენის შემთხვევები. აღწერეთ როგორ ვითარდება 4 იდენტური ტყუპი?
7. რატომ არ გადაეცემა მემკვიდრეობით დაუნის სინდრომი?
8. რომელ ქრომოსომაშია ლოკალიზებული თანდაყოლილი ყრუ-მუნჯობის გენი:
  - აუტოსომაში;
  - სასქესო ქრომოსომაში;
  - უ სასქესო ქრომოსომაში.
9. აქონდროპლაზიით დაავადებული ქალი ცოლად გაჰყვა ნორმალური სიმაღლის მამაკაცს, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ ნორმალური სიმაღლის შვილები ეყოლებოდა, რადგან მის გვარში ჯუჯა არავინ ყოფილა. როგორი შთამომავლობაა მოსალოდნელი ამ ქორნინებიდან?


## II ვარიანტი

1. სწორ თმას განაპირობებს **c** გენი, ხოლო ხუჭუჭას — **C** გენი. როგორი ფენოტიპები ექნებათ ინდივიდებს, თუ მათი გენოტიპებია: **CC, Cc, cc?**
2. შექრიანი დიაბეტის ერთ-ერთ ფორმას აუტოსომაში ლოკალიზებული რეცესიული გენი განაპირობებს. რა შემთხვევაშია მოსალოდნელი შთამომავლებში ამ დაავადების დამემკვიდრება?
3. როგორი უნდა იყოს მშობლების გენოტიპები, ჰემოფილით დაავადებული გოგონა რომ დაიბადოს?
4. მუქთმიანი ქალი, რომელიც ცოლად უდალთმიან მამაკაცს გაჰყვა, დარწმუნებულია, რომ მისი ყველა შვილი უდალთმიანი იქნება. მართებულია მისი ვარაუდი?
5. შეიძლება თუ არა მამამ, რომელსაც 5 გოგონა ჰყავს, იმედი დაკარგოს, რომ ვაჟი შეეძინება?
6. იდენტური ტყუპიდან ერთ-ერთმა პლასტიკური ოპერაციით ტუჩისა და ცხვირის ფორმა შეიცვალა. გახდა თუ არა ამის შემდეგ ტყუპების გენოტიპი განსხვავებული? პასუხი დაასაბუთეთ.

- ბოლო ათწლეულის მანძილზე მკვეთრად მოიმატა მემკვიდრული დაავადებების რიცხვმა. რასთან უნდა იყოს ეს დაკავშირებული?
- მშობლებს, რომელთაც თანდაყოლილი სიელმე აქვთ, შეიძლება ჰქონდეთ იმის იმედი, რომ მათ ელამი შვილები არ ეყოლებათ?
- როგორი შესაძლო გენოტიპები შეიძლება ჰქონდეს არაქნოდაქტილიით დაავადებულებს?

## I ვარიანტის პასუხები


- AA, Aa გენოტიპის მქონე ინდივიდებს ექნებათ კანისა და თმის ნორმალური პიგ-მენტაცია, ვინაიდან მისი განმსაზღვრელი A გენი დომინანტურია. aa გენოტიპის მქონე ინდივიდი ალბინოსი იქნება.
- თუ მამა ჯანმრთელია, მისი გენოტიპი აუცილებლად  $X^D Y$  იქნება. ჯანმრთელი დედის გენოტიპი შეიძლება იყოს  $X^D X^D$  ან  $X^D X^d$ . რადგან დაიბადა დალტონიზმით დაავადებული შვილი, მას დედისგან უნდა მიეღო დალტონიზმის განმსაზღვრელი d გენი, ამიტომ დედის გენოტიპი იქნება  $X^D X^d$ . ეს ქორწინება სქემატურად ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:



	♂	$X^D$	Y
♀		$X^D$	$X^D Y$
	$X^D$	$X^D X^D$	$X^D Y$
	$X^d$	$X^D X^d$	$X^d Y$

ამ ქორწინებით დაბადებული გოგონები ჯანმრთელებიც იქნებიან და დალტონიზმის გენის მტარებლებიც, ხოლო ვაჟები — ჯანმრთელებიცა და დალტონიზმით დაავადებულებიც.

- ჰემოფილით დაავადებული მამაკაცის გენოტიპი იქნება  $X^h Y$ . თუ ჯანმრთელი ქალის მამა დაავადებული იყო ჰემოფილით, ის მამისგან აუცილებლად მიიღებდა ჰემოფილის h გენს. ამიტომ მისი გენოტიპი იქნება  $X^h X^h$ .  
ამ ქორწინების სქემატურად წარმოდგენის შემდეგ კი შესაძლებელი იქნება დაავადებული ბავშვის დაბადების ალბათობის დადგენა.




	♂	$X^h$	Y
♀		$X^H$	$X^H Y$
	$X^H$	$X^H X^h$	$X^H Y$
	$X^h$	$X^h X^h$	$X^h Y$

ამ ქორწინებით დაბადებული ვაჟებიცა და გოგონებიც იქნებიან როგორც ჯანმრთელები, ისე ჰემოფილით დაავადებულები.

4. თაფლისფერი თვალების (A) მქონე მამაკაცის გენოტიპი შეიძლება იყოს AA ან Aa. ცისფერთვალება ქალის (a) გენოტიპი კი აუცილებლად იქნება aa.


თუ მამას AA გენოტიპი აქვს, შეუძლებელი იქნება ცისფერთვალება შვილის დაბადება, ვინაიდან შვილმა ცისფერი თვალის განმსაზღვრელი a რეცესიული გენი ორივე მშობლისგან უნდა მიიღოს. ცისფერთვალება შვილები რომ დაიბადონ, მამის გენოტიპი Aa უნდა იყოს.

ეს ქორწინება სქემატურად ასე ჩაიწერება:




	A	a
♀	Aa	aa
a	Aa	aa
a	Aa	aa

5. რეზუს-დადებითობა დომინანტური ნიშანია (R), ხოლო რეზუს-უარყოფითობა — რეცესიული (r). თუ მამას რეზუს-უარყოფითი სისხლი აქვს, მისი გენოტიპი აუცილებლად იქნება rr. რეზუს-დადებით დედას შეიძლება ჰქონდეს როგორც RR, ისე Rr გენოტიპი.



	r	r
♀	Rr	Rr
R	Rr	Rr
R	Rr	Rr



	r	r
♀	Rr	Rr
R	Rr	Rr
r	rr	rr


დედის RR გენოტიპის შემთხვევაში დაიბადებიან რეზუს-დადებითი სისხლის მქონე შვილები.

დედის Rr გენოტიპის შემთხვევაში შვილებიდან ნაწილი რეზუს-დადებითი, ხოლო ნაწილი რეზუს-უარყოფითი სისხლის მქონე იქნება.


6. ჩანასახის განვითარების ადრეულ ეტაპებზევე ზიგოტა იყოფა ოთხ ნაწილად, რომელთაგანაც დამოუკიდებელი ორგანიზმები ვითარდება.
7. დაუნის სინდრომით დაავადებული უნაყოფოა, ამიტომ ეს დაავადება არ შეიძლება მემკვიდრეობით გადაეცეს.
8. ა.
9. აქონდროპლაზიას (ჯუჯობას) დომინანტური გენი (A) განსაზღვრავს. ამიტომ დედას ექნება AA ან Aa, მამას კი aa გენოტიპი, რადგან ის ჯანმრთელია. იმ შემთხვევაში, თუ დედას ექნება AA გენოტიპი, ყველა შვილი ჯუჯა იქნება. თუ დედის გენოტიპი Aa იქნება, მაშინ შთამომავლობის ნაწილი ჯანმრთელი, ხოლო ნაწილი ჯუჯა იქნება. ამიტომ მამის ვარაუდი არ გამართლდება.

## II გარიანტის პასუხები

1. CC, Cc გენოტიპის ინდივიდებს ხვეული თმები ექნებათ, ვინაიდან ეს ნიშან-თვისება დომინანტურია, cc გენოტიპის მქონე ინდივიდებს კი — სწორი.
2. იმის გამო, რომ შაქრიანი დიაბეტის ერთ-ერთ ფორმას აუტოსომაში ლოკალიზებული რეცესიული გენი განაპირობებს, მისი დამემკვიდრება შთამომავლებში შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი რეცესიულ გენებს ორივე მშობლისგან მიიღებენ.
3. ჰემოფილით დაავადებული გოგონა რომ დაიბადოს, მან აუცილებლად უნდა მიიღოს ჩ ჰემოფილის შემცველი X ქრომოსომა როგორც დედისგან, ისე მამის-გან. ამიტომ მამა უნდა იყოს ჰემოფილით დაავადებული — X<sup>h</sup>y, ხოლო დედა ან ჯანმრთელი მტარებელი — X<sup>h</sup>X<sup>h</sup>, ან დაავადებული — X<sup>h</sup>X<sup>h</sup>, რაც ძალზე იშვიათია. ორი ასეთი ადამიანის შეხვედრის ალბათობა ძალიან დაბალია, რადგან ჰემოფილით დაავადებულები, ძალიან იშვიათად აღწევენ რეპროდუქციულ ასაკს.




4. მუქთმიანი (A) ქალის გენოტიპი ამ ნიშნის მიხედვით AA ან Aa უნდა იყოს, ვინაიდან მუქთმიანობა დომინანტური ნიშანია. უღალთმიანი (a) მამაკაცის გენოტიპი კი aa იქნება, ვინაიდან სხვა გენოტიპის შემთხვევაში ეს რეცესიული ნიშანი არ გამოვლინდებოდა.
- დედის AA გენოტიპის შემთხვევაში ყველა შვილი მუქთმიანი იქნება, ვინაიდან



♀	♂	a	a
A		Aa	Aa
A		Aa	Aa


ყველა კვერცხუჯრედი დედის A გენის შემცველია. დედის Aa გენოტიპის შემთხვევაში კი დაიბადება როგორც მუქთმიანი, ისე ულალთმიანი შვილები.



♀	♂	a	a
A		Aa	Aa
a		aa	aa

დედის ვარაუდი, რომ ყველა შვილი ულალთმიანი იქნება, არ არის სწორი. ულალთმიანი შვილის დაბადება დამოკიდებულია არა მხოლოდ მამაზე, არამედ დედაზეც. მამას რომ არ ჰქონდა გენოტიპში a რეცესიული გენი, რომელიც მან წინაპრებისგან მიიღო, მათ ულალთმიანი შვილები არ ეყოლებოდათ.


5. მამამ იმედი არ უნდა დაკარგოს, ვინაიდან გოგონებისა და ვაჟების დაბადების ალბათობა და სიხშირე თანაბარია.



♀	♂	X	Y
X		XX	XY
X		XX	XY

6. გენოტიპები იდენტურ ტყუპებს ისევ ერთნაირი ექნება, ვინაიდან პლასტიკური ოპერაციით იცვლება მხოლოდ ფენოტიპი და არა გენოტიპი.
7. ბოლო ათწლეულის მანძილზე მემკვიდრული დაავადებების რიცხვის მკვეთრი მომატება დაკავშირებულია გარემოს ეკოლოგიურ დაბინძურებასთან. ადამიანის გენოტიპი სულ უფრო ექვემდებარება მის დამაზიანებელ მოქმედებას.

8. იმის გამო, რომ სიელმე რეცესიული (s) ნიშანია, ორივე მშობელს ამ ნიშნით უნდა ჰქონდეს ss გენოტიპი. ამიტომ თავისთავად ცხადია, რომ მათი ყველა შვილი ელამი (ss) იქნება.



 	S	S
S	SS	SS
S	SS	SS

ნარმოგიდგენთ ამ ქორწინების სქემას.

მშობლებს იმედი არ უნდა ჰქონდეთ, რომ მათ ელამი შვილები არ ეყოლებათ.

9. არაქნოდაქტილიას დომინანტური გენი განსაზღვრავს. თუ დომინანტურ გენს A-ით აღვნიშნავთ, მაშინ დაავადებულის გენოტიპი AA ან Aa იქნება.

შემაჯამებელი მეცადინეობა შეაფასეთ შემდეგი კრიტერიუმით:

	1-3	4-5	6-7	8-10
პასუხების ფაქტობრივი საიმედოობა	სწორად პასუხობს საკითხთა 20-30 %-ს	სწორად პასუხობს საკითხთა 40-50 %-ს	სწორად პასუხობს საკითხთა 60-70 %-ს	სწორად პასუხობს საკითხთა 80-100 %-ს

## II გენეტიკა

### §11, §12, §13, §14, §15

მემკვიდრეობითი ნიშნების გადაცემა  
სძესი განსაზღვრის პროცესომული მექანიზმი  
მემკვიდრული დავალებები

შესატყვისობა სასწავლო გეგმასთან  
მიმართულება: ცოცხალი სამყარო

შედეგი:

- ბიოლ. XI.6.** მოსწავლეს შეუძლია ჩამოაყალიბოს მემკვიდრეობითობის კანონები და იმსჯელოს ცვალებადობის ფორმებზე.
- ბიოლ. XI.6.3.** ადგენს გენთა დამოუკიდებლად და შეჭიდულად მემკვიდრეობის სქემებს, ადარებს ერთმანეთს და მსჯელობს მათ შორის განსხვავებაზე, ასახელებს შესაბამის მაგალითებს;
- ბიოლ. XI.6.4.** იყენებს ადამიანში სქესის განსაზღვრის სქემას და ადგენს ვაჟისა და გოგონას დაბადების ალბათობას;
- ბიოლ. XI.6.7.** აღნერს ზოგიერთი გენეტიკური დაავადების მემკვიდრეობის ხასიათს. აგროვებს და წარმოადგენს მასალას მათი პროფილაქტიკის ან მკურნალობის პერსპექტივის შესახებ;
- ბიოლ. XI.6.8.** გენეტიკური ამოცანების გადაჭრისას იყენებს მონაცემთა ანალიზს, სტატისტიკისა და ალბათობის თეორიის ელემენტებს;
- კვლ. XI.3.** მოსწავლეს შეუძლია მონაცემთა წარმოდგენა სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით.
- კვლ. XI.4.** მოსწავლეს შეუძლია მონაცემთა ანალიზი და შეფასება.

შემაჯამებელი გაკვეთილი

გაკვეთილის მიზანი:

თემის შესაბამისი განვლილი მასალის ათვისების შემოწმება (§11-დან §15 -ის ჩათვლით).

**რესურსი:** ორ ვარიანტად შედგენილი საკონტროლო კითხვები, ტესტები და ამოცანები.

გაპვეთილის მსვლელობა

დაყავით კლასი 3 ჯგუფად და დაურიგეთ ქვემოთ მოცემული ვარიანტები.  
მიეცით განსაზღვრული დრო სამუშაოს შესასრულებლად (40 წთ.).

## I ვარიანტი

- რამდენი ალელით განისაზღვრება ბარდის ნაყოფის ფერი?
- რამდენი ტიპის გამეტას წარმოქმნის ორგანიზმი, რომლის გენოტიპია:

$$\frac{R}{R}, \frac{a}{a} \frac{B}{b}, \frac{KA}{ka}, X^Dy, X^cX^c.$$

- საზამთროს სადა შეფერილობა რცესიული ნიშანია, ხოლო ზოლიანი — დომინანტური. როგორი შთამომავლობა მიიღება ზოლიანი ნაყოფის მქონე ორი ჰეტეროზიგოტი მცენარის შეჯვარებისას?
- გულისაბას ყვავილების შეფერილობის დამემკვიდრება არასრული დომინირებით ხდება, ხოლო სიმაღლის — სრული დომინირებით. ნორმალური (B) სიმაღლე დომინირებს ჯუჯაზე (b).  
შეაჯვარეს ჰომოზიგოტი წითელყვავილიანი (A) ნორმალური სიმაღლის მქონე და თეთრყვავილიანი (a) ჯუჯა მცენარები. როგორი შთამომავლობა მიიღება  $F_1$  და  $F_2$  თაობაში?
- კბილების გამუქება X ქრომოსომასთან შეჭიდული დომინანტური ნიშანია.  
მუქი კბილების (M) მქონე მშობლებს შეეძინათ მუქკბილებიანი გოგონა და თეთრკბილებიანი (m) ვაჟი. როგორია ამ ოჯახში თეთრკბილებიანი ბავშვის დაბადების ალბათობა?

## II ვარიანტი

- რამდენი ტიპის გამეტას წარმოქმნის ორგანიზმი, რომლის გენოტიპია:

$$\frac{A}{a}, \frac{B}{b} \frac{C}{c}, \frac{AB}{ab}, X^W y^w, X^B y.$$

- რა შემთხვევაში მიმართავენ გამაანალიზებელ შეჯვარებას?
- წაულებში ბეწვის ყავისფერი შეფერილობა (B) დომინანტური ნიშანია, ცისფერი შეფერილობის (b) მიმართ. ყავისფერბეზვიანი ჰომოზიგოტი და ცისფერბეზვიანი წაულების შეჯვარებით  $F_2$  თაობაში მიღებული იყო 120 ლეკვი.
- რამდენი ტიპის გამეტის წარმოქმნა შეუძლია ცისფერ წაულას?
- რამდენი ტიპის გამეტას წარმოქმნიან  $F_1$ , თაობის ცხოველები?
- $F_2$  თაობის რამდენ ცხოველს აქვს ყავისფერი შეფერილობა?
- $F_2$  თაობის რამდენ ცხოველს აქვს ცისფერი შეფერილობა?
- რამდენი განსხვავებული გენოტიპი წარმოიქმნება  $F_2$  თაობაში?
- ვერცხლისფერ (S) ზოლიან (B) დედალთან შეაჯვარეს ოქროსფერი (s) უზოლო (b) მამალი. წინილებს შორის 25% ვერცხლისფერი ზოლიანი, 25% — ვერცხლისფერი უზოლო, 25% — ოქროსფერი ზოლიანი, 25% — ოქროსფერი უზოლო. სქემატურად წარმოადგინე აღნიშნული შეჯვარება.
- როგორი შეფერილობის ინდივიდები მიიღება ცისფერი და თეთრი, ცისფერი და შავი შეფერილობის ანდალუზიური ქათმების შეჯვარებით?

### III ვარიანტი

1. ამა თუ იმ ნიშნის განმსაზღვრელი ყოველი წყვილი ალელიდან რამდენი ალელი ხვდება ერთ გამეტაში?
2. რამდენი ტიპის გამეტას წარმოქმნის ორგანიზმი, რომლის გენოტიპია:


$$\frac{\mathbf{b}}{\mathbf{b}}, \frac{\mathbf{a}}{\mathbf{a}} \frac{\mathbf{D}}{\mathbf{D}}, \frac{\mathbf{R} \mathbf{Y}}{\mathbf{r} \mathbf{y}}, \mathbf{X^H y^h}, \mathbf{X^d y}.$$

3. ქათმებში ვარდისებრი ბიბილო ( $D$ ) დომინანტური ნიშანია, ხოლო მარტივი ( $d$ ) — რეცესიული. როგორი შთამომავლობაა მოსალოდნელი შემდეგი შეჯვარების შედეგად:
  - a.  $DD \times dd$
  - b.  $Dd \times DD$
  - c.  $dd \times dd$
  - d.  $Dd \times dd$
4. ღორებში ჯაგრის შავი შეფერილობა ( $A$ ) დომინირებს უღალზე ( $a$ ), გრძელი ჯაგარი ( $B$ ) — მოკლეზე ( $b$ ). განსაზღვრეთ შთამომავლობის გენოტიპები და ფენოტიპები, რომლებიც მიიღება:
  - a. შავი გრძელჯაგრიანი ჰეტეროზიგოტი ღორის შეჯვარებით უღალ მოკლეჯაგრიანთან;
  - b. შავი გრძელჯაგრიანი ჰომოზიგოტი ღორის შეჯვარებით უღალ მოკლეჯაგრიანთან;
5. სასამართლოზე ქალი ამტკიცებდა, რომ მამაკაცი მისი შვილის მამა იყო. არგუმენტად ბავშვისა და მამაკაცის საოცარი მსგავსება მოჰყავდა. მამაკაცი უარყოფდა მამობას. მოსამართლემ დაადგინა, რომ მამაკაცს I ჯგუფის სისხლი ჰქონდა, ხოლო ქალსა და ბავშვს — IV ჯგუფის. ვის სასარგებლოდ გადაწყვეტდა მოსამართლე ამ დავას?

## I ვარიანტის პასუხები


1. ბარდის ნაყოფის ფერი განისაზღვრება ნაყოფის შეფერილობის განმსაზღვრელი გენის ორი ალელით, რომლებიც წყვილ ჰომოლოგიურ ქრომოსომებშია ლოკალურებული.

2.



3. ამოცანის პირობის თანახმად, საზამთროს სადა შეფერილობა (**b**) რეცესიული ნიშანია, ხოლო ზოლიანი (**B**) — დომინანტური.  
ამიტომ ჰეტეროზიგოტი ზოლიანი საზამთროს გენოტიპი იქნება  $\frac{\mathbf{B}}{\mathbf{b}}$ .

ნარმოვადგინოთ სქემატურად ორი ჰეტეროზიგოტი ზოლიანი საზამთროს შეჯვარების სქემას:




♀	$\frac{\mathbf{B}}{\mathbf{b}}$	
	$\frac{\mathbf{B}}{\mathbf{b}}$	$\frac{\mathbf{b}}{\mathbf{b}}$
B	$\frac{\mathbf{B}}{\mathbf{B}}$	$\frac{\mathbf{B}}{\mathbf{b}}$
b	$\frac{\mathbf{b}}{\mathbf{B}}$	$\frac{\mathbf{b}}{\mathbf{b}}$
	$\frac{\mathbf{B}}{\mathbf{B}}$	$\frac{\mathbf{b}}{\mathbf{b}}$

**F<sub>1</sub>**

**F<sub>1</sub>** თაობის საზამთროებს შორის 3/4 ზოლიანია, ხოლო 1/3 — სადა.

4. გულისაბას ყვავილების ნითელი შეფერილობის განმსაზღვრელი დომინანტური ალელი აღვნიშნოთ **A**-თი, ხოლო თეთრი ფერის განმსაზღვრელი რეცესიული ალელის — **a**-თი. ღეროს ნორმალური სიგრძის განმსაზღვრელი დომინანტური ალელი აღვნიშნოთ **B**-თი, ხოლო ჯუჯას რეცესიული ალელი — **b**-თი. ნითელყვავილიანი ნორმალური სიმაღლის მქონე ორივე ნიშნით ჰომოზიგოტი მცენარის გენოტიპია  $\frac{\mathbf{A}}{\mathbf{A}} \frac{\mathbf{B}}{\mathbf{B}}$ , ხოლო, თეთრყვავილიანი ჯუჯა მცენარის  $\frac{\mathbf{a}}{\mathbf{a}} \frac{\mathbf{b}}{\mathbf{b}}$ .

ამოცანაში დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად წარმოვადგინოთ შეჯვარების სქემა ორი თაობის მანძილზე:



$F_1$  თაობაში  $\frac{A}{a} \frac{B}{b}$  გენოტიპის მქონე ყველა მცენარე ვარდისფერი ნორმალური

სიმაღლის იქნება, ვინაიდან შეფერილობის მიხედვით დომინირება არასრულია, ხოლო სიმაღლის მიხედვით — სრული.

$F_2$  თაობაში მიიღება ექვსი განსხვავებული ფენოტიპის მცენარე:

3/16 — ნითელყვავილიანი ნორმალური სიმაღლის;

1/16 — ნითელყვავილიანი ჯუჯა;

6/16 — ვარდისფერყვავილიანი ნორმალური სიმაღლის;

2/16 — ვარდისფერყვავილიანი ჯუჯა;

3/16 — თეთრყვავილიანი ნორმალური სიმაღლის;

1/16 — თეთრყვავილიანი ჯუჯა.

5. ვინაიდან კბილების გამუქება  $X$  ქრომოსომასთან შეჭიდული დომინანტური ნიშანია, მუქქბილებიანი დედის გენოტიპი შეიძლება იყოს  $X^M X^M$  ან  $X^M X^m$ , ხოლო მამის —  $X^m Y$ .

დედას რომ ჰქონდა გენოტიპი  $X^M X^M$ , ნიშნის დათიშვა არ მოხდებოდა და მათ შვილებს არ ექნებოდათ სხვადასხვა შეფერილობის კბილები. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ დედის გენოტიპია  $X^M X^m$ .

შევამოწმოთ ეს ვარაუდი:

P: ♀  $X^M X^m$   
G:  $X^M$   $X^m$

X  $\times$   $X^M y$  ♂  
 $X^M$   $y$


♀ ♂	$X^M$	y
	$X^M X^M$	$X^M y$
$X^m$	$X^M X^m$	$X^m y$

$F_1$   $X^M X^M$   $X^M y$   $X^M X^m$   $X^m y$   
♀ ♂ ♀ ♂

მუქებილებიანი მუქებილებიანი მუქებილებიანი თეთრებილებიანი

ამ ოჯახში მოსალოდნელი თეთრებილა ბავშვების ალბათობა შემდეგნაირია: ვაჟების 50%-ს ექნება თეთრი კბილები; ვაჟების 50%-ს და ყველა გოგონას მუქი კბილები ექნება.


## II გარიანტის პასუხები



- ფენოტიპურად ერთნაირი ინდივიდები გენოტიპის მიხედვით შეიძლება ჰომოზიგოტურებიც იყვნენ და ჰეტეროზიგოტურებიც. ერთნაირი ფენოტიპის მქონე ინდივიდების გენოტიპის დასადგენად გამაანალიზებელ შეჯვარებას მიმართავენ. ამ მიზნით გამოსაკვლევი ინდივიდს აჯვარებენ რეცესიულ ჰომოზიგოტი ინდივიდთან. თუ დათიშვა არ მოხდა და ყველა შთამომავლი ერთნაირია, ეს ნიშნავს, რომ გამოსაკვლევი ინდივიდი ჰომოზიგოტია. თუ შთამომავლებში ნიშნის მიხედვით მოხდა დათიშვა თანაფარდობით 1:1, გამოსაკვლევი ინდივიდი ჰეტეროზიგოტია.
- შეფერილობის მიხედვით ყავისფერბენვიანი ჰომოზიგოტი წაულას გენოტიპი


იქნება  $\frac{B}{B}$ , ვინაიდან ყავისფერი შეფერილობა დომინანტური ნიშანია. ცისფერი წაულას გენოტიპი კი იქნება  $\frac{b}{b}$ , ვინაიდან ცისფერი რეცესიული ნიშანია.

ამოცანის პირობაში დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად სქემატურად წარმოვადგინოთ წაულების შეჯვარება ორი თაობის მანძილზე:



♀ ♂	b	b
	B	B
B	b	b
	B	B
B	b	b
	B	B

$F_1$



♀ ♂	B	b
	B	b
B	B	b
	b	b
b	B	b
	b	b

$F_2$

- ცისფერი წაულა  $\frac{b}{b}$  გენოტიპით წარმოქმნის ერთი ტიპის b გამეტებს.
- $F_1$  თაობის წაულა  $\frac{B}{b}$  გენოტიპით წარმოქმნის ორი ტიპის — B და b გამეტებს.
- ყავისფერი შეფერილობა  $F_2$  თაობის წაულების  $3/4$ -ს ანუ 90 წაულას აქვს.
- ცისფერი შეფერილობა  $F_2$  თაობის წაულების  $1/4$ -ს ანუ 30 წაულას აქვს.
- $F_2$  თაობაში წარმოიქმნება სამი განსხვავებული გენოტიპი  $\frac{B}{B}$   $\frac{B}{b}$   $\frac{b}{b}$ .
- ოქროსფერი უზოლო მამლის გენოტიპია  $\frac{s}{s} \frac{b}{b}$ , სხვა შემთხვევაში რეცესიული ნიშნები არ გამოვლინდებოდა. ვერცხლისფერი ზოლიანი დედალი უნდა იყოს ორივე ნიშნით ჰეტეროზიგოტი  $\frac{S}{s} \frac{B}{b}$  გენოტიპით, რადგან შთამომავლობაში დათიშვას თანაფარდობით  $1:1:1:1$  სხვა შემთხვევაში ადგილი არ ექნებოდა.

სქემატურად წარმოვადგინოთ ეს შეჯვარება:

P: ♀ S B x ♂ s b  
G: SB Sb sB sb      s b

♀ ♂	<u>s</u> <u>b</u>
<u>S</u> <u>B</u>	<u>s</u> <u>b</u>

$F_1$

ამ შეჯვარების შედეგად წინიღებს შორის 25% ვერცხლისფერი ზოლიანია, 25% — ვერცხლისფერი უზოლო, 25% — ოქროსფერი ზოლიანი, 25% — ოქროსფერი უზოლო, რაც ემთხვევა ამოცანის პირობას.

5. ჩვენ ვიცით, რომ ანდალუზიური ჯიშის ცისფერი ქათამი ამავე ჯიშის შავი (A) და

თეთრი (a) ქათმის შეჯვარებით მიიღება. ცისფერი ქათმის გენოტიპია  $\frac{A}{a}$ , ე.ი. ადგილი აქვს არასრულ დომინირებას.

წარმოვადგინოთ სქემატურად ამოცანის პირობაში მოცემული შეჯვარების სქემები:

P: ♀ A a x ♂ a a  
G: A a      a a

♀ ♂	<u>a</u>	<u>a</u>
<u>A</u>	<u>A</u>	<u>A</u>
<u>a</u>	<u>a</u>	<u>a</u>
<u>a</u>	<u>a</u>	<u>a</u>

$F_1$

♀ A a x ♂ A A  
G: A a      A A

♀ ♂	<u>A</u>	<u>A</u>
<u>A</u>	<u>A</u>	<u>A</u>
<u>a</u>	<u>A</u>	<u>A</u>
<u>a</u>	<u>A</u>	<u>A</u>






$F_1$

ცისფერი და თეთრი შეფერილობის ქათმების შეჯვარებით წინიღების 50% ცისფერია, ხოლო 50% — თეთრი.


ცისფერი და შავი შეფერილობის ქათმების შეჯვარებით წინიღების 50% შავი შეფერილობისაა, ხოლო 50% — ცისფერი.

### III ვარიანტის პასუხები

- გამეტების წარმოქმნისას ყოველი წყვილი ალელიდან გამეტაში თითო ალელი ხვდება.




4. ამოცანის პირობის თანახმად, ღორებში ჯაგრის შავი შეფერილობა (A) დომინირებს უდალზე (a), გრძელი ჯაგარი (B) — მოკლეზე (b).
5. შავი გრძელჯაგრიანი ჰეტეროზიგოტი ღორის უდალ მოკლეჯაგრიანთან შეჯვარებისას შთამომავლების გენოტიპებისა და ფენოტიპების დასადგენად წარმოვადგინოთ ეს შეჯვარება სქემატურად:



შთამომავლების გენოტიპებია:  $\frac{\text{A B}}{\text{a b}}, \frac{\text{A b}}{\text{a b}}, \frac{\text{a B}}{\text{a b}}, \frac{\text{a b}}{\text{a b}}$ .

შთამომავლების ფენოტიპებია: შავი გრძელჯაგრიანი — 25%  
შავი მოკლეჯაგრიანი — 25%  
უდალი გრძელჯაგრიანი — 25%  
უდალი მოკლეჯაგრიანი — 25%


6. სქემატურად წარმოვადგინოთ ჰომოზიგოტი შავი გრძელჯაგრიანი და უდალი მოკლეჯაგრიანი ღორების შეჯვარება:



ყველა შთამომავლის გენოტიპია:  $\frac{\text{A B}}{\text{a b}}$

ფენოტიპურად ყველა ღორი შავი გრძელჯაგრიანია.

5. I ჯგუფის სისხლის მქონე მამაკაცის გენოტიპია,  $\frac{\mathbf{J}^0}{\mathbf{J}^0}$ , ხოლო IV ჯგუფის მქონე ქალისა და ბავშვის —  $\frac{\mathbf{J}^A}{\mathbf{J}^B}$ . მოსამართლეს ამ დავის გადაწყვეტაში დაეხმარა იმის დადგენა, თუ რამდენად შესაძლებელი იყო I და IV ჯგუფის სისხლის მქონე მშობლებს ჰყოლოდათ IV ჯგუფის სისხლის მქონე შვილები.  
წარმოვადგინოთ სქემატურად ეს ქორწინება:



ამ ქორწინებით შესაძლებელი იყო მხოლოდ II და III ჯგუფის სისხლის მქონე ბავშვების დაბადება. ამიტომ მოსამართლემ დავა მამის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

მოსწავლეები შეაფასეთ შემდეგი კრიტერიუმებით:

	1-3	4-5	6-7	8-10
პასუხების ფაქტობრივი საიმედოობა	სწორად პასუხობს საკითხთა 20-30%-ს	სწორად პასუხობს საკითხთა 40-50%-ს	სწორად პასუხობს საკითხთა 60-70%-ს	სწორად პასუხობს საკითხთა 80-100%-ს

# V ეკოლოგია

## § 37

კვებითი ჯაჭვები  
კვებითი ქსელები

შესატყვისობა სასწავლო გეგმასთან  
მიმართულება: ცოცხალი სამყარო

შედეგი:

- კვლ. XI. 2. მოსწავლეს შეუძლია კვლევითი პროცესების განხორციელება.  
კვლ. XI. 4. მოსწავლეს შეუძლია მონაცემთა ანალიზი და შეფასება.  
კვლ. XI. 9. მოსწავლეს შეუძლია დაასაბუთოს ეკოლოგიური ფაქტორების მნიშვნელობა ეკოსისტემის ფორმირებისთვის.

გაკვეთილის მიზანი:

გამოიკვლიოს ორი სხვადასხვა გუბურის ან ტბის ფიზიკური მახასიათებლები; დააკვირდეს ამ ეკოსისტემის პინადართ და იმსჯელოს, როგორ მოქმედებს ეკოსისტემის აბიოტური ფაქტორები მის პიომრავალფეროვნებაზე.

აქტივობები	მოსწავლეთა ორგანიზება	დროის განაწილება	შეფასების ფორმა
საშინაო დავალების შემოწმება	მთელი კლასი	5 წთ.	დაკვირვება
ექსპერიმენტი	ჯგუფური	35 წთ.	ჯგუფში მუშაობის უნარებზე დაკვირვება
საშინაო დავალების პირობის გაცნობა	მთელი კლასი	5 წთ.	

### გაპვეთილის მსვლელობა

გაყავით კლასი ორ ჯგუფად და დაავალეთ:

- ა. ორი სხვადასხვა ახლომდებარე ტბიდან ან გუბურიდან აიღონ სასინჯად 20-20 მლ წყალი;
- ბ. სინჯის აღებისთანავე გაზომონ წყლის ტემპერატურა;
- გ. ქალალდის ინდიკატორით დაადგინონ წყლის pH;
- დ. ჩაინიშნონ, რომელი მცენარეები და ცხოველები შენიშნეს გუბურასა და ტბორში. ორივე ჯგუფს დაურიგეთ დაკვირვებებისთვის საჭირო მასალა, ინსტრუქცია და

საიდენტიფიკაციო ფურცელი და მიეცით გარკვეული დრო კითხვებზე პასუხის გასაცემად.


### ინსტრუქცია

1. პიპეტით გადაიტანეთ რამდენიმე წვეთი წყალი პეტრის ფინჯანზე და ჯერ შეუიარაღებელი თვალით, შემდეგ კი ლუპით, გულდასმით დათვალიერეთ. ჩაინიშნეთ, რას ხედავთ.-----
2. გადაიტანეთ 1-2 წვეთი წყალი სასაგნე მინაზე და სინათლის მიკროსკოპის ჯერ მცირე, შემდეგ კი დიდ გადიდებაზე გამოიკვლიეთ, რომელ ცოცხალ არსებას ხედავთ მიკროსკოპში.-----
3. შეადარეთ თქვენ მიერ ნანახი ორგანიზმი საიდენტიფიკაციო ფურცელზე მოცემულ ორგანიზმებს. ამოიცანით რომელიმე მათგანი? დაასახელეთ და დაითვალეთ ეს ორგანიზმები.-----
4. აღრიცხეთ ის ორგანიზმებიც, რომლებსაც ვერ ამსგავსებთ ტაბულაზე წარმოდგენილ ორგანიზმებს. გააერთიანეთ ისინი „უცნობების“ ჯგუფში.
5. თქვენ მიერ ამოცნობილი ორგანიზმებიდან, რომელი მათგანი მიეკუთვნება პროდუცენტებს — ფიტოპლანეტონს?
6. რომელი ორგანიზმები მიეკუთვნება კონსუმენტებს — ზოოპლანეტონს?
7. რას უდრის თქვენი სასინჯი წყლის pH და ტემპერატურა?
8. რა კავშირია წყლის ტემპერატურასა და წყალში გახსნილი ჟანგბადის კონცენტრაციას შორის?
9. pH-ის როგორი მაჩვენებელი ითვლება იდეალურად ცოცხალი ორგანიზმების-თვის?
10. მკვეთრად არის გადახრილი pH-ისა და ტემპერატურის მაჩვენებელი ოპტიმალური მნიშვნელობიდან?




კითხვარის შევსების შემდეგ, მოსწავლეთა ორი ჯგუფი ადარებს ერთმანეთს საკუთარ მონაცემებს. განსხვავების აღმოჩენის შემთხვევაში მსჯელობენ, რამდენად შესაძლოა ემოქმედათ განსხვავებულ აბიოტურ ფაქტორებს (ჟანგბადის რაოდენობა, ტემპერატურა, pH) ეკოსისტემის ორგანიზმთა მრავალფეროვნებაზე.

## საიდენტიფიკაციო ფურცელი

ჩანს მიკროსკოპში დათვალიერებისას.



ჩანს შეუიარაღებელი თვალით და ლუპით დათვალიერებისას.



# პასუხები ტექსტში ჩართულ და საშინაო დავალებების კითხვებზე

## I ორგანიზმთა გამრავლება და განვითარება

### §1



უჯრედის სასიცოცხლო ციკლი  
მიზნი


- ① ადამიანის უჯრედში მეტაფაზის დროს იქნება 46 ქრომოსომა და 92 ქრომატიდი.
- ② ადამიანის ახლადწარმოქმნილ შვილეულ უჯრედებში იქნება 46 ქრომოსომა და 46 ქრომატიდი.



2. სწორი პასუხია გ.



1. ინტერფაზაში დნმ-ის გაორმაგებას, მისთვის საჭირო ფერმენტების სინთეზს, რიბოსომების წარმოქმნას, უჯრედში აქტიურად მიმდინარე მეტაბოლურ პროცესებს, ორგანოიდების გაორმაგებას ესაჭიროება დიდი ენერგია, რომელიც მიტოქონდრიებში გამომუშავდება. ამიტომ ინტერფაზაში განსაკუთრებით დიდი რაოდენობის მიტოქონდრიებია საჭირო.
2. ქრომოსომა ორი ქრომატინისგან შედგება ინტერფაზის S და G<sub>2</sub> ფაზებში და მიტოზის პროფაზასა და მეტაფაზაში.
3. ერთ შვილეულ უჯრედში ყველა ქრომოსომის დნმ-ის მასა იგივე —  $6 \times 10^{-9}$  მგ იქნება, რადგან ჩვენ ვიცით, რომ მიტოზის შედეგად მიღებულ შვილეულ უჯრედებში ქრომოსომათა ზუსტად ის რაოდენობაა, რაც დედისეულ უჯრედში.
4. ინტერფაზას რომ ზოგჯერ უჯრედის მოსვენების პერიოდს უწოდებენ, არ ვეთანხმები. პირიქით, ინტერფაზა ის პერიოდია, როდესაც უჯრედში განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობს მეტაბოლური პროცესები.
5. ცისარტყელას ფერებით გამოხატულ, ერთმანეთის მიმდევრობით განლაგებულ ოთხ მცირე ზომის სეგმენტს წრის შედარებით მცირე ნაწილი უკავია. ამიტომ, სავარაუდოდ, ისინი მიტოზის ოთხი სხვადასხვა ფაზა უნდა იყოს. მას მოსდევს შედარებით დიდი სეგმენტი, რომელიც, სავარაუდოდ, უნდა შეესაბამებოდეს ინტერფაზის G<sub>1</sub> ფაზას.





1. სწორი პასუხია გ.
2. სწორი პასუხია გ.
3. ტელოფაზას შებრუნებულ პროფაზას უწოდებენ, რადგან მიტოზის ამ ფაზის დროს ხდება ბირთვის გარსის წარმოქმნა. ქრომატიდები დესპირალიზდება, თითისტარას ძაფები ქრება.



- ა. ორივე პრეპარატი აფერხებს უჯრედის მიტოზურ გაყოფას.
- ბ. პრეპარატი A ხელს უშლის თითისტარას ძაფების წარმოქმნას.
- გ. პრეპარატი A მოქმედებს პროფაზასა და მეტაფაზაზე.
- დ. პრეპარატი B ხელს უშლის თითისტარას ძაფის დამოკლებას.
- ე. პრეპარატი B მოქმედებს ანაფაზაზე.

## I ორგანიზმთა გამრავლება და განვითარება


### §2



დნმ-ის გაორმაგება — რეპლიკაცია  
რეპლიკაციაში მონაცილე ნივთიერებები




1. ბაქტერიების დნმ-ის გაორმაგება  $^{14}\text{N}$ -იან გარემოში.




2. სინჯარის ფსკერიდან დნმ-ის მოლეკულის ფრაქციის დაცილების მანძილს მისი მოლეკულის სიმკვრივე (სიმძიმე) განსაზღვრავს.
3. ბაქტერიების დნმ-ის შემსუბუქების მიზეზი ისაა, რომ  $^{14}\text{N}$ -იან არეში ბაქტერიების გამრავლებისას მისი დნმ-ის მძიმე ჯაჭვებზე მსუბუქი შვილეული ჯაჭვები დაშენდა.


4. B ბაქტერიების დნმ-ის რეპლიკაცია C ბაქტერიების წარმოქმნისას:



5. A ბაქტერიების დნმ შეიცავს ორ მძიმე ჯაჭვს; B ბაქტერიების დნმ შეიცავს ერთ მძიმე და ერთ მსუბუქ ჯაჭვს; C ბაქტერიების დნმ-თა ერთი ნაწილი შეიცავს ორივე მსუბუქ ჯაჭვს, ხოლო მეორე ნაწილი — ერთ მძიმე და ერთ მსუბუქ ჯაჭვს.
6. ამ მონაცემების მიხედვით, ცენტრიფუგის სინჯარაში ორი ფრაქციის გაჩენა მოსალოდნელი იყო: C ბაქტერიების ორი მსუბუქი ჯაჭვის მქონე დნმ-მა სინჯარაში ცალკე ფრაქცია (ზედა) წარმოქმნა, ხოლო დნმ-მა, რომელიც ერთ მსუბუქ და ერთ მძიმე ჯაჭვს შეიცავდა — ცალკე ფრაქცია (ქვედა).
7. უოტსონისა და კრიკის ჰიპოთეზამ მეზელსონისა და სტალის ექსპერიმენტს „გაუძლო“.
- 8.



X ბაქტერია  $^{14}\text{N}$ -ის შემცველ საკვებ არეში მრავლდებოდა, ვინაიდან ცენტრიფუგირებისას ის დნმ-ის ერთ ფრაქციას იძლევა, რომელიც მდებარეობით C ბაქტერიის დნმ-ის ზედა, მსუბუქ ფრაქციას შეესაბამება.



## I ორგანიზმთა გამრავლება და განვითარება




### §3

პირობება: ერთი გენი — ერთი ცილა

● ნამეცნიერული ანემიით დაავადებული ადამიანის ჰემოგლობინის ძვრა-დობა დადებითად დამუხტული ელექტროდისკენ შესუსტდა იმის გამო, რომ ის აღარ შეიცავს უარყოფითად დამუხტულ გლუტამინის მჟავას. მის ნაცვლად ცილაში ჰიდროფობური ვალინია ჩართული.

1.



- — დიდი ზომის ცილა დადებითი მუხტით
- — საშუალო ზომის ცილა უარყოფითი მუხტით
- — მცირე ზომის ცილა უარყოფითი მუხტით
- ▲ — მცირე ზომის ცილა დადებითი მუხტით



2. ელექტროფორეზამდე რომელიმე ფიზიკური ფაქტორის, მაგალითად, მაღალი ტემპერატურის გავლენით ცილა შესაძლოა დენატურირებულიყო, რაც მისი მოლეკულის ზომასა და ფორმას შეცვლიდა, ეს კი ცილის მოლეკულის ძვრადობაზე მოახდენდა გავლენას.
3.
  - a. ცილის დამშლელ ფერმენტებს პროტეაზები ეწოდება;
  - b. ერთი პროტეაზა (2) ცილის მოლეკულის ერთ უბანზე მოქმედებს და ამ ნაწილში წყვეტს მას. ამას ელექტროფორეგრამაზე წარმოქმნილი ორი ფრაქცია ადასტურებს. მეორე პროტეაზა (3) ცილის ორ უბანზე მოქმედებს, რის გამოც პოლიპეპტიდის სამი ფრაგმენტი წარმოიქმნება;
  - c. ეს ფერმენტები, სავარაუდოდ, კუჭსა და თორმეტგოჯა ნაწლავში მოქმედებს, რადგან წვრილ ნაწლავში ცილის მოლეკულა საბოლოოდ ამინომჟავებამდე იშლება.

## I ორგანიზმთა გამრავლება და განვითარება



გენეტიკური კოდი  
ტრანსკრიპცია  
ტრანსლაცია

### §4

- 1 ოთხი სახის ნუკლეოტიდმა შეიძლება წარმოქმნას  $4^3 = 64$  სახის ტრიპლეტი.
- 2 ოცი სახის ამინომჟავას კოდირებისთვის 64 ტრიპლეტი საკმარისზე მეტია.
- 3 კოდური სიტყვა ორი ნუკლეოტიდისგან არ შეიძლება შედგებოდეს, რადგან ის მხოლოდ 16 ( $4^2 = 16$ ) ამინომჟავისთვის იქნებოდა საკმარისი.
- 4 ტრანსკრიპციისას დწმ-ის ადენინს ურაცილი უკავშირდება.
- 5 ბირთვის გარსს დიდი ფორები აქვს, რის გამოც ი-რწმ-ის მოლეკულა ადვილად ძვრება მასში.
- 6 ი-რწმ-ის კოდონები და ტ-რწმ-ის ანტიკოდონები კომპლემენტარულ აზოტოვან ფუძეებს უნდა შეიცავდეს.
- 7 ილუსტრაციის I პოზიციაში რიბოსომას უკვე თერთმეტი ტრიპლეტი აქვს გავლილი, რაზეც რიბოსომაზე სინთეზირებული თერთმეტამინომჟავიანი პოლიპეპტიდი მეტყველებს.
- 8 პოლიპეპტიდური ბმის წარმოქმნის პროცესს ილუსტრაცია II პოზიცია ასახავს.



- 1.
- a. სინჯარაში უნდა იყოს პოლიურაცილი, ყველა ამინომჟავა, ყველა ტ-რნმ, რიბოსომები და პროცესში მონაწილე ყველა ფერმენტი.  
b. ამინომჟავათა უმრავლესობას რამდენიმე ტრიპლეტი შეესაბამება. მაგალითად, ალანინს — 4, ლეიცინს და არგინინს — 6. გარდა ამისა, ზოგიერთი ტრიპლეტი ცილის სინთეზის დაწყებისა და დამთავრების მანიშნებელია.
2. ი-რნმ-ის კოდონებია:

გცუ — ცცუ — გაა — უგც — ააუ

ტ-რნმ-ის ანტიკოდონებია:

ცგა გგა ცუუ აცგ უუა

3. ი-რნმ-ის ნუკლეოტიდური შემადგენლობაა:  
ააა—გგა—უცა—უაუ—ცცც—ცუც—ცაუ



1. ი-რნმ-თვის მატრიცა არის დნმ-ის ერთი ჯაჭვის გარკვეული პატარა უბანი — გენი.
- 2.
5. ტრანსლაციისას უჯრედს მიტოქონდრიები ამარავებს ენერგიით, რომელიც ნივთიერებათა დაშლის პროცესში წარმოიქმნება;
6. სინჯარაში ჩავამატებდი მიტოქონდრიებსა და გლუკოზას.



1. დავუშვათ, ტრიპლეტი, რომელსაც რიბოსომამ უნდა გადააბიჯოს ცილის სინთეზის დროს, არის უცა, ხოლო მისი შემდგომი — გუა. თუ რიბოსომამ მხოლოდ ორ ნუკლეოტიდს — უც-ს „გადააბიჯა“, მაშინ შემდგომი ტრიპლეტი გუა-ს ნაცვლად აგუ იქნება, რომელიც ვალინს კი არ ჩართავს ცილის მოლექულაში, არამედ სერინს. ეს კი ცილას სტრუქტურას და, შესაბამისად, ფუნქციასაც შეუცვლის.
2. თუ რიბოსომას ნაბიჯი ტრანსლაციის ბოლოს „აერია“, ეს ცილის მოლექულაში მხოლოდ ერთ ან ორ ამინომჟავას ჩართავს შეცდომით. ასეთი „წაბორძიკება“ ტრანსლაციის დასაწყისში აბსოლუტურად სხვა სახის ცილის სინთეზს გამოიწვევს.

# I ორგანიზმთა გამრავლება და განვითარება

§5



უსძესო გამრავლება  
უსძესო გამრავლების ფორმები

- 1 სპორტით მრავლდება სოკო, გვიმრა, ხავსი.
- 2 ბაქტერიები სპორტით არ მრავლდებიან. მათ მიერ წარმოქმნილი სპორტი იცავს მათ არახელსაყრელი პირობებისგან. ხელსაყრელი პირობების დადგომისას, ბაქტერიის სპორტიან ისევ ბაქტერია ვითარდება. ერთი სპორტი ერთ ბაქტერიას წარმოქმნის, ამიტომ ბაქტერიისთვის სპორტი გამრავლების საშუალება არ არის.



2. კომბოსტოს თავს სახეშეცვლილი ხორცოვანი ფოთლები და დამოკლებული გამსხვილებული ღერო ქმნის.



1. ხახვის ბოლქვი იჩუტება, რადგან ჩანასახის აღმოცენებისთვის ბოლქვი ფოთლებში დამარაგებულ საკვებს იყენებს.
2. ბაქტერიის უჯრედი ორად გაყოფის გზით მრავლდება. მის გაყოფას არ შეიძლება ეწოდოს მიტოზური, რადგან მას არა აქვს ბირთვი და ქრომოსომები. შესაბამისად, მიტოზის დროს მიმდინარე პროცესები ბაქტერიული უჯრედებისთვის არ არის დამახასიათებელი.
3. უსქესო გამრავლებისას სახეობის გენეტიკური მრავალფეროვნება არ იზრდება, ვინაიდან ყველა შთამომავალს აქვს მშობლისთვის დამახასიათებელი გენოტიპი.



1. სწორი პასუხია **V**.

# I ორგანიზმთა გამრავლება და განვითარება

## §6



სძესოპრივი გამრავლების  
ფორმები  
გამეტების აგენტულება  
გამეტოგენეზი  
მეორზი

- ① სპერმატოზოიდებს კვერცხუჯრედში შესაჭრელად დიდი ენერგია ესაჭიროება, რომელიც სწორედ ყელის ნაწილში კონცენტრირებულ მიტოქონდრიებში სინთეზდება.
- ② მეიოზის | გაყოფის შემდეგ შვილეული უჯრედები ქრომოსომთა ჰაპლოიდურ კომპლექტს შეიცავს. თითოეული ქრომოსომა დნმ-ის ორი მოლეკულისგან შედგება.

1.




უჯრედები მიმღინარე პროცესი	უჯრედები გაყოფის ტიპი
შედგება უჯრედის ორი გაყოფისგან	მეიოზი
სომატური უჯრედების ტიპური გაყოფაა	მიტოზი
უჯრედის გაყოფის წინ ხდება ქრომოსომების გაორმაგება	მიტოზი, მეიოზის   გაყოფა
მხოლოდ ერთი გაყოფისგან შედგება	მიტოზი
ხდება კროსინგოვერი	მეიოზი
არ ხდება ჰომოლოგიური ქრომოსომების კონიუგაცია	მიტოზი
ხდება ქრომოსომების განახევრება	მეიოზი
ნარმოქმნილ უჯრედს აქვს ქრომოსომთა დიპლოიდური ნაკრები	მიტოზი

2.

პითხებები	მიზანი	მიზანი
რა ცვლილება მიმდინარეობს ბირთვში გაყოფის დაწყებამდე?	ქრომოსომები ორმაგდება	მეიოზის I გაყოფის წინ ქრომოსომები ორმაგდება
რომელი ფაზები აქვს გაყოფას?	პროფაზა. მეტაფაზა, ანაფაზა, ტელოფაზა	ორივე მეიოზურ გაყოფას აქვს პროფაზა, მეტაფაზა, ანაფაზა, ტელოფაზა
არის დამახსიათებლი ჰომოლოგიური ქრომოსომების კონიუგაცია?	არა	კი
ქრომოსომთა რა რაოდენობას იღებს ყოველი შვილეული უჯრედი?	დიპლოიდურ რაოდენობას	ჰაპლოიდურ რაოდენობას
რომელ უჯრედებში მიმდინარეობს აღნიშნული პროცესი?	სომატურ უჯრედებში	სასქესო უჯრედებში



- II მეიოზური გაყოფა მიტოზის პროცესს მაგონებს.
- გენეტიკური ინფორმაციის თანაბრად გადანაწილებისთვის.
- ერთი ქრომოსომის ორი ქრომატიდის გენური შედგენილობა ერთნაირია, რადგან ის მიღება დნმ-ის ერთი მოლეკულის გაორმავებით, რომელიც კომპლექტარობის პრინციპით მიმდინარეობს და ზუსტად ერთნაირი შედგენილობა აქვს.
- სქემა ასახავს მეიოზის პროცესს. II მეიოზური გაყოფა გამოდგება მიტოზის მარტივად წარმოსადგენად.



- სწორი პასუხია III.
- ჩასვი გამოტოვებული სიტყვები:
  - მეიოზი;
  - კროსინგოვერი;
  - ინტერფაზა;
  - კონიუგაცია;
  - დიპლოიდური;
  - ჰაპლოიდური.

3.

	პ	ბ	გ
მიზობი	+		
მეიოზი			+

4.

- ა. 24 და 6;
- ბ. 24 და 12.

5. სწორი პასუხია IV.

- 6. სწორი პასუხია დ.
- 7. სწორი პასუხია ა.

## I ორგანიზაცია გამრავლება და განვითარება

### §7



განაყოფილება

ორგანიზაციის ინდივიდუალური განვითარება — ონტოგენეზი  
ემპლიონული და პოსტიმპლიონული განვითარება

- 1 ბაყაყს ახასიათებს არასრული მეტამორფოზი.
- 2 პეპლებს ახასიათებთ სრული მეტამორფოზი.



- 1. მე შევქმენი გასტრულის მოდელი.
- 2. ა. 6; ბ. 4, 5, 8; გ. 1,2,3,7, 9.



- 1. კოლოს ახასიათებს არაპირდაპირი განვითარება, ძალლს კი — პირ-დაპირი.
- 2. თუთის აბრეშუმმხვევიას აბრეშუმის პარკის მისაღებად ამრავლებენ. ამ პარკებისგან ძაფს ღებულობენ. თუ პეპლები ჭუპრის სტადი-აში არ დახოცეს, ისინი პარკს გახვრეტენ და ძაფი დაწყდება.
- 3. კოლოები კვერცხებს წყალში დებენ და მათი მატლები წყალში ვი-თარდებიან.
- 4. ლარვები სახეობის განახლებას უწყობენ ხელს.
- 5. ბადურა და მხედველობის ნერვი ვითარდება ექტოდერმისგან, თვა-ლის მამოძრავებელი კუნთები და თვალის მკვებავი სისხლძარღვები — მეზოდერმისგან.



მიტოზური; ბლასტულა; გასტრულა; შიგნითა; გარეთა; მეზოდერმა.

## I ორგანიზმთა გამრავლება და განვითარება

### §8



უჯრედთა დიფერენციაცია

უჯრედთა დიფერენციაციის მოლეკულური მექანიზმი



	პანკრეასი ჰიპოფიზი	ძვლის წითელი ტვინი
ინსულინის გენი	█	█
ზრდის ჰორმონის გენი	█	█
ჰემოგლობინის გენი	█	█



1. 

a. ილუსტრაციაზე წარმოდგენილ პოლისომაში ი-რნმ-ის მიერ მოტანილი ბრძანების შესასრულებლად, ერთდროულად ხდება ერთი კონკრეტული ცილის ხუთი მოლეკულის სინთეზი.

b. პოლისომების წარმოქმნა მაშინ ხდება, როდესაც უჯრედი დიდი რაოდენობით ცილის სინთეზს საჭიროებს.

c. პოლისომების წარმოქმნას გენების აქტივობის რეგულაციის მესამე ეტაპი აკონტროლებს.
2. 

თიროქსინი, პარატჰემორნი, ინსულინი, გლუკაგონი, ადრენალინი, ანდროგენები, ესტროგენები, სომატოტროპინი — სასიგნალო მოლეკულებია. მათ მესენჯერები ენოდება.
3. 

ანდროგენების სამიზნე ორგანოებია: კუნთები, ჩონჩხი, კანი, ფარისებრი ხრტილი.
4. 

ეს სასიგნალო ნივთიერება ესტროგენია.

5. აკრომეგალია სომატოტროპინის არასწორი მოქმედების შედეგია.
6. ინსულინის გააქტიურებას გენების რეგულაციის მეოთხე ეტაპი აკონტროლებს.



1. კრიტიკოსები ფიქრობდნენ, რომ თავკომბალას ნაწლავის ეპითელი არადიფერენცირებულ უჯრედებს შეიცავს, რომლებსაც გენების სრული კრებული გააჩნია და ამიტომ მათი ბირთვის შეტანით, კვერცხუჯრედის სხვადასხვა სახის უჯრედებად დიფერენცირება სრულიად მოსალოდნელი იყო.
2. ადამიანის ერითროციტი.
3. ი-რნმ-ის მოლეკულა, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ნივთიერება, გარკვეული ხნის მანძილზე არსებობს უჯრედში. თუმცა, სხვა ნივთიერებებისგან განსხვავებით, ი-რნმ-ზეა დამოკიდებული, რა რაოდენობის ცილა-პროდუქტი შეიქმნება უჯრედში. თუ უჯრედის მოთხოვნილება ამა თუ იმ სახის ცილაზე დიდია, მაშინ ი-რნმ დიდხანს რჩება უჯრედში. სხვა შემთხვევაში ის ფერმენტების ზეგავლენით იშლება.

## I ორგანიზმთა გამრავლება და განვითარება


### §9



ყვავილოვან მცენარეთა განაყოფილება




2.




- ჰერმაფროდიტი ყვავილია, რადგან მასში ბუტკოცაა და მტვრიანებიც.
- ცალსქესიანი ყვავილებია B და C, რადგან მხოლოდ ბუტკოებს შეიცავს, C კი მხოლოდ მტვრიანებს.

3.



A ჰერმაფროდიტი მცენარეა. მასზე ბუტკოიანი და მტვრიანებიანი ყვავილებია. B და C ცალსქესიანი მცენარეებია. მხოლოდ ბუტკოიან ყვავილებს შეიცავს, ხოლო C მხოლოდ მტვრიანებიანს.

4.




A მცენარე მწერებით იმტვერება. მისი დინგი ბევრად მაღლაა მტვრიანებთან შედარებით. ეს, ერთი მხრივ, არ იძლევა საშუალებას, რომ მომწიფებული მტვრიანები დინგზე მოხვდეს, ხოლო, მეორე მხრივ, მისი გაბრტყელებული და ყვავილიდან ზემოთ ამონეული დინგი ადვილად მისაწვდომია მწერებისთვის.

B ყვავილი ქარით მტვერიაა. გრძელ და ქვემოთ დახრილ მტვრიანებს ქარი არხევს და მტვრის მარცვლები ისე იფანტება ჰაერში, რომ ისინი ვერ ხვდება ღრმად ჩამჯდარ ბუტკოზე.



1. როგორც ჩანს, ამ ხიდაკის გავლით თესლკვირტს ბუტყოდან საკვები ნივთიერებები მიეწოდება. გარდა ამისა, ის აფიქსირებს თესლკვირტს ნასკვში.
2. ყოველი სახეობის მცენარის მტვრის მარცვლის ფორმები ერთმანეთისგან განსხვავდება. დედამიწის ამათუ იმ რეგიონში მოპოვებული მტვრის მარცვლებით, მეცნიერებმა შეიძლება იმსჯელონ მოცემულ ეპოქაში ამათუ იმ რეგიონში გავრცელებული მცენარეებისა და, აქედან გამომდინარე, კლიმატური პირობების შესახებ, რაც თავის მხრივ წარმოდგენას იძლევა ადამიანის საქმიანობაზე; მისდევდა თუ არა ის მიწათმოქმედებას და რა სახის მცენარეებს ანიჭებდა უპირატესობას, როგორი იყო მისი კვებითი რაციონი. მცენარეთა სახეობების მიხედვით, მეცნიერები მსჯელობენ ასევე იქ გავრცელებული ცხოველთა სახეობების შესახებ.



1. თვითდამტვერვა უფრო საიმედოა, ის მტვრის მარცვლის ბუტყობზე მოხვედრის ალბათობას ზრდის, ვინაიდან არ არის დამოკიდებული სხვა ფაქტორებზე, მაგალითად, ქარზე ან მწერებზე.
2. თესლს ინახავენ ცივ, მშრალ და უჟანგბადო გარემოში.



1. მცენარეებისგან განსხვავებით, ცხოველები ადვილად გადაადგილდებიან, ამიტომ მდედრი და მამრი ინდივიდების შეხვედრის ალბათობა დიდია. მცენარეების გამეტების გადატანა დამოკიდებულია ქარზე, წყალზე, ცხოველებზე, ადამიანზე.
2. ბაბუანვერა ამით თავს იცავს თვითდამტვერვისგან.
3. ქარით მტვერია მცენარეები, მწერებით მტვერია მცენარეებთან შედარებით, გაცილებით დიდი რაოდენობით მტვრის მარცვლებს წარმოქმნიან, რათა როგორმე გაზარდონ განაყოფიერების ალბათობა. მტვრიანების აურაცხელი რაოდენობით წარმოქმნა ნივთიერებათა და ენერგიის უფრო მეტ დანახარჯს მოითხოვს.
4. თვითმტვერია მცენარეები მტვრიანების ამომცნობ რეცეპტორებს არ შეიცავენ.

# I ორგანიზმთა გამრავლება და განვითარება


## §10



პარტენოგენეზი — ქალცულებრივი გამრავლება  
პარტენოგენეზის ფორმები



- 1.
- a. ჰაპლოიდური, ფაკულტატური.
- b. მას მამრი პარტნიორი არ ჰყავს.
- გ.




1. მეცნიერთა პირველი ნაწილი პარტენოგენეზს უსქესო გამრავლების ერთ-ერთ ფორმად თვლის, ვინაიდან გამრავლებაში მხოლოდ ერთი — დედისეული ინდივიდი მონაწილეობს და გამეტების შერწყმა არ ხდება.  
მეცნიერთა მეორე ნაწილს კი მიაჩნია, რომ პარტენოგენეზი სქესობრივი გამრავლების განსაკუთრებული ფორმაა, რადგან ჩანასახის განვითარება ერთ-ერთი გამეტიდან — კვერცხუჯრედიდან და არა რომელიმე სომატური უჯრედიდან ხდება.  
2. ჰერმაფროდიტი ორგანიზმების გამრავლება არ შეიძლება მივიჩნიოთ პარტენოგენეზურ გამრავლებად, რადგან ამ დროს ახალი ინდივიდის წარმოქმნა გამეტების შერწყმის შედეგად ხდება.



ანდროგენეზისას მხოლოდ მამრობითი სქესის ინდივიდები იბადებიან, ამიტომ პარტენოგენეზის ამ ფორმას მამრობით პარტენოგენეზს უწოდებენ.



- 1.
- a. ვერცხლისფერი კარჩანა გინოგენეზით მრავლდება.
- b. კარჩანას კვერცხუჯრედში შექრილი სპერმატოზოიდი იწვევს კვერცხუჯრედის სტიმულაციას და ის ჩანასახს წარმოქმნის. სპერმატოზოიდი კი ციტოპლაზმაში ნადგურდება.



- g. სპერმატოზოიდები ბირთვებს არ ერწყმის.
2.
  - a. ანდროგენეზი.
  - b. როგორც ჩანს, მამრი აბრეშუმშვევიას მატლები უკეთესი ხარისხისა და დიდი რაოდენობით აბრეშუმის პარკს იძლევიან.
3.
  - a. ანდროგენეზით და ჰაპლოიდური პართენოგენეზით.
  - b. ჰაპლოიდური პართენოგენეზით იმ შემთხვევაში, თუ მათ მდედრობითი ჰეტეროგამეტურობა ახასიათებთ.
4. სახეობის რიცხობრიობის შემცირების გამო, მდედრი და მამრი ზვიგენების შეხვედრის ალბათობა მცირდება, ამიტომ ისინი იძულებული არიან, პართენოგენეზურად გამრავლდნენ. პართენოგენეზურ შთამომავლებს მხოლოდ დედისთვის დამახასიათებელი გენები აქვთ და არ ხდება მათი გამრავალფეროვნება მამის გენებით. ეს კი ნაკლებ შანსს უტოვებს ინდივიდებს გარემოს ცვალებად პირობებში გადასარჩენად.
5. ზოგ სახეობაში პართენოგენეზი მდედრებისა და მამრების რიცხობრიობას აბალანსებს, ზოგ სახეობაში კი ინდივიდების რიცხობრივ ზრდას. ყველა შემთხვევაში პართენოგენეზი სახეობის გადარჩენას ემსახურება.


# I ორგანიზმთა გამრავლება და განვითარება

## §11




მაცხოვლის მიერ დადგენილი მამკვიდრეობითობის  
კანონზომიერები  
ჰიპოტეზთა ერთგვარობის კანონი  
ნიშან თვისებათა დათიშვის კანონი

- ① მონაცემები თანაფარდობასთან 3:1 ყველაზე ახლოს იმ შემთხვევაშია, როდესაც სტატისტიკური კანონზომიერება გამოყვანილია შთამომავალთა დიდი რიცხვებიდან, მაგალითად, ყვითელი და მწვანე თესლების შემთხვევაში.
  - ② ჰომოზიგოტურები იქნებიან AA და BB გენოტიპის მქონე ინდივიდები დომინანტური ნიშნის მიხედვით, aa, bb — რეცესიული ნიშნის მიხედვით, ჰეტეროზიგოტურები კი — Aa და Bb.
  - ③ AA ნარმოქმნის ერთი ტიპის A გენის შემცველ გამეტებს; Aa — ორი ტიპის, A და a გენის შემცველ გამეტებს; aa — ერთი ტიპის a გენის შემცველ გამეტებს; Bb — ორი ტიპის, B და b გენის შემცველ გამეტებს; BB — ერთი ტიპის, B გამეტებს; bb — ერთი ტიპის, b გენის შემცველ გამეტებს.
  - ④ რეცესიული გენი ჰომოზიგოტურ (AA) მდგომარეობაში ის ითრგუნება დომინანტური გენით.
  - ⑤ დომინანტური გენი თავის მოქმედებას ავლენს როგორც ჰომოზიგოტურ (AA), ისე ჰეტეროზიგოტურ (Aa) მდგომარეობაში. ჰეტეროზიგოტურ მდგომარეობაში დომინანტური გენი თრგუნავს რეცესიული გენის გამოვლენას.
  - ⑥ F<sub>1</sub> თაობაში მენდელმა მიიღო ორი განსხვავებული სიგრძის მცენარე — გრძელლეროიანი და მოკლელეროიანი თანაფარდობით 3:1, ხოლო გენოტიპის მიხედვით სამი ვარიანტი: AA, Aa და aa თანაფარდობით 1:2:1. მოკლელეროიან ბარდაში ალელების შეთანწყობა ზუსტად შეგვიძლია ვივარაუდოთ, ვინაიდან მოკლე ლერო რეცესიული ნიშანია და მისი მოქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოვლინდება, თუ ორივე ალელი a იქნება. მაშასადამე, მოკლელეროიანი მცენარის გენოტიპია aa.
- მენდელის ვარაუდის შესამოწმებლად, ჩავუტაროთ გამაანალიზებელი შეჯვარება გრძელლეროიან ბარდას, რომელსაც ღეროს სიგრძის მიხედვით ალელთა შეთანწყობის ორი ვარიანტი შეიძლება ჰქონდეს — AA და Aa. ამისთვის გრძელლეროიანი მცენარე უნდა შევაჯვაროთ რეცესიული ალელების მქონე მოკლელეროიანს.



თუ გრძელდეროიანი ბარდა AA ალელების შემცველია, გამაანალიზებელი შეჯვარებისას F<sub>1</sub> შთამომავლობის 100% გრძელდეროიანი Aa ალელების შემცველია.




თუ გრძელდეროიანი ბარდა Aa ალელების შემცველია, გამაანალიზებელი შეჯვარებისას F<sub>1</sub> შთამომავლობის 50% გრძელდეროიანი Aa ალელების შემცველია, 50% კი მოკლედეროიანი aa ალელების შემცველი.

აქედან გამომდინარე, მენდელის ვარაუდი სწორი იყო.




1. მენდელს კარგად ესმოდა, რომ სტატისტიკური კანონზომიერების დასადგენად უნდა ესარგებლა შთამომავალთა დიდი რიცხვებით. ცხოველები მცენარეებთან შედარებით, მცირე რაოდენობის შთამომავლებს იძლევიან.  
ეს არჩევანი სწორედ ამან განაპირობა.
2.
  - ა. მშობლების გენოტიპი იქნება დედის — aa, მამის — AA, ანუ ჰომოზიგოტური ამ ნიშნის მიხედვით. ყველა მუქთმიანი შვილის გენოტიპია Aa.
  - ბ. მამა იქნება ჰომოზიგოტი რეცესიული ნიშნის მიხედვით — aa, დედა კი ჰეტეროზიგოტი — Aa. მათი შვილების გენოტიპები იქნება Aa და aa.
3.
  - ა. თმის მუქი შეფერილობისა და ქერა თმის განმსაზღვრელი გენები ალელური გენებია.
  - ბ. სქელი ტუჩების, ხვეული თმის, თაფლისფერი თვალებისა და დიდი თვალების გენებისთვის არ არის მოცემული მათი ალელები.
4. რადგან რეზუს ფაქტორის არარსებობა (r) რეცესიული ნიშანია, რეზუს-უარყოფითიან დედასა და შვილს გენოტიპი ექნებათ rr. ამ ბავშვის მამა შეიძლება იყოს რეზუს-დადებითი, მაგრამ ამ ნიშნით ჰეტეროზიგოტი ან რეზუს-უარყოფითი.




- ალბინიზმი — უპიგმენტობა რეცესიული ნიშანია, ამიტომ ორივე ცდაში ალბინოსი თაგვი იქნება  $aa$  ალელების შემცველი.  
ამოცანის პირობიდან გამომდინარე, I შეჯვარებაში მონაწილე ნორმალური შეფერილობის თაგვი დომინანტური ნიშნის მიხედვით ჰომოზიგოტი უნდა იყოს, რადგან შთამომავლებს შორის ყველა ნრუნვა ნორმალური შეფერილობის დაიბადა, ანუ არ მოხდა დათიშვა.  
II შეჯვარებაში მონაწილე ნორმალური შეფერილობის თაგვი ჰეტეროზიგოტი  $Aa$  ალელების შემცველი უნდა იყოს, რადგან შთამომავლებს შორის მოხდა დათიშვა — გაჩნდა არა მარტო ნორმალური შეფერილობის, არამედ ალბინოსი ნრუნვებიც.  
სქემატურად ნარმოვადგინოთ ორივე შეჯვარება.  
ნორმალური შეფერილობის განმსაზღვრელი ალელი ავლნიშნოთ  $A$ -თი, ხოლო უპიგმენტობის განმსაზღვრელი —  $a$ -თი.

I შეჯვარება:



$F_1$ , თაობაში ყველა ნორმალური შეფერილობის ნრუნვა დაიბადა.  
II შეჯვარება:



$F_1$  თაობაში დაიბადა 50% ნორმალური შეფერილობის და 50% ალბინოსი წრუნუნა.

ჩვენი ვარაუდი გამართლდა.

- ა. ალბინოსი თაგვის გენოტიპია **aa**. I ცდაში მონაწილე ნორმალური შეფერილობის თაგვის გენოტიპია **AA**, ხოლო II ცდაში მონაწილესი — **Aa**.
- ბ. მეორე წყვილის შეჯვარებისას შთამომავლებს შორის თანაფარდობაა 1:1.

## 2.

ნიშანი	ინდივიდის გენოტიპია შესაძლო ვარიაციები
რეზუს-დადებითობა (A)	AA, Aa
რეზუს-უარყოფითობა (a)	aa
მემარჯვენეობა (B)	BB,Bb
ცაციობა (b)	bb


3.  $F_2$  თაობაში რუხ ქათმებს, ერთნაირი ფენოტიპის მიუხედავად, განსხვავებული გენოტიპი **AA** ან **Aa** აქვთ. რუხი ქათმების გენოტიპის დასადგენად, მას უნდა ჩავუტაროთ გამაანალიზებელი შეჯვარება, ე.ი. უნდა შევაჯვაროთ რეცესიული ნიშნით ჰომოზიგოტ თეთრ ქათამთან.

თუ შთამომავლებს შორის დათიშვა არ მოხდა და ყველა ნიწილა ერთნაირი შეფერილობის აღმოჩნდა, მაშინ ამ რუხი ქათმის გენოტიპია **AA**.

შთამომავლებაში ორი განსხვავებული შეფერილობის ნიწილების გარენა 1:1 თანაფარდობით მიანიშნებს ნიშნის დათიშვაზე, რაც შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუხი ქათმის გენოტიპია **Aa**.

შევამოწმოთ ჩვენი ვარაუდი.


რუხი შეფერილობის განმსაზღვრელი დომინანტური ალელი აღვნიშნოთ **A**-თი, ხოლო თეთრი ფერის რეცესიული ალელი — **a**-თი.



თუ რუხი დედალი ჰომოზიგოტია  
— AA, F<sub>1</sub> თაობაში ყველა  
ნინილა რუხი იქნება.


თუ რუხი დედალი  
ჰეტეროზიგოტია — Aa, F<sub>1</sub> თაო-  
ბაში ნინილების 50% რუხია, 50%  
კი თეთრი.

4. ზაზუნების პირველი წყვილის შეჯვარებისას F<sub>1</sub> თაობაში თორმე-  
ტივე ზაზუნა შავი იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ შავი შეფერილობა დო-  
მინანტური (A) ნიშანია, ხოლო თეთრი — რეცესიული (a). იმის გამო,  
რომ F<sub>1</sub> თაობაში არ მოხდა დათიშვა ბენვის შეფერილობის მიხედ-  
ვით, უნდა ვივარაუდოთ, რომ მამრი შავი ზაზუნა AA ალელების შემ-  
ცველი, ანუ ჰომოზიგოტია დომინანტური ნიშნის მიხედვით. მდედრ  
თეთრ ზაზუნას aa ალელთა შეთანწყობა უნდა ჰქონდეს, ვინაიდან  
თეთრი შეფერილობის ალელი რეცესიულია და ის თავის მოქმედე-  
ბას მხოლოდ ჰომოზიგოტურ მდგომარეობაში ავლენს. შევამოწმოთ  
ჩვენი ვარაუდი:




F<sub>1</sub> თაობაში ყველა ზაზუნა შავი შეფერილობის დაიბადება. ე.ი. ჩვენი  
ვარაუდი გამართლდა.

ზაზუნების მეორე წყვილის შეჯვარების შედეგად დაიბადა 6 შავი და  
5 თეთრი ზაზუნა, ე.ი. ბენვის შეფერილობის მიხედვით F<sub>1</sub> თაობაში  
მოხდა დათიშვა. ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევა-  
ში, თუ შავი შეფერილობის მამრი ამ ნიშნით ჰეტეროზიგოტია და  
აქვს Aa ალელთა შეთანწყობა.



F<sub>1</sub> თაობაში დაიბადება შავი და თეთრი ზაზუნები თანაფარდობით 1:1, რაც დაახლოებით შეესაბამება ამ წყვილის შეჯვარებით მიღებულ შთამომავლობას შორის თანაფარდობას 1:1.

5. ვინაიდან ბუსუსიანი ნაყოფის მქონე ატმის თვითდამტვერვით მიღებული 122 მცენარიდან 91-მა განივითარა ბუსუსიანი ნაყოფი, ხოლო 31-მა — გლუვი, ეს იმას ნიშნავს, რომ ფენოტიპური თანაფარდობა არის 3:1. ეს კი იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ორივე მშობლის გენოტიპი იქნებოდა Aa. ამ შეფარდებიდან გასაგებია, რომ ბუსუსიანი ნაყოფი (A) დომინირებს გლუვზე a. ე.ი.:
- ა. ორივე მშობლის გენოტიპია Aa.
- ბ, გ და დ პუნქტზე პასუხის გადაცემად, წარმოვადგინოთ შეჯვარების სქემა:




- ბ. ორივე მშობლიური ფორმა წარმოქმნის A და a ალელის შემცველ გამეტებს.
- გ. შთამომავლების გენოტიპებია AA, Aa, aa.
- დ. 91 ბუსუსიანი ნაყოფის მქონე მცენარიდან ჰეტეროზიგოტურია 2/4 ანუ 50%.

6. F<sub>2</sub> თაობის ჰიბრიდთა თვითდამტვერვისას ის მცენარე, რომელსაც რეცესიული ნიშანი ანუ თეთრი ყვავილები ჰქონდა, F<sub>3</sub> და მომდევნო თაობებში აღარ ამჟღავნებს დათიშვას. მის შთამომავლობაში არასდროს ჩნდება დომინანტური ნიშნის, ანუ ნითელი ყვავილის მქონე მცენარე. სულ სხვაგვარად იქცევა F<sub>2</sub> თაობის ის ჰიბრიდი, რომელსაც დომინანტური ნიშანი, ანუ ნითელი ყვავილი ახასიათებს. მათ შორის შეინიშნება ორი ჯგუფი. პირველი ჯგუფი დომინანტური ნიშნის მქონე მცენარეთა საერთო რაოდენობის ერთ მესამედს შეადგენს. ესენი არიან დომინანტი ჰომოზიგოტი მცენარეები, რომლებიც შემდგომ თაობებში არ ითიშებიან. მათი შთამომავლობის მომდევნო

თაობებში მხოლოდ დომინანტური ნიშანი შეინიშნება. სრულიად სხვაგვარად იქცევიან  $F_2$  თაობის სხვა წითელყვავილიანი მცენარეები, რომლებიც დომინანტური ნიშნის მცენარეების საერთო რაოდენობის  $\frac{2}{3}$  შეადგენენ. მათ შთამომავლობაში დათიშვა იმავე თანაფარდობით — 3:1 მუღავნდება ( $\frac{3}{4}$  — დომინანტური,  $\frac{1}{4}$  — რეცესიული), როგორც მეორე თაობის ჰიბრიდებში.

7. ა.
8.
  - ა. დომინანტურია შავი შეფერილობის ალელი.
  - ბ. მშობელთა გენოტიპებია Aa.
  - გ. შთამომავალთა გენოტიპებია AA, Aa, aa.



## II გენეტიკა


### §12



დიპიპლიდული შეჯვარება



$\frac{A}{A} \frac{B}{b}; \frac{A}{a} \frac{B}{b}$  და  $\frac{A}{a} \frac{B}{B}$  გენოტიპების მქონე ორგანიზმები წარმოქმნიან შემდეგი ტიპის გამეტებს:



1. ალვნიშნოთ ადამიანში თითების ნორმალური რაოდენობის განმსაზღვრელი რეცესიული ალელი  $a$ -თი, პოლიდაქტილის განმსაზღვრელი დომინანტური ალელი  $A$ -თი, კანის ნორმალური პიგმენტაციის განმსაზღვრელი დომინანტური ალელი —  $B$ -თი, ხოლო უპიგმენტობის განმსაზღვრელი რეცესიული ალელი —  $b$ -თი. დიპეტეროზიგოჭმულებებს ალელთა  $AaBb$  შეთანწყობა აქვთ.

P: ♀ AaBb × AaBb ♂  
G:  $\textcircled{AB}$   $\textcircled{Ab}$   $\textcircled{aB}$   $\textcircled{ab}$   $\textcircled{AB}$   $\textcircled{Ab}$   $\textcircled{aB}$   $\textcircled{ab}$

♀ ♂	AB	Ab	aB	ab
AB	AABB	AABb	AaBB	AaBb
Ab	AABB	AAbb	AaBb	Aabb
aB	AaBB	AaBb	aaBB	aaBb
ab	AaBb	Aabb	aaBb	aabb


$F_1$

ამ ოჯახში ორივე ანომალიის მქონე ბავშვის დაბადების ალბათობა შეადგენს 3/16-ს.

2. ხვეული თმა და ჭორფლიანი კანი დომინანტური ნიშნებია, სწორი თმა და უჭორფლო კანი — რეცესიული. ხვეული თმის განმსაზღვრელი ალელი ალვნიშნოთ  $A$ -თი, სწორი თმის —  $a$ -თი, ჭორფლიანი კანის განმსაზღვრელი —  $B$ -თი, ხოლო უჭორფლოსი —  $b$ -თი.

სწორთმიანი დედის ალელთა შეთანწყობაა  $aa$ , ხოლო ხვეულთმიანი მამის —  $AA$ , რადგან შთამომავლობაში თმის ფორმის მიხედვით და-თიშვა არ მოხდა. უჭორფლო მამას ალელთა  $bb$  შეთანწყობა აქვს, ხოლო ჭორფლიან დედას —  $BB$ , ვინაიდან შთამომავლებში ამ ნიშნი-თაც არ მოხდა დათიშვა. ე.ი. ორივე ნიშნის მიხედვით მამის ალელთა შეთანწყობა იქნება  $AAbb$ , ხოლო დედის —  $aaBB$ .

შევამოწმოთ ჩვენი ვარაუდი.




$F_1$  თაობაში ყველა ხვეულთმიანი და ჭორფლიანია. ჩვენი ვარაუდი გამართლდა.

3. ა. სადა მუხლუხოს და ყვითელი პარკის მომცემი მდედრი პეპლის ზო-ლიან მუხლუხოსა და თეთრი პარკის მომცემ მარტ პეპელასთან შე-ჯვარებით მიღებულმა პეპლებმა განივითარეს ზოლიანი მუხლუხო-ები და ყვითელი პარკები. შთამომავლებს შორის დათიშვა არც ერთი ნიშნით არ მოხდა. მაშასადამე, ორივე პეპელა ჰომოზიგოტია ორივე ნიშნის მიხედვით. აღვნიშნოთ მუხლუხოს ზოლიანი შეფერილობის განმსაზღვრელი დომინანტური გენი  $A$ -თი, ხოლო სადა შეფერილო-ბის განმსაზღვრელი რეცესიული ალელი —  $a$ -თი. პარკის ყვითელი შეფერილობის განმსაზღვრელი გენი —  $B$ -თი, ხოლო პარკის თეთრი შეფერილობის განმსაზღვრელი რეცესიული ალელი —  $b$ -თი.
- ორივე ნიშნით ჰომოზიგოტი სადა, ყვითელი პარკის მომცემი მდე-დრი პეპლის გენოტიპია  $aaBB$ , ხოლო ზოლიანი თეთრი პარკის მომ-ცემი მამრის —  $AAbb$ .

შთამომავლობის გენოტიპის დასადგენად წარმოვადგინოთ შეჯვა-რება სქემატურად:

მიღებული შთამომავლობის გენოტიპია  $AaBb$ .




	$\text{♀ } \text{♂}$	$\text{A } b$	$\text{A } B$
$\underline{a } B$	$\begin{array}{cc} A & B \\ \hline a & b \end{array}$	$\begin{array}{cc} A & B \\ \hline a & b \end{array}$	
$\underline{a } B$	$\begin{array}{cc} A & B \\ \hline a & b \end{array}$	$\begin{array}{cc} A & B \\ \hline a & b \end{array}$	

- ბ. ამოცანის პირობის თანახმად, თუთის აბრეშუმმხვევიას პეპლების შეჯვარებით მიღებულ შთამომავლობაში მოხდა დათიშვა — მათ ჰქონდათ ოთხი ტიპის ფენოტიპი. თანაფარდობა ფენოტიპის მიხედვით შეადგენს დაახლოებით 1:1:1:1.

ორივე პეპელა დიჰეტეროზიგოტური რომ ყოფილიყო, დათიშვა გენოტიპის მიხედვით უნდა მომხდარიყო შეფარდებით 9:3:3:1. შესაწყვილებელი პეპლები ორივე ნიშნით ჰომოზიგოტური რომ ყოფილიყვნენ, დათიშვა არ უნდა მომხდარიყო. იმის გამო, რომ შთამომავლობაში დათიშვა მოხდა ორივე ნიშნით, შეფარდებით 1:1:1:1, უნდა ვივარაუდოთ, რომ ზოლიანი ყვითელი პარკის მომცემი პეპელა დიჰეტეროზიგოტია  $AaBb$  გენოტიპით, ხოლო სადა თეთრი პარკის მომცემი პეპელა — ორივე ნიშნით რეცესიული ჰომოზიგოტი  $aabb$  გენოტიპით.

შევამოწმოთ ჩვენი ვარაუდი.




ჩვენ მიერ ნავარაუდევი გენოტიპების მქონე პეპლების შეჯვარებით ფენოტიპის მიხედვით მივიღეთ ოთხი განსხვავებული პეპელა: ზოლიანი მუხლუხოსა და ყვითელი პარკის მომცემი, ზოლიანი მუხლუხოსა და თეთრი პარკის მომცემი, სადა მუხლუხოსა და ყვითელი პარკის მომცემი, სადა მუხლუხოსა და თეთრი პარკის მომცემი თანაფარდობით 1:1:1:1. ეს კი ემთხვევა ამოცანის პირობის მონაცემებს, ე.ი. ჩვენ სწორად ვივარაუდეთ მშობლების ფენოტიპები და გენოტიპები.

შესაძლებელია მეორე ვარიანტიც:  $Aabb \times aaBb$


4. ხვეულთმიანობის განმსაზღვრელი დომინანტური გენი აღვნიშნოთ  $E$ -თი, სწორი თმის განმსაზღვრელი რეცესიული ალელი —  $e$ -თი, ნორმალური სმენის განმსაზღვრელი დომინანტური გენი —  $A$ -თი, ხოლო სიყრუის განმსაზღვრელი რეცესიული ალელი —  $a$ -თი. ამოცანის პირობის თანახმად, მშობლები ორივე ნიშნით ჰომოზიგოტები არიან, ე.ი. ხვეულთმიანი ყრუ ვაჟის გენოტიპი იქნება  $EEaa$ , ხოლო

სწორთმიანი ნორმალური სმენის მქონე ქალის — **eeAA**.  
ამ ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვების შესაძლო ფენოტიპის დასადგენად, სქემატურად წარმოვადგინოთ ეს ქორწინება.



ამ ქორწინებით დაბადებული ყველა ბავშვი ხვეულთმიანი და ნორმალური სმენის მქონე იქნება.

5. ამოცანის პირობების თანახმად, დედა ყრუ-მუნჯია და არა აქვს პოდაგრა, ხოლო მამას ნორმალური სმენა და მეტყველება აქვს, მაგრამ დაავადებულია პოდაგრით. ვინაიდან ყრუ-მუნჯობა რეცესიული ნიშანია, მისი განმსაზღვრელი გენი აღვნიშნოთ **a**-თი, ხოლო ნორმალური სმენისა და მეტყველების განმსაზღვრელი დომინანტური ალელი — **A**-თი; პოდაგრის განმსაზღვრელი დომინანტური გენი ავლნიშნოთ **B**-თი, ხოლო პოდაგრისადმი მიდრეკილების არქონის რეცესიული ალელი — **b**-თი. დედას, რომელიც ყრუ-მუნჯია და არა აქვს პოდაგრა, ექნება **aabb** გენოტიპი, ხოლო ნორმალური სმენისა და მეტყველების მქონე, პოდაგრით დაავადებულ მამას შეიძლება პქონდეს ოთხი ტიპის გენოტიპი: **AABB**, **AaBB**, **AABb**, **AaBb**. ამიტომ ყრუ-მუნჯი, პოდაგრისადმი მიდრეკილი ბავშვის დაბადება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რომელი გენოტიპი აქვს მამას. უნდა ვივარაუდოთ, რომ ყრუ-მუნჯი, პოდაგრისადმი მიდრეკილების მქონე ბავშვი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიბადება, თუ მამა ორივე ნიშნით ჰეტეროზიგოტია. სხვაგვარად ორივე ნიშნით რეცესიულ პომოზიგოტ დედასთან ქორწინების შემთხვევაში შთამომავლობაში დათიშვა ორივე ნიშნით არ მოხდება.  
შევამოწმოთ ჩვენი ვარაუდი.



შთამომავლობაში დათიშვა მოხდა ორივე ნიშნის მიხედვით: ბავშვების 25% — ნორმალური სმენის, პოდაგრისადმი მიდრეკილებით; 25% — ნორმალური სმენის, პოდაგრისადმი მიდრეკილების არქონით; 25% — ყრუ-მუნჯი, პოდაგრისადმი მიდრეკილების არქონით; 25% — ყრუ-მუნჯი, პოდაგრისადმი მიდრეკილებით. ე.ი. ყრუ-მუნჯი, პოდაგრისადმი მიდრეკილებით ბავშვის დაბადების ალბათობა 25%-ია და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მამა ჰეტეროზიგოტია ორივე ნიშნით, ანუ აქვს  $AaBb$  გენოტიპი.



ადამიანში ახლომხედველობის განმსაზღვრელი დომინანტური გენი ავლიშნოთ  $M$ -ით, ხოლო ნორმალური მხედველობის რეცესიული გენი —  $m$ -ით, თაფლისფერი თვალის განმსაზღვრელი დომინანტური გენი —  $B$ -თი, ხოლო თვალის ცისფერი შეფერილობის რეცესიული ალელი —  $b$ -თი. ახლომხედველ და თაფლისფერთვალა მშობლებს შეიძლება ჰქონდეთ ოთხი ტიპის გენოტიპი:  $MMBB$ ,  $MmBB$ ,  $MMBb$ ,  $MmBb$ . ცისფერთვალა და ნორმალური მხედველობის შვილის გენოტიპი უნდა იყოს  $mmbb$ . ასეთი გენოტიპის მქონე შვილის გაჩენის ალბათობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია მოსალოდნელი, თუ შთამომავლობაში დათიშვა მოხდება ორივე ნიშნის მიხედვით. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ორივე ნიშნით ჰეტეროზიგოტური მშობლების ქორწინებით, ანუ მათი გენოტიპი უნდა იყოს  $MmBb$ .

შევამოწმოთ ჩვენი ვარაუდი.

P:  $\frac{\text{♀ } \underline{\underline{M}} \underline{\underline{B}}}{\underline{m} \underline{b}} \times \frac{\text{♂ } \underline{\underline{M}} \underline{\underline{B}}}{\underline{m} \underline{b}}$

G:  $(\underline{\underline{MB}} \underline{\underline{Mb}} \underline{\underline{mB}} \underline{\underline{mb}}) \quad (\underline{\underline{MB}} \underline{\underline{Mb}} \underline{\underline{mB}} \underline{\underline{mb}})$

$\text{♀ } \text{♂}$	$\underline{\underline{MB}}$	$\underline{\underline{Mb}}$	$\underline{\underline{mB}}$	$\underline{\underline{mb}}$
$\underline{\underline{MB}}$	$M \underline{B}$ $M \underline{B}$	$M \underline{B}$ $M \underline{b}$	$M \underline{B}$ $m \underline{B}$	$M \underline{B}$ $m \underline{b}$
$\underline{\underline{Mb}}$	$M \underline{B}$ $M \underline{b}$	$M \underline{b}$ $M \underline{b}$	$M \underline{B}$ $m \underline{b}$	$M \underline{b}$ $m \underline{b}$
$\underline{\underline{mB}}$	$M \underline{B}$ $m \underline{B}$	$M \underline{B}$ $m \underline{b}$	$m \underline{B}$ $m \underline{B}$	$m \underline{B}$ $m \underline{b}$
$\underline{\underline{mb}}$	$M \underline{B}$ $m \underline{b}$	$M \underline{b}$ $m \underline{b}$	$m \underline{B}$ $m \underline{b}$	$m \underline{b}$ $m \underline{b}$

$F_1$

ჩვენი ვარაუდი გამართლდა. მშობლების გენოტიპებია  $MmBb$ , ხოლო ერთადერთი შვილის —  $mmbb$ .

## II გენეტიკა

### §13



მეცნიერებელთა და მეცნიერებლების თაორია  
გენეტიკის შეზიდული დამეგავიდრება


1. მიღებული შედეგები შეესაბამება მენდელის დომინირების წესს, ანუ მენდელის I კანონს.
2. დროზოფილას რუხი შეფერილობა და ნორმალური ფრთები დომინანტური ნიშნებია, ხოლო შავი შეფერილობა და ჩანასახოვანი ფრთები — რეცესიული, ვინაიდან  $F_1$  თაობაში ყველა დროზოფილა რუხი შეფერილობისა და ნორმალურფრთიანია.





1.  $\frac{A}{a} \frac{B}{b}$  გენოტიპის შემთხვევაში სხვადასხვა ნიშნის განმსაზღვრელი

გენები მოთავსებულია სხვადასხვა წყვილ ჰომოლოგიურ ქრომოსომებში. ამიტომ ისინი დამოუკიდებლად გადანაწილდება გამეტებით.

$\frac{Ab}{a b}$  გენოტიპის შემთხვევაში, სხვადასხვა ნიშნის განმსაზღვრელი გენები ერთ ქრომოსომაშია ლოკალიზებული, ამიტომ ისინი შეჭიდულად დამემკვიდრდება.




2. 
- a. ამ ორგანიზმის ერთ გამეტაში აღმოჩნდება ორი ქრომოსომა.
- ბ. ეს ორგანიზმი წარმოქმნის ოთხი ტიპის გამეტას.



- გ. ერთმანეთისგან დამოუკიდებლად დამემკვიდრდება სხვადასხვა წყვილ ჰომოლოგიურ ქრომოსომებში ლოკალიზებული გენები, მაგალითად, A და B; A და D; C და d. და ა.შ.
- დ. შეჭიდულად დამემკვიდრდება ერთ ქრომოსომაში ლოკალიზებული გენები, თუ ჰომოლოგიურ ქრომოსომებს შორის კროსინგოვერი არ მოხდა. მაგალითად, AC და bD, aC და Bd.
3. დანაოჭებულთესლიანი სიმინდების შეჯვარებით მიიღეს 5 010 შეფერილი გლუვი და 5 017 უფერული დანაოჭებული მარცვალი. ფენოტიპის მიხედვით შთამომავლებს შორის დათიშვაა 1:1. ამასთან, შთამომავლების 50%-ს აქვს ერთი მშობლისთვის დამახასიათებელი ნიშნები, ხოლო მეორე 50%-ს — მეორე მშობლის. ახალი ნიშნების მქონე ინდივიდების წარმოქმნას ადგილი არ ჰქონია. ასეთი შედეგის მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თესლის შეფერილობისა და ფორმის განმსაზღვრელი გენები ერთ ქრომოსომაშია ლოკალიზებული და ამ გენებს შორის შეჭიდულობა სრულია (ე.ი. კროსინგოვერს ადგილი არ ჰქონია). უფერული დანაოჭებული თეს-

ლის მქონე მცენარე ამ ნიშნების მიხედვით რეცესიული ჰომოზიგოტია, სხვა შემთხვევაში, ფენოტიპურად ეს ნიშანი არ გამოვლინდებოდა.

შეფერილი გლუვთესლიანი მცენარე დიჰეტეროზიგოტი უნდა იყოს, რადგან  $F_1$  თაობის ჰიბრიდებში ამ ნიშნის მიხედვით ადგილი ჰქონდა დათიშვას.




$F_1$  თაობაში ჰიბრიდთა 50%-ს შეფერილი გლუვი თესლი აღმოაჩნდა, 50%-ს კი — უფერული დანაოჭებული, ანუ ფენოტიპის მიხედვით მოხდა დათიშვა 1:1, რაც შეესაბამება ამოცანის პირობის თანახმად მიღებულ შედეგებს.

4.  $F_1$  თაობაში მიღებული ოთხი განსხვავებული ფენოტიპის დროზოფილებს შორის თანაფარდობა დაახლოებით 1:1:1:1. მშობლების ნიშნების მქონე ინდივიდებისა და ახლად წარმოქმნილი ნიშნების მქონე ინდივიდების რიცხვი თითქმის ერთნაირია. გენები რომ ერთ ქრომოსომაში ყოფილიყო ლოკალიზებული და მათ შორის შეჭიდულობაც სრული ყოფილიყო, ორი ფენოტიპის მქონე ინდივიდები უნდა მიგველო. ჩვენს შემთხვევაში ოთხი განსხვავებული ფენოტიპის ინდივიდია მიღებული.

გენებს შორის შეჭიდულობა რომ არასრული ყოფილიყო, ანუ ადგილი ჰქონდა კროსინგოვერს, ოთხი განსხვავებული ფენოტიპის მქონე ინდივიდების თანაბარ რაოდენობას ვერ მივიღებდით. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ორი გენი სხვადასხვა წყვილ ჰომოლოგიურ ქრომოსომაშია ლოკალიზებული და ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად დამემკვიდრდებიან.

იმის გამო, რომ  $F_1$  თაობაში მოხდა დათიშვა ორივე ნიშნის მიხედვით, წითელთვალა გრძელფრთებიანი დროზოფილა დიჰეტეროზიგოტია  $\frac{B}{b} \frac{A}{a}$ . მენამულთვალა მოკლეფრთებიანი დროზოფილა რეცესიული ჰომოზიგოტია  $\frac{b}{b} \frac{a}{a}$  (სხვაგვარად რეცესიული ნიშნები არ გამოვლინდებოდა).

შევამოწმოთ ჩვენი ვარაუდი.




$F_1$  თაობაში ოთხი განსხვავებული გენოტიპის დროზოფილა: წითელთვალა გრძელფრთიანი — 25%; წითელთვალა მოკლეფრთიანი — 25%; მენამულთვალა გრძელფრთიანი — 25%; მენამულთვალა მოკლეფრთიანი — 25%.

ამ მონაცემით, ეს ორი წყვილი გენი შეჭიდული არ არის და ჩვენი ვარაუდი გამართლდა.

5. ამოცანის პირობის თანახმად,  $F_2$  თაობის პიბრიდებს შორის მშობლებისთვის დამახასიათებელი ნიშნების მქონე მცენარეები გაცილებით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ახალი ნიშნების მქონე, ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ ამ ორი ნიშნის განმსაზღვრელი გენი შეჭიდულია და გამეტების წარმოქმნისას მეოთხის დროს ადგილი ჰქონდა კროსინგოვერს. იმის გამო, რომ  $F_1$  თაობაში არ მოხდა დათიშვა და ყველა პიბრიდი იყო მწვანეყლორტიანი შეფერილი ყვავილებით და, ამასთან, ვივარაუდეთ, რომ ეს ორი გენი შეჭიდულია, მწვანეყლორტიანი შეფერილი ყვავილების მქონე მშობლიური მცენარის გენოტიპი უნდა იყოს  $\frac{AB}{AB}$ . ყვითელყლორტიანი თეთრყვავილიანი მშობლიური მცენარის გენოტიპი კი  $\frac{ab}{ab}$  იქნება.

წარმოვადგენთ ამ შეჯვარების სქემას ორი თაობის მანძილზე:



მშობლების გენოტიპებია  $\frac{AB}{AB}$  და  $\frac{ab}{ab}$ .

$F_1$  თაობაში ყველა  $\frac{AB}{ab}$  მწვანეყლორტიანი შეფერილყვავილიანი მცენარეა.

$F_2$  თაობის ჰიბრიდების ფენოტიპებია:

მწვანეყლორტიანი შეფერილი ყვავილებით — 43,3%

მწვანეყლორტიანი თეთრი ყვავილებით — 4,5%

ყვითელყლორტიანი შეფერილი ყვავილებით — 7,6%

ყვითელყლორტიანი თეთრი ყვავილებით — 44,6%

$F_2$  თაობის ჰიბრიდების გენოტიპებია —  $\frac{AB}{ab}$ ,  $\frac{Ab}{ab}$ ,  $\frac{aB}{ab}$ ,  $\frac{ab}{ab}$ .


6. ანგორის ბეწვის სადა შეფერილობის ბოცვრისა და ნორმალური ბეწვის ჭრელი შეფერილობის ბოცვრის შეჯვარების შედეგად  $F_2$  თაობის ყველა ჰიბრიდს ნორმალური ბეწვი და ჭრელი შეფერილობა ჰქონდა. აქედან გამომდინარე, ნორმალური ბეწვისა და ჭრელი შეფერილობის გენები დომინანტურია, ხოლო ანგორის ბეწვის სადა შეფერილობის გენები — რეცესიული. შემოვიტანოთ აღნიშვნები:

ნორმალური ბენვი — A, ანგორის ბენვი — a, ჭრელი შეფერილობა — B, ბენვის სადა შეფერილობა — b. გამაანალიზებელი შეჯვარების შედეგად  $F_2$  თაობაში მიღებული შთამომავლების ფენოტიპის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ (მშობლების ნიშნების მქონე ინდივიდები გაცილებით მეტია, ვიდრე ახალი ნიშნების მქონე ინდივიდები), ბენვის ხარისხისა და შეფერილობის განმსაზღვრელი გენები შეჭიდულია. ოთხი განსხვავებული ფენოტიპის ინდივიდების მიღება კი მიანიშნებს იმაზე, რომ მოხდა კროსინგოვერი.

იმის გამო, რომ  $F_1$  თაობაში არ მოხდა დათიშვა ბენვის ხარისხისა და შეფერილობის მიხედვით, ნორმალური ბენვისა და ჭრელი შეფერილობის ერთ-ერთი მშობელი (დავუშვათ მდედრი) არის დომინანტი

დიჰინიგოტი ორივე ნიშნის მიხედვით, ე. ი.  $\frac{AB}{AB}$ . ანგორის ბენვისა და სადა შეფერილობის მამრის გენოტიპი კი იქნება  $\frac{ab}{ab}$ .

წარმოვადგენთ მშობლიური ფორმებისა და გამაანალიზებელი შეჯვარების სქემას:



მშობლების გენოტიპებია:  $\frac{AB}{AB}$  და  $\frac{ab}{ab}$ .

$F_1$  თაობის ყველა ჰიბრიდის გენოტიპია  $\frac{AB}{ab}$  და ნორმალური ბენვი და ჭრელი შეფერილობა აქვს.

$F_2$  თაობის ჰიბრიდების ფენოტიპებია:  
 ნორმალური ბენვი და ჭრელი შეფერილობა — 45, 5%  
 ნორმალური ბენვი და სადა შეფერილობა — 7,7%  
 ანგორის ბენვი და ჭრელი შეფერილობა — 4,5%  
 ანგორის ბენვი და სადა შეფერილობა — 42,3%

$F_2$  თაობის ჰიბრიდების გენოტიპებია:  $\frac{AB}{ab}, \frac{Ab}{ab}, \frac{aB}{ab}, \frac{ab}{ab}$ .


## II გენეტიკა

### §14



სქესის გენეტიკა  
სქესთან შეზღული ნიშნების დამამატიდრება


①



თუ  $X$  ქრომოსომის შემცველი კვერცხუჯრედი განაყოფიერდა  $X$  ქრომოსომის შემცველი სპერმატოზოიდით, ზიგოტაში აღმოჩნდება  $XX$  სასქესო ქრომოსომები — დაიბადება გოგონა.

თუ  $X$  ქრომოსომის შემცველი კვერცხუჯრედი განაყოფიერდა  $y$  ქრომოსომის შემცველი სპერმატოზოიდით, ზიგოტაში აღმოჩნდება  $Xy$  სასქესო ქრომოსომები — დაიბადება ვაჟი. დაბადებულ გოგონებსა და ვაჟებს შორის თანაფარდობაა 1:1.


- 1 ამ ქორნინების შედეგად დალტონიზმით დაავადებული გოგონა არ დაიბადება. გოგონების 50% იქნება დალტონიზმის გენის მტარებელი.
- 2 ამ ქორნინებით დაბადებული გოგონების გენოტიპებია:  $X^D X^D$ ;  $X^D X^d$ .
- 3 ამ ქორნინების შედეგად შესაძლებელია როგორც დალტონიზმით დაავადებული, ისე ჯანმრთელი ვაჟების დაბადება. ვაჟების 50% ჯანმრთელი იქნება, ხოლო 50% — დალტონიზმით დაავადებული.
- 4 გოგონებს შორის ჰემოფილით დაავადებულები არ იქნებიან, ისინი შეიძლება ჯანმრთელები ან ჰემოფილის გენის მტარებლები იყვნენ.
- 5 ამ გოგონების გენოტიპებია  $X^H X^H$  და  $X^H X^h$ .
- 6 ამ ქორნინების შედეგად დაიბადებიან ჯანმრთელი და დაავადებული ვაჟებიც. ჯანმრთელი და დაავადებული ვაჟების დაბადების ალბათობა თანაბარია.
- 7 ქალის მესამე ვაჟი წინდაცვეთისგან გათავისუფლებული იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ის ქალს სხვა მეუღლისგან ეყოლა. ჰემოფილის გენი ვაჟებს დედისგან გადაეცემათ.
- 8 მამაკაცის მესამე ვაჟი წინდაცვეთისგან გათავისუფლებული არ იქნება, ვინაიდან ის მამაკაცს სხვა მეუღლისგან ეყოლა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ქალი არ არის ჰემოფილის გენის მტარებელი.
- 9 ამ შემთხვევაში იგულისხმება ვაჟის ძმები და ბიძები დედის მხრიდან, ვინაიდან ჰემოფილის გენი დედიდან გადადის შთამომავლებზე.
- 10 ამ დაავადების გამომწვევი გენი უ ქრომოსომასთან შეჭიდული რეცესიული გენია.



	♀	♂
	X	$X$
X	$XX$	$XY^b$
X	$XX$	$XY^b$

ამ ქორნინებიდან დაბადებული ყველა გოგონა ჯანმრთელი იქნება, რადგან გოგონებს უ ქრომოსომა არა აქვთ. ყველა ვაჟი დაავადებული იქნება.

- 11 კბილის მინანქრის ცვეთის მქონე მშობლებს ჯანმრთელი ვაჟი მხოლოდ იმ შემთხვევაში ეყოლებათ, თუ დედა ჯანმრთელი გენის ( $b$ ) მტარებელია.



	♀	♂
	$X^B$	$X$
$X^B$	$X^B X^B$	$X^B Y$
$X^b$	$X^B X^b$	$X^b Y$


- ② თეთრთვალა მდედრი გენოტიპის მიხედვით იქნება  $X^wX^w$ . სხვაგვარად მდედრი თეთრთვალა ვერ იქნებოდა. რაც შეეხება მამრს, იმის გამო, რომ  $y$  ქრომოსომაში თვალის შეფერილობის გენის ალელი არ არის და მამრი წითელთვალაა,  $X$  ქრომოსომაში იქნება წითელი თვალის დომინანტური ალელი  $W$ . ე.ი. მამრის გენოტიპი იქნება  $X^WY$ .  
ჰიბრიდების გენოტიპების დასადგენად წარმოვადგენთ შემდეგ სქემას:

	$\frac{\text{♀}}{\text{♂}}$	$X^w$	$y$
$X^w$	$X^wX^w$	$X^wy$	
$X^w$	$X^wX^w$	$X^wy$	

ჰიბრიდებს შორის წითელთვალა მდედრების გენოტიპია  $X^WX^w$ , ხოლო თეთრთვალა მამრების —  $X^wy$ .



1.



- თუ გენი შეჭიდულია  $X$  ქრომოსომასთან, ის გოგონებსაც გადაეცემა და ვაჟებსაც.
- მედიკოსებმა უპასუხეს ქალს, რომ მისი შვილებიდან, გოგონები ჯანმრთელები იქნებიან, ხოლო ვაჟები, აუცილებლად დაიმემკვიდრებდნენ სინდაქტილიას, ვინაიდან სინდაქტილიის გენი  $y$  ქრომოსომასთანაა შეჭიდული.
- გენეტიკური თვალსაზრისით, ეს გამოთქმა სავსებით სწორი არ არის. ჯანმრთელ მშობლებს, თუ ისინი დაავადების განმსაზღვრელი რეცესიული გენების მტარებლები არიან, შეიძლება ეყოლოთ დაავადებული შვილები. ეს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ზიგოტაში აღმოჩნდება ორივე მშობლიდან მიღებული დაავადების გამომწვევი რეცესიული გენი.
- ქალი, რა თქმა უნდა, არასწორად მსჯელობდა, ვინაიდან დალტონიზმის გენი ვაჟმა სწორედ დედისგან მიიღო.
- აუტოსომაში განლაგებული დეფექტური გენების გადაცემა არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რომელი მშობელია მისი მტარებელი. ის ორივე მშობლიდან გადაეცემა შთამომავლებს.



1.

- ა. ჰეტეროზიგოტი დედის გენოტიპია  $X^P X^P$ , ხოლო მამის  $X^P Y$ , ვინაიდან ის ჯანმრთელია.

P:	$\text{♀ } X^P X^P$	$X$	$X^P$	$y \sigma$	$\frac{\text{♀} \sigma}{X^P}$	$X^P$	$y$
G:	$X^P$	$X^P$	$X^P$	$y$	$X^P$	$X^P X^P$	$X^P y$
					$X^P$	$X^P X^P$	$X^P y$

ამ ქორწინების შედეგად დაბადებული გოგონების 50% რაჭიტით იქნება დაავადებული, 50% კი ჯანმრთელი იქნება. ვაჟებს შორისაც 50% იქნება დაავადებული, ხოლო 50% — ჯანმრთელი.

- ბ. ჯანმრთელი დედის გენოტიპი იქნება  $X^P X^P$ , ხოლო დაავადებული მამის —  $X^P y$ .

P:	$\text{♀ } X^P X^P$	$X$	$X^P$	$y \sigma$	$\frac{\text{♀} \sigma}{X^P}$	$X^P$	$y$
G:	$X^P$	$X^P$	$X^P$	$y$	$X^P$	$X^P X^P$	$X^P y$
					$X^P$	$X^P X^P$	$X^P y$

ამ ქორწინებით დაბადებული ყველა გოგონა დაავადებული იქნება რაჭიტით, ხოლო ვაჟები ჯანმრთელები იქნებიან.

2.  $F_1$  თაობაში ყველა მდედრი იადონი ყავისფერი შეფერილობის რომ მიეღოთ, მამალი რეცესიული ნიშნით ჰომოზიგოტი ( $X^a X^a$ ) უნდა ყოფილიყო, რათა მამლის  $X^a$  ქრომოსომის შემცველი გამეტის დედლის  $y$  ქრომოსომიან გამეტასთან შერწყმისას გამოვლენილიყო ყავისფერი შეფერილობა.  $F_1$  თაობის ყველა მამრში მწვანე შეფერილობა რომ გამოვლენილიყო, დედლის  $X$  ქრომოსომაში უნდა ყოფილიყო მწვანე შეფერილობის  $A$  გენი, რათა მამლის  $X^a$  და დედლის  $X^A$  გამეტების შერწყმისას ყველა მამრში მწვანე შეფერილობა გამოვლენილიყო. ე.ი. შეწყვილებულ დედალს  $X^A y$ , ხოლო მამალს  $X^a X^a$  გენოტიპები უნდა ჰქონდეთ.

შევამოწმოთ ჩვენი ვარაუდი.

P:	$\text{♀ } X^A y$	$X$	$X^a$	$X^a \sigma$	$\frac{\text{♀} \sigma}{X^A}$	$X^a$
G:	$X^A$	$y$	$X^a$	$X^a$	$X^A$	$X^A X^a$


$\frac{\text{♀} \sigma}{X^A}$	$X^a$	$X^a$
$X^A$	$X^A X^a$	$X^A X^a$
$y$	$X^a y$	$X^a y$

$F_1$

$F_1$  თაობაში მამრები მწვანე შეფერილობის არიან, ხოლო მდედრები — ყავისფერი. ე.ი. ჩვენ სწორად განვსაზღვრეთ მშობლების გენოტიპი.


3. რუხი სხეულის მქონე მდედრი დროზოფილას შეჯვარებისას ყვითელი სხეულის მქონე მამრთან  $F_1$  თაობაში დათიშვა არ მოხდა — ყველა ჰიბრიდს, მდედრებსაც და მამრებსაც, რუხი სხეული ჰქონდათ. მაშასადამე, მდედრს  $X^A X^A$  გენოტიპი აქვს. ყვითელი სხეულის მქონე მამრის გენოტიპი კი იქნება  $X^a y$ .

„ბ“ პუნქტის შეკითხვებზე პასუხის გასაცემად შევადგინოთ ამ შეჯვარების სქემა ორი თაობის მანძილზე:



a. მშობლების გენოტიპებია: მდედრის  $X^A X^A$ , მამრის  $X^a y$ ;


b.  $F_1$  თაობის ჰიბრიდების გენოტიპებია: მდედრის  $X^A X^a$ , მამრის  $X^A y$ .




$F_2$  თაობის ჰიბრიდების გენოტიპებია: მდედრის  $X^A X^A$ ,  $X^A X^a$ , მამრის  $X^A y$ ;  $X^a y$ .

$F_2$  თაობაში ყველა მდედრი რუხი შეფერილობისაა. მამრებს შორის შეფერილობის მიხედვით მოხდა დათიშვა 1:1, ანუ 50% ჰქონდა რუხი სხეული, ხოლო 50%-ს — ყვითელი სხეული. მიღებული შედეგი შეესაბამება ამოცანის პირობას.

4. ფენოტიპურად ჯანმრთელ დედას ორნაირი გენოტიპი შეიძლება ჰქონდეს. თუ იგი არ არის ჰქონდების გენის მტარებელი, მისი გენოტიპი იქნება  $X^h X^h$ . თუ დედა ჯანმრთელია, მაგრამ ჰქონდების გენის მტარებელი, მისი გენოტიპი იქნება  $X^H X^h$ . ჰქონდებით დაავადებული მამაკაცის გენოტიპია  $X^h y$ . განვიხილოთ ქორნინების სქემა ქალის ორივე გენოტიპის შემთხვევაში.




თუ დედის გენოტიპია  $X^H X^H$ , დაბადებული გოგონები ჯანმრთელი, მაგრამ ჰემოფილის გენის მტარებლები იქნებიან. ვაჟები ჯანმრთელები დაიბადებიან.



თუ დედის გენოტიპია  $X^H X^h$ , დაბადებული გოგონების ნახევარი ჰემოფილის გენის მტარებელი იქნება, ხოლო ნახევარი — ჰემოფილით დაავადებული, რაც ძალზედ იშვიათია.


ვაჟების ნახევარი ჯანმრთელი, ხოლო ნახევარი ჰემოფილით დაავადებული იქნება. ჰემოფილით დაავადებული ვაჟების დაბადების ალბათობა 50%-ია.

5. იმის გამო, რომ მამას არ გააჩნდა საოფლე ჯირკვლები, ქალიშვილის გენოტიპი, იქნება  $X^A X^a$ . საოფლე ჯირკვლების მქონე ვაჟის გენოტიპი იქნება  $X^A y$ . იმის დასადეგენად, ექნებათ თუ არა ამ ქორწინების შედეგად დაბადებულ ვაჟებსა და გოგონებს საოფლე ჯირკვლები, ალნიშნული ქორწინება წარმოვადგინოთ სქემატურად:



ამ ქორწინების შედეგად დაბადებულ გოგონებში საოფლე ჯირკვლების უქონლობა არ გამოვლინდა. ვაჟების ნახევარს საოფლე ჯირკვლები ექნება, ხოლო ნახევარს — არა.

6.



- დედოფალი ვიქტორია არის „დამნაშავე“, ვინაიდან სწორედ მისგან გადაეცა მომდევნო თაობებს ჰემოფილის გენი.
- შვილებს შორის ჰემოფილით დაავადებული იყო მხოლოდ ერთი მამაკაცი, ხოლო ყველა ქალი ჯანმრთელი იყო. შვილიშვილებს შორის დაავადებული იყო სამი მამაკაცი, ხოლო ქალი ჯანმრთელი. შვილთაშვილებს შორის 6 მამაკაცი იყო დაავადებული და ყველა ქალი — ჯანმრთელი. მათი რიცხვი ერთნაირი არ არის.
- ყველა შემთხვევაში ვაჟებმა ჰემოფილის გენი დედისგან მიიღეს.
- ამ დაავადების გენი ქალიშვილმა — მტარებელმა ზოგ შემთხვევაში დედისგან, ზოგ შემთხვევაში კი მამისგან მიიღო.


## II გენეტიკა

### §15




გენეტიკის ურთიერთქმედება  
არასრული დომინანცია  
კომალებებისარობა, ეპისტაზი, ჰოლომორია  
გენეტიკური მრავლობითი მოქმედება

- ① ანდალუზიური წმინდა ჯიშის შავი და თეთრი ქათმების შეჯვარებით  $F_1$  თაობაში ყველა ნინილა ცისფერი დაიბადა.




ამ შემთხვევაში ადგილი აქვს არასრულ დომინირებას. ცისფერ ქათამს აქვს  $Aa$  გენოტიპი. ფერმაში მხოლოდ ცისფერი ქათმის მოსაშენებლად ერთმანეთს თუ ცისფერ ქათმებს აჯვარებენ, მიიღებენ შემდეგ შედეგს:




$F_2$  თაობაში ფერმატიპის მიხედვით ადგილი აქვს დათიშვას 1:2:1: დაიბა-დებიან თეთრი, შავი და ცისფერი ქათმები. ამიტომ შეუძლებელია მხოლოდ ცისფერი ქათმების მოშენება.

- ② IV ჯგუფის სისხლის მქონე მშობლებს აქვთ  $J^A J^B$  გენოტიპი.  
წარმოვადგინოთ ამ მშობლების ქორნინების სქემა და გავარკვიოთ,  
რომელი ჯგუფის სისხლი შეიძლება ჰქონდეთ მათ შვილებს.



ამ მშობლებს შეიძლება ეყოლოთ შვილები II ( $J^A J^A$ ), III ( $J^B J^B$ ) და IV ( $J^A J^B$ ) ჯგუფის სისხლით.


- ① თეთრყვავილიანი სურნელოვანი ბარდის გენოტიპები ყვავილის შეფერ-ილობის მიხედვით შეიძლება იყოს  $AAbb$ ,  $Aabb$ ,  $aaBB$ ,  $aaBb$ .
- ③  $AAbb$  გენოტიპის თეთრყვავილიანი ბარდების შეჯვარებისას შთამომავ-ლებს შორის არ შეიძლება აღმოჩნდეს წითელყვავილიანი მცენარეები, ვინაიდან წითელი ფერის წარმოქმნისთვის საჭიროა გენოტიპში იყოს ერთდროულად ორივე დომინანტური  $A$  და  $B$  გენი. მშობლების გენო-ტიპში კი  $B$  გენი საერთოდ არ არის (სწორედ ამიტომ არიან ისინი თეთ-რყვავილიანი). ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ფეროტიპის მიხედვით დათიშვა არ მოხდება.  
შევამოწმოთ ჩვენი ვარაუდი.



100% თეთრყვავილიანი

ე.ო. ჩვენი ვარაუდი გამართლდა.

- ④  $F_2$  თაობის იმ შთამომავლებს შორის, რომელთა გენოტიპში არის შეფერილობის განმსაზღვრელი დომინანტური C გენი, მაგრამ მასთან ერთად არის მისი გამოვლენის დამთრგუნველი დომინანტური J გენი, ქათმები თეთრი იქნება, ე.ი. CCJJ, CCJj, CcJJ, CcJj გენოტიპის ქათმები თეთრი ფერის იქნება.




	CJ	Cj	cJ	cj
CJ	CCJJ	CCJj	CcJJ	CcJj
Cj	CCJj	CCjj	CcJj	Ccj
cJ	CcJJ	CcJj	ccJJ	ccJj
cj	CcJj	Ccj	ccJj	ccjj

თეთრი იქნება ის ქათმებიც, რომლებიც ჰომოზიგოტურები არიან უპიგ-მენტობის რეცესიული გენის მიხედვით. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს გენოტიპში იქნება თუ არა შეფერილობის დამთრგუნველი დომინანტური J გენი. ე.ი. ccJJ, CCJj, CcJJ გენოტიპის ქათმები თეთრი შეფერილობისაა.

იმ შემთხვევაში, თუ გენოტიპში ერთდროულად აღმოჩნდება შეფერილობის განმსაზღვრელი დომინანტური C გენი და რეცესიული j გენი, რომელსაც არ გააჩნია შეფერილობის დათრგუნვის უნარი, ქათმები შეფერილი იქნება. ე.ი. CCjj, Ccjj გენოტიპის ქათმები შეფერილი იქნება. მაშასადამე,  $F_2$  თაობაში შთამომავლობის 3/16 შეფერილი იქნება.


- ⑤ შავკანიანის გენოტიპია  $A_1 A_1 A_2 A_2 A_3 A_3 A_4 A_4$ , თეთრკანიანის კი —  $a_1 a_1 a_2 a_2 a_3 a_3 a_4 a_4$ . ნარმოვადგინოთ შავკანიანისა და თეთრკანიანის ქორწინების სქემა:




ამ ქორწინებით დაბადებულ ყველა ბავშვს ერთნაირი ფენოტიპი (ანუ კანის ფერი) და გენოტიპი აქვს. ისინი დაიმემკვიდრებენ შუალედურ ფერს.



1. მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს არასრულ დომინირებას. ჰომოზიგოტი ნითელყვავილიანი დევისპირას გენოტიპია AA, ხოლო თეთრყვავილიანის — aa.




100% ვარდისფერყვავილიანი




F<sub>2</sub> თაობაში მცენარეების 1/4 (25%) ნითელყვავილიანია, 2/4 (50%) — ვარდისფერყვავილიანი და 1/4 (25%) — თეთრყვავილიანი.

2. I ჯგუფის სისხლის მქონე დედის გენოტიპია  $J^0J^0$ , ხოლო IV ჯგუფის სისხლის მქონე მამის —  $J^AJ^B$ . კითხვაზე სწორი პასუხის გასაცემად აუცილებელია, ამ მშობლების ქორწინების შედეგად დაბადებული შვილების სისხლის ჯგუფის დადგენა.



ამ ქორწინების შედეგად დაბადებულ შვილებს შორის 50%-ს ექნება II ჯგუფის ( $J^0J^A$ ) სისხლი, ხოლო 50%-ს — III ჯგუფის ( $J^0J^B$ ) სისხლი. ე.ი. I და IV ჯგუფის სისხლის მქონე მშობლები არ შეიძლება გამოდგნენ შვილების დონორად.

3. შეაჯვარეს მუქი წითელი მარცვლის მქონე ხორბალი, რომლის გენოტიპია  $A_1 A_1 A_2 A_2$ , თეთრმარცვლიან ხორბალთან  $a_1 a_1 a_2 a_2$  გენოტიპით.



$F_1$  თაობაში მცენარეების გენოტიპია  $A_1 a_1 A_2 a_2$ . ამ მცენარეების მარცვლებს ღია წითელი შეფერილობა ექნება.

4. შესაწყვილებელი ცხენების გენოტიპებია  $CcJj$ . ისინი თეთრი შეფერილობის იქნებიან, ვინაიდან გენოტიპში  $C$  დომინანტური გენის გამოვლენა ითრგუნება  $J$  დომინანტური გენით. წარმოვადგინოთ ამ ცხენების შეჯვარების სქემა:

	$\frac{\text{♀}}{\underline{C}\ \underline{J}}$	$\frac{\text{J}}{\underline{c}\ \underline{j}}$	$\times$	$\frac{\text{♂}}{\underline{C}\ \underline{J}}$	$\frac{\text{J}}{\underline{c}\ \underline{j}}$			
G:	$\textcircled{CJ}$	$\textcircled{Cj}$	$\textcircled{cJ}$	$\textcircled{cj}$	$\textcircled{CJ}$	$\textcircled{Cj}$	$\textcircled{cJ}$	$\textcircled{cj}$
$F_1$	$\frac{\text{♀} \text{♂}}{\underline{C}\ \underline{J}}$	$\frac{\text{C}\ \underline{j}}{\underline{C}\ \underline{j}}$	$\frac{\underline{C}\ \text{j}}{\underline{C}\ \underline{J}}$	$\frac{\underline{c}\ \underline{J}}{\underline{C}\ \underline{J}}$	$\frac{\underline{c}\ \underline{J}}{\underline{c}\ \underline{j}}$			
	$\frac{\text{C}\ \underline{J}}{\underline{C}\ \underline{J}}$ J თეთრი	$\frac{\text{C}\ \underline{J}}{\underline{C}\ \underline{j}}$ j თეთრი	$\frac{\underline{C}\ \underline{J}}{\underline{C}\ \underline{J}}$ J თეთრი	$\frac{\underline{C}\ \underline{J}}{\underline{c}\ \underline{j}}$ j თეთრი	$\frac{\underline{c}\ \underline{J}}{\underline{c}\ \underline{j}}$ j თეთრი			
	$\frac{\text{C}\ \underline{J}}{\underline{C}\ \underline{j}}$ j თეთრი	$\frac{\text{C}\ \underline{j}}{\underline{C}\ \underline{J}}$ J შავი	$\frac{\underline{C}\ \underline{J}}{\underline{c}\ \underline{j}}$ J თეთრი	$\frac{\underline{C}\ \underline{j}}{\underline{c}\ \underline{j}}$ j შავი				
	$\frac{\underline{C}\ \underline{J}}{\underline{C}\ \underline{J}}$ J თეთრი							
	$\frac{\underline{c}\ \underline{J}}{\underline{c}\ \underline{j}}$ j თეთრი	$\frac{\underline{c}\ \underline{j}}{\underline{C}\ \underline{j}}$ J შავი	$\frac{\underline{c}\ \underline{J}}{\underline{c}\ \underline{j}}$ j თეთრი	$\frac{\underline{c}\ \underline{j}}{\underline{c}\ \underline{j}}$ j შდალი				

ამ შეჯვარებით იბადება 12 თეთრი, 3 შავი და 1 შდალი შეფერილობის ცხენი. გენთა ურთიერთქმედებას, როცა ერთი გენის მოქმედება ითრგუნება სხვა არაალელური გენით, ეპისტაზი ჰქვია.

5. შეაჯვარეს ორი დიპეტეროზიგოტი რუხი თაგვი. ამ თაგვების გენოტიპია  $BbCc$ . წარმოვადგინოთ ამ შეჯვარების სქემა:

	$\frac{\text{♀}}{\underline{B}\ \underline{C}}$	$\frac{\text{C}}{\underline{b}\ \underline{c}}$	$\times$	$\frac{\text{♂}}{\underline{B}\ \underline{C}}$	$\frac{\text{C}}{\underline{b}\ \underline{c}}$			
G:	$\textcircled{BC}$	$\textcircled{Bc}$	$\textcircled{bC}$	$\textcircled{bc}$	$\textcircled{BC}$	$\textcircled{Bc}$	$\textcircled{bC}$	$\textcircled{bc}$
$F_1$	$\frac{\text{♀} \text{♂}}{\underline{B}\ \underline{C}}$	$\frac{\text{B}\ \underline{C}}{\underline{B}\ \underline{C}}$	$\frac{\text{B}\ \underline{C}}{\underline{B}\ \underline{C}}$	$\frac{\underline{B}\ \underline{C}}{\underline{b}\ \underline{C}}$	$\frac{\underline{B}\ \underline{C}}{\underline{b}\ \underline{C}}$			
	$\frac{\text{B}\ \underline{C}}{\underline{B}\ \underline{C}}$ რუხი	$\frac{\text{B}\ \underline{C}}{\underline{B}\ \underline{C}}$ რუხი	$\frac{\underline{B}\ \underline{C}}{\underline{b}\ \underline{C}}$ რუხი	$\frac{\underline{B}\ \underline{C}}{\underline{b}\ \underline{C}}$ რუხი				
	$\frac{\text{B}\ \underline{C}}{\underline{B}\ \underline{C}}$ რუხი	$\frac{\text{B}\ \underline{C}}{\underline{B}\ \underline{C}}$ თეთრი	$\frac{\underline{B}\ \underline{C}}{\underline{b}\ \underline{C}}$ რუხი	$\frac{\underline{B}\ \underline{C}}{\underline{b}\ \underline{C}}$ თეთრი				
	$\frac{\underline{B}\ \underline{C}}{\underline{b}\ \underline{C}}$ რუხი	$\frac{\underline{B}\ \underline{C}}{\underline{b}\ \underline{C}}$ რუხი	$\frac{\underline{b}\ \underline{C}}{\underline{b}\ \underline{C}}$ შავი	$\frac{\underline{b}\ \underline{C}}{\underline{b}\ \underline{C}}$ შავი				
	$\frac{\underline{b}\ \underline{C}}{\underline{b}\ \underline{C}}$ რუხი	$\frac{\underline{b}\ \underline{C}}{\underline{b}\ \underline{C}}$ თეთრი	$\frac{\underline{b}\ \underline{C}}{\underline{b}\ \underline{C}}$ შავი	$\frac{\underline{b}\ \underline{C}}{\underline{b}\ \underline{C}}$ თეთრი				

$$\frac{B}{B} \frac{C}{C}, \frac{B}{b} \frac{C}{C}, \frac{B}{B} \frac{C}{c}, \frac{B}{b} \frac{C}{c} \text{ გენოტიპის მქონე თაგვებს}$$

რუხი შეფერილობა ექნება, ვინაიდან მათ გენოტიპი არის როგორც რუხი შეფერილობის დომინანტური **B** გენი, ისე დომინანტური **C** გენი, რომელიც არ თრგუნავს გენის გამოვლენას.

$$\frac{b}{b} \frac{C}{C} \text{ და } \frac{b}{b} \frac{C}{c} \text{ გენოტიპის მქონე თაგვები შავი ფერის იქნებიან,}$$

ვინაიდან დომინანტური **C** გენი არ თრგუნავს შავი შეფერილობის რეცე-სიული **b** გენის გამოვლენას, რომელიც ჰომოზიგოტურ მდგომარეობა-შია.

გენოტიპში რეცესიული **C** გენი ჰომოზიგოტურ მდგომარეობაში თრგუ-ნავს როგორც **B** რუხი შეფერილობის, ისე **b** შავი შეფერილობის გენების გამოვლენას. ამიტომ თაგვები, რომელთა გენოტიპებია  $\frac{B}{B} \frac{C}{C}$ ,

$$\frac{B}{b} \frac{C}{c} \text{ და } \frac{b}{b} \frac{C}{c} \text{ ალბინოსები არიან.}$$

ამრიგად, ამ შეჯვარების შედეგად ფენოტიპის მიხედვით მივიღეთ და-თიშვა:  $9/16$  — რუხი თაგვი;  $3/16$  — შავი თაგვი;  $4/16$  — ალბინოსი.


## 6.

- ა. თუთიყუშების შეფერილობის განსაზღვრაში ადგილი აქვს კომპლე-მენტარობას, ვინაიდან კომპლემენტარობის დროს არაალელური გენები გენოტიპში ერთობლივი არსებობისას განაპირობებს ახალი ნიშნის განვითარებას.
1. ბუგრი მცენარეებზე პარაზიტობს. ის პირველი რიგის კონსუმენტია. თუ რწყილი მცენარეჭამია ცხოველზე პარაზიტობს, ის მეორე რიგის კონსუმენტია, ხოლო თუ მტაცებელ ცხოველზე პარაზიტობს, ის შესაძლოა იყოს მესამე, მეოთხე ან მეხუთე რიგის კონსუმენტი.
2. რედუცენტებიც, კონსუმენტების მსგავსად, პროდუცენტების მიერ შექმნილ ორგანულ ნივთიერებებს მოიხმარენ.



1. როდესაც დათვი სოკოთი იკვებება, ის მეორე კვებით დონეზეა. როდესაც ირემზე ნადირობს — მესამე კვებით დონეზე, ხოლო როცა ცხოველის ლეშს ჭამს, ის რედუცენტია და შესაძლოა, მესამე, მეოთხე ან მეხუთე კვებით დონეს იკავებდეს.
2. ღრმა ოკეანეებსა და ტბების ფსკერზე პროდუცენტები პრაქტიკულად არ არიან. აქ ფსკერის ორგანიზმები ძირითადად წყლის ზედა ფენებიდან ფსკერზე დაშვებული ლეშით იკვებებიან. ფოთოლცვენია ტყეებში სქელია ჩამოცვენილი ფოთლების, ტოტებისა და ხის ქერქის ნაწილების ფენა, რომელზეც დეტრიტოფაგები სახლდებიან და გარდაქმნიან.
3. პესტიციდებს ადამიანი ბაქტერიებისა და სოკოების წინააღმდეგ იყენებს, რომლებიც აზიანებენ მცენარეებს. პესტიციდების დიდი რაოდენობით გამოყენების შემთხვევაში ნადგურდება რედუცენტი ბაქტერიებიც, რომლებიც მინერალიზაციას აწარმოებენ. ამიტომ მცენარის კვება უარესდება.
4. როგორც ჩანს, კელას თაგვები ემტერებოდნენ, რომლებიც ძალიან გამრავლდნენ.

კვებითი ჯაჭვი ასე გამოიყურება:

იონჯა —→ კელა —→ თაგვი —→ კატა

# V ეკოლოგია

ჯ38




ეკოლოგიური პირამიდები  
რიცხვთა, პიონერისა და ენერგიის პირამიდები




ახალშობილებში შედარებით მაღალია D მაჩვენებელი, ზრდასრულ ადამიანში — C, ხანძშესულში — C, 30 წლის სპორტსმენში — C, 17 წლის მოზარდში — D.


1. ნერვული იმპულსი.



2. ქიმიური ბმების ენერგიად — ორგანული ნივთიერებების სინთეზის დროს, მექანიკურ ენერგიად — მოძრაობისას, ელექტრულ ენერგიად — ნერვული იმპულსების წარმოქმნისას, სითბურ ენერგიად — სუნთქვისას, სინათლის ენერგიად — ნათების დროს.
3. B პირამიდა რიცხვთა პირამიდაა, A კი ენერგიის. ენერგიის პირამიდას ყოველთვის წესიერი ფორმა აქვს, ხოლო რიცხვთა პირამიდა შეიძლება ამობრუნებული იყოს.




A



B

4. B პირამიდა გამოხატავს კვებით ჯაჭვს: ხე-მცენარე — ბუგრი — ჭიამაია — ჭიამაიას პარაზიტი. რადგან ერთ ხეზე ძალიან ბევრი ბუგრი პარაზიტობს, რომლებსაც შედარებით მცირე ზომის ჭიამაიები ანადგურებენ. ჭიამაიებს ბევრი პარაზიტი ჰყავთ. A პირამიდა გამოხატავს კვებით ჯაჭვს: ფოთლები — მუხლუხო — შაშვი — შაშვი — ქორი.



1.



- I რიგის კონსუმენტი → კარტოფილი  
ძროხის ხორცი
- II რიგის კონსუმენტი → ბრინჯი  
ქათამი  
რძე  
ღორის ხორცი
- III რიგის კონსუმენტი → თაფლი  
ლოქო  
ხიზილალა  
იხვი

2. პ.

3. არასწორი ფრაზებია: მე-2, მე-3, მე-5.



1. კვებითი ჯაჭვების მე-6 რგოლამდე და ეკოლოგიური პირამიდის მე-6 ბლოკამდე იმდენად მცირე ენერგია აღწევს, რომ ის ვერც ერთ სხვა ორგანიზმის ენერგეტიკულ მოთხოვნილებებს ვეღარ დააკმაყოფილებს.
2. ამ რაოდენობის მასის შექმნას მისი ქვემოთ მდებარე კვებითი დონეები ვერ უზრუნველყოფს.
3. ლიპაზები საჭმლის მომნელებელ ტრაქტში ლიპიდებს შლის. ლიპაზის ინჰიბიტორი ბლოკავს მის მოქმედებას, ამიტომ საკვებში არსებული ცხიმი ორგანიზმის მიერ ვერ შეითვისება. ეს ხელს შეუშლის ცხიმის დაგროვებას ორგანიზმში და მისი მასის ზრდას.

# V ეკოლოგია


## §39



ეკოლოგიური პირამიდები  
რეცენზა, პიროვანისა და ენერგიის პირამიდები

- 1 ლიზოსომები.
- 2 ნიორი, ხახვი, ფიჭვი, ნაძვი, მუხა, კაკალი გამოყოფს ფიტონციდებს, რომლებიც თრგუნავს ბაქტერიებისა და სოკოების ზრდას. ისინი მოქმედებენ მწერებზეც.
- 3 ჰიპოთალამუსი ჰიპოფიზის არეგულირებს, ჰიპოფიზი კი სასქესო ჯირკვლებს. სასქესო ჯირკვლების მოქმედებაზეა დამოკიდებული სასქესო ორგანოების ნორმალური ფუნქციონირება.

1.



- ა. A გრაფიკზე *P. aurella*-ს რიცხობრიობა ექსპერიმენტის პირველ დღეებში ძალიან დაბალია. მე-3 დღიდან ის მკვეთრად იზრდება. მე-10 დღიდან პოპულაციის ზრდა აღარ შეიმჩნევა. *P. caudatum*-ის რიცხობრიობა პირველ დღეებში თითქმის *P. aurella*-ს რიცხობრიობას ემთხვევა. მაქსიმალურ მნიშვნელობას მე-4 დღეს აღწევს და შემდეგ თანდათან მცირდება. მე-14 დღეს, როდესაც *P. aurella* ძალიან გამრავლებულია, მისი რიცხობრიობა 0-მდე დადის.
- ბ. B გრაფიკზე *P. aurella*-ს რიცხობრიობა მე-2 დღიდან მკვეთრად იზრდება და მაქსიმუმს მე-6 დღეზე აღწევს. შემდეგ კი ინდივიდების რიცხვი პოპულაციაში სტაბილურია. მსგავსი მრუდი აქვს *P. caudatum*-ს, თუმცა *P. aurella*-ს პოპულაცია, *P. caudatum*-თან შედარებით, თითქმის ორჯერ მრავალრიცხოვანია.

8. B გრაფიკი ასახავს პირველი ექსპერიმენტის შედეგებს, A კი მეორე ექსპერიმენტისას.

2.




- a. პირველი ექსპერიმენტის შედეგს B გრაფიკი გამოხატავს.  
 b. მსხვერპლის პოპულაციის რიცხობრივ ცვლილებას მწვანე მრუდი ასახავს.  
 c. მტაცებელს წითელი მრუდი ეკუთვნის.  
 d. ქვიშაში მტაცებელს მსხვერპლი დაემალა.  
 e. მტაცებლის დაღუპვის შემდეგ მსხვერპლს მტერი აღარ ჰყავდა და ის სწრაფად გამრავლდა.

3. a.

- b. პოპულაციის ვიწრო ფარგლებში მერყეობის მიზეზი შეიძლება იყოს კანონგარეშე ნადირობა, ბრაკონიერობა, სივრცისა და საკვების სიმცირე.


4.

- a. A  
 b. B  
 c. A  
 d. C  
 e. C  
 f. C




8. ამ მრუდით შეიძლება იმსჯელო იმაზე, თუ რომელ ასაკშია ესა თუ ის სახეობა განსაკუთრებით მგრძნობიარე და თუ ეს შესაძლებელია, შეასუსტო გარემოს არასასურველი ზემოქმედება.  
 ამ მონაცემების გათვალისწინება აუცილებელია ნადირობისა და მავნებლებთან ბრძოლის დროსაც.

გადარჩენილი იდეიგიდების  
რიცხვი



5.



## V ეკოლოგია

### §40




ადამიანის პოაულაციის ზრდა


- ① არასრულფასოვან კვებაში იგულისხმება არა მხოლოდ მიღებული საკვების რაოდენობა, არამედ მისი ხარისხიც — მასში ცილების, ლიპი-დების, ნახშირწყლებისა და ვიტამინების შემცველობა.



1. A პირამიდა კონგოს მოსახლეობის ასაკობრივ შედგენილობას გა-მოხატავს, B კი გერმანიისას.



2. I მრუდი გამოხატავს მდგომარეობას განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ნაადრევ ასაკში ბავშვები არ იღუპებიან და სიცოცხლის ხანგრძლივობა მაღლალია. III მრუდი კი განვითარებადი ქვეყნების სიტუაციას ასახავს, სადაც ბავშვობის ასაკში მაღლალია სიკვდილიანობა.





საკვები ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ფაქტორია, რომელიც ნებისმიერი პოპულაციის ზრდა-განვითარებას განსაზღვრავს. სამივე შემთხვევაში გაიზარდა საკვები პროდუქტების ხელმისაწვდომობა ადამიანისთვის. ნადირობით ადამიანი ცხოველურ საკვებს მოიპოვებდა, მინის დამუშავებით მცენარეული პროდუქტი მოჰყავდა, ხოლო თანამედროვე ტექნოლოგიებმა მკვეთრად გაზარდეს საკვები პროდუქტების რაოდენობა და მათი ხარისხი.

## V ეკოლოგია

### §41




ბიოგეოეკოლოგი ცრებრუნვა  
ნახშირპადის ციკლი

- 1 ატმოსფეროდან ნახშირპადი ფოტოსინთეზით მცენარეების ორგანულ ნივთიერებებში ჩაერთო. ცხოველის ორგანიზმში ის მცენარეული საკვებით აღმოჩნდა.
- 2 აერობული სუნთქვისას ატმოსფეროში, ნახშირორჟანგის გარდა, წყალიც გამოიყოფა.




1.

ატმოსფეროდან ნახშირორჟანგი ფოტოსინთეზის პროცესში გლუკოზის მოლეკულაში ერთვება. გლუკოზა მცენარეში ცილებად, ლიპიდებად, ნახშირნებებად და სხვა ორგანულ ნივთიერებებად გარდაიქმნება. კვებისას ეს ნივთიერებები ცხოველის ორგანიზმში გადაინაცვლება. მცენარეთა და ცხოველთა ნაშთების ხრწნისას ორგანულ ნივთიერებებში ჩართული ნახშირპადი კვლავ ნახშირორჟანგად გარდაიქმნება.



2.



-  1.  $\text{CO}_2$ ,  $\text{CaCO}_3$ ,  $\text{MgCO}_3$ ,  $\text{NaHCO}_3$ ,  $\text{Na}_2\text{CO}_3$   
 2. ცილები, ნახშირწყლები, ნუკლეინოს მჟავები, ლიპიდები, ორგანული მჟავები, ატფ, ქლოროფილი.  
 3. ბიოგენური სიცოცხლის მბადს ნიშნავს. ეს ტერმინი მიანიშნებს, რომ სასიცოცხლოდ აუცილებელი ელემენტები ცოცხალ ორგანიზმებში არაცოცხალი გარემოდან შედის.  
 4. მარჯნის პოლიპები, მოლუსკების ნიუარები, რადიოლარიები.  
 5. აერობული და ანაერობული სუნთქვის, ტორფის, ქვანახშირის, გაზის წვის.  
 6. ფოტოსინთეზის და ძალიან მცირე რაოდენობით ოკეანის მიერ ნახშირორჟანგის შთანთქმა.
-  1. სწორი პასუხია ა.  
 2. ენერგეტიკულად მდიდარია ა სარეზერვო ფონდი.

## V ეკოლოგია

### §42



#### აზოტის ციკლი

- 1 ეს მარილები ძალიან მაღალი ხსნადობით გამოირჩევა.
- 2 აზოტი მცენარის ორგანიზმში ფესვებიდან ამონიუმის იონის სახით აღწევს.
- 3 იონჯის ყველა ნაწილი ორგანულ აზოტს შეიცავს ცილების, დნმ-ის, რნმ-ის, ატფ-ისა და სხვა ნივთიერებების სახით. მისი ფესვები, სიმბიოტური ბაქტერიების გამო, ორგანულ აზოტთან ერთად არაორგანულ აზოტსაც შეიცავს ამონიუმის ნიტრატის სახით.



1. ამიაკი, შარდოვანა, მცირე რაოდენობით შარდის მუავა.
2. მათ ფესვებზე კოურის ბაქტერიები ცხოვრობენ, რომლებიც ნიადაგს აზოტშემცველი მარილებით ამდიდრებენ.
3. ნიადაგის გაფხვიერებით მასში აერობული პირობები იქმნება, რომელიც ხელსაყრელია აზოტფიქსატორებისა და ნიტრიფიკატორებისთვის და დამთრგუნველად მოქმედებს დენიტრიფიკატორ ბაქტერიებზე, რომლებიც აღარიბებენ ნიადაგს ნიტრატებით.



- 1.
- ა. აკვარიუმის წყალში არიან ნიტრიფიკატორი ბაქტერიები, რომლებსაც ამიაკი ნიტრატში გადაჰყავთ.
- ბ. მცენარეები აკვარიუმის წყლიდან ითვისებენ ნიტრატებს და მას საკვებად იყენებენ.
- გ. ჭარბი საკვების ლპობისას წყალში ამიაკი გამოიყოფა.
- დ. მართალია, ნიტრატი ტოქსიკური ნაერთი არ არის, მაგრამ დიდი რაოდენობით დაგროვებისას მან შეიძლება გაამჟავიანოს წყალი.
- ე. ახლად გამოცვლილი წყლის pH 7-ის ფარგლებში იქნება, დიდი ხნით ნადგომის კი 7-ზე ნაკლები.
2. მეცნიერებმა XIX საუკუნეში არაფერი იცოდნენ ნიტრიფიკატორი ბაქტერიების შესახებ.
3. ატმოსფეროში აზოტის შემცირება ფოტოსინთეზის პროცესს დააბრკოლებს — აზოტი ქლოროფილის შედგენილობაში შედის. დაირღვევა ბალანსი ცოცხალი ორგანიზმების მიერ ატმოსფეროდან შთანთქმული და მათ მიერ გამოთავისუფლებული ნახშირორჟანგის რაოდენობას შორის.

## V ეპოლოგია

### §43



ადამიანი და გარემო  
ატმოსფეროს დაპირებულება

○ 450 გრ.

- 1 დედამიწაზე არსებული ორგანიზმების დიდი უმრავლესობის ფერმენტები ამ ტემპერატურაზე უბრალოდ, ვერ იმუშავებს.
- 2 პროცენტულად ნახშირორჟანგის ძირითადი მომხმარებლები მცენარეები არიან, რომლებიც ნახშირორჟანგს ფოტოსინთეზის პროცესში შთანთქავენ.
- 3 4 ჩვეულებრივი წვიმის წყლის pH ნეიტრალური, ზუსტად 7-ის ტოლი არ არის, რადგან ატმოსფეროში არსებული CO<sub>2</sub> წყალში იხსნება და ნახშირმჟავას წარმოქმნის, რომელიც ამჟავიანებს წვიმის წყალს.



1.

№	ნატრიუმის დისულფატის კონცენტრაცია (%)	გაღივებული თესლების რაოდენობა (20 თესლიდან)	გაღივების პროცენტი
1	0.00	19 19 17 20 18	
2	0.05	18 19 18 19 19	
3	0.10	12 13 14 11 12	
4	0.50	0 1 0 0 1	
5	2.50	0 0 0 0 0	

- გ. 0,5%  
 დ. ასე მკვეთრად არ შევამცირებდი ნატრიუმის დისულფატის კონცენტრაციებს 0,1%-დან 0,5-მდე და შემდეგ 2,5%-მდე.  
 ე. დამოუკიდებლად ცვლადი ნატრიუმის დისულფატის კონცენტრაცია.  
 ვ. დადგინდა, რომ ნატრიუმის დისულფატი დამაბრკოლებლად მოქმედებს თესლის გაღივებასა და აღმოცენებაზე.



- დამაბინძურებელი მუავა პროდუქტები დედამიწას შეიძლება მოევლინოს თოვლის, სეჭყვის, ღრუბლების, ნისლის, მტვრის სახითაც.
- ეს ნიადაგები კირქვითაა ღარიბი.
- დიდი ქალაქების ატმოსფეროში მეტია წყლის ორთქლის, ნახშირორჟანგის, აზოტის ოქსიდის, ქლორფტორორგანული ნივთიერებების კონცენტრაცია, ამიტომ ამ ქალაქებში უფრო თბილა.



- ისინი ტყვიითა და ავტომობილების გამონაბოლქვში არსებული სხვა საშიში ნივთიერებებით არიან დაბინძურებული.
- ტუნდრაში ბევრი ჭაობია, სადაც ანაერობული ბაქტერიები მეთანს გამოჰყოფენ.

# V ეკოლოგია

## §44



ცყლისა და ხელეთის დაპირება

- ① უანგბადი წყალში ორი გზით ხვდება: ჰაერიდან და წყლის ფოტოსინთეტიკურისი ორგანიზმების საშუალებით.
- ② მცენარეული მასის ზრდაზე განსაკუთრებით აზოტოვანი სასუქები მოქმედებს, რადგან ის აუცილებელა ცილის სინთეზისთვის, ცილა კი უჯრედის ყველა ორგანოიდის შედგენილობაში შედის — ის უჯრედს აშენებს.



1. დღტ მდგრადი ქიმიური ნაერთია, რომელიც ორგანიზმში არ იშლება, ამიტომ კვებით ჯაჭვში, ყოველ მომდევნო ზედა დონეზე მისი კონცენტრაცია თანდათან იზრდება. შევარდენი მტაცებელი ფრინველია, ამიტომ მასში დღტ დიდი რაოდენობით დაგროვდებოდა და მისი ტოქსიკური ეფექტი ყველაზე ძლიერად შევარდენში გამოვლინდებოდა. შევარდენის გადაშენებას უდაოდ ისიც შეუწყობდა ხელს, რომ დღტ-ს გავლენით ისინი კვერცხებს დებდენ, რომლებიც ადვილად ზიანდებოდა. ნაადრევად გამოჩეკილი, უდლეური ნაშიერები კი ალბათ, სუსტები იყვნენ და მათი გადარჩენის შანსი ნაკლები იყო.
2. ნიადაგის ტემპერატურის მკვეთრად მომატებისას ნიადაგიდან ჰაერი იდევნება და ნიადაგში უანგბადის რაოდენობა ძალიან კლებულობს. ანაერობულ პირობებში, ერთი მხრივ, ითრგუნებიან ნიტრიფიატორი და ლპობის ბაქტერიები, რომლებიც ნიადაგის ნაყოფიერებას ზრდის, ნიტრატებისა და მინერალური მარილების წარმოქმნის გამო, ხოლო, მეორე მხრივ, აქტიურდებს დენიტრიფიკატორები, რომლებიც მკვეთრად ამცირებს ნიტრატების რაოდენობას ნიადაგში, აღარიბებს მას, ამცირებს ნიადაგის ნაყოფიერებას.
3. ცხელი ჩამდინარე წყლის გავლენით წყალსატევში უანგბადის რაოდენობა მცირდება, რადგან მისი ხსნადობა წყალში მცირდება.
4. ცხელი წყლის გავლენით ორგანიზმში მეტაბოლური პროცესები ძლიერდება, რადგან ტემპერატურის მომატებით ფერმენტული რეაქციების სიჩქარე იზრდება. გაძლიერებული მეტაბოლიზმი მეტ უანგბადს მოითხოვს, თუმცა, წყალსატევში უანგბადი შემცირებულია. ეს სტრესულ პირობებს უქმნის წყლის ბინადართ და ისინი იღუპებიან.



1. იმისთვის, რომ თავიდან აიცილონ სასუქებით წყლის დაბინძურება, სასუქი ნიადაგში შეაქვთ მცენარეების ზრდის პერიოდში. სასუქი ნიადაგში არ შეაქვთ, თუ წვიმაა ნავარაუდევი.
2. ტყეებს მრავალი ეკოლოგიური ფუნქცია აქვს. ისინი არეგულირებენ მდინარეებში წყლის რაოდენობასა და ხარისხს, შთანთქავენ ნახ-შირორჟანგს, ზრდიან ჟანგბადის რაოდენობას. იმ რაიონებში, სადაც ტყე გაიჩეხა, ან ხშირი ღვარცოფებია, ან პირიქით, ნიადაგი გამომ-შრალია.

## V ეკოლოგია

### §45




ადამიანის დაზეპითი მოძმედება გარემოზე  
მავნეპლების პონტიროლი  
ეკოსისტემების მართვა: სათბურები და თევზების მეურნეობა

- 1 ფოთოლი მთავარი ორგანოა, რომელშიც მცენარის საკვები და სამშენებლო ნივთიერებები მზადდება. ცილების დენატურაცია აჩერებს ფოთოლში მეტბოლიზმს, რადგან მას ფერმენტები წარმართავს. ამას გარდა, ცილები მცენარის უჯრედის ერთ-ერთი მთავარი სამშენებლო მასალაა. მათი დენატურაციით ირლვევა უჯრედის სტრუქტურაც. ასე რომ, მაღალი ტემპერატურის ზეგავლენით ველარ ფუნქციონირებს მცენარის მთავარი ორგანო და ის საბოლოოდ იღუპება.
- 2 ასეთი პერბიციდი არ არის ეფექტური საბრძოლო მასალა მრავალწლიანი სარეველა მცენარეების წინააღმდეგ საბრძოლველად, რადგან დაზიანებული მიწისზედა ნაწილების აღდგენა ამ მცენარეებში მიწისქვეშა ნაწილებიდან არის შესაძლებელი.
- 3 ფოტოსინთეზის ინტენსივობაზე გავლენას ახდენს ტემპერატურა, სინათლე, ნახშირორჟანგის კონცენტრაცია, მინერალური მარილები.
- 4 სათბურში ნახშირორჟანგის კონცენტრაცია თითქმის სამჯერ აღემატება ჰაერში მის კონცენტრაციას.
- 5 ქლოროფილი უმეტესად მზის სინათლის წითელ და ლურჯ სხივებს შთანთქავს.



1.



- ა. ბუგრებს ლურჯი მრუდი ეკუთვნის, ჭიამაიებს — მწვანე.
- ბ. ფერმერმა ჭიამაიები ბალში მაშინ შეუშვა, როდესაც ბუგრების რაოდენობა ეკონომიურად ზარალის მომტანი გახდა.
- გ. ბუგრების რაოდენობის შემცირება ჭიამაიების რიცხობრიობის ზრდას ემთხვევა.
- დ. ჭიამაიებს საკვები აკლდება.
- ე. ჭიამაიები ბუგრებს ბოლომდე არ ანადგურებენ. მათ რიცხობრიობას შორის მყარდება დინამიკური წონასწორობა.
- ვ. ჭიამაიები საკვების გარეშე დარჩებიან და დაიღუპებიან.

2.

მავნებლებთან ბრძოლის მეთოდები		
ფიზიკური	ქიმიური	ბიოლოგიური
სარეველების ხელით ამოძირება	სარეველებზე ჰერბიციდებით მოქმედება	სარეველა მცენარეების წინააღმდეგ მწერიჭამია ცხოველების გამოყენება, მავნე მწერების წინააღმდეგ მათი მტრების — პარაზიტებისა და პათოგენების გამოყენება
სარეველების მანქანით ამოძირება	მწერებზე პესტიციდებით მოქმედება	
ნიადაგზე სქელი ქაღალდის გადაფარება		
სარეველებთან ცეცხლის თოფებითა და მანქანით ბრძოლა		



1. სარეველა და კულტურულ მცენარეს შორის კონკურენციაა. სარეველა მცენარე კულტურულ მცენარეს კონკურენციას უწევს სინათლის, საცხოვრებელი სივრცის, წყლის, მიწერალური მარილების მოპოვებაში.

2. აუქსინებს ჰერბიციდული თვისება გააჩნია და მას ორლებნიანი სა-რეველა მცენარეების წინააღმდეგ იყენებენ.



თევზების ხელოვნური საკვები ბუნებრივ საკვებთან შედარებით დიდი რაოდენობით შეიცავს ცილებს, ამიტომ თევზები მისი მიღებისას ინტენ-სიურად იზრდებიან. თუმცა, ის ძალიან ძვირია, ამასთან მისი ჭარბად გა-მოყენების შემთხვევაში, წყალსატევში, შესაძლოა, ინტენსიურად წარი-მართოს ხრწნის პროცესი და მასში უანგბადის რაოდენობა შემცირდეს, რაც თავისთავად შეამცირებს თევზის პროდუქტიულობას.



1. ბიოტური ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია თევზების ბუნებრივი მტრები — მტაცებელი თევზები და ფრინველები, ხოლო აბიოტური ფაქტორებიდან — წყლის შედგენილობა, წყლის ტემპერატურა და მასში უანგბადის რაოდენობა.
2. ბუგრები მცენარეების წვენით იკვებებიან, ამიტომ მათ ორგანიზმში პათოგენური მიკრობები და სოკოები ნაკლებად ხვდებიან.
3. ბელურები მრავალფეროვანი საკვებით იკვებებიან. მათ კვებით რა-ციონში, მწერების გარდა, მარცვლეულიც შედის. უფრო შედეგის მომტანი ისეთი მტაცებელი ფრინველების გამოყენება იქნებოდა, რომლებიც მხოლოდ მწერებზე ნადირობენ და სხვა საკვები არ გააჩ-ნიათ.

## VI ადამიანი და მიკრობრენიზმები

### §46




ინფექციური და არაინფექციური დაავადებები  
აათოგენები — ვირუსები, ბაქტერიები, აროტისტები,  
სოკოები, ზივები

ვიბრიონს მძიმის ფორმის ბაქტერიას უწოდებენ.



- a. ამინოჟავები ცილის სინთეზისთვისაა აუცილებელი. ცილა ახლადნარმოქმნილ უჯრედებს აშენებს. გლუკოზა უჯრედუ-ლი სუნთქვისთვის არის აუცილებელი, რათა უჯრედები ატფ-ით გაძლიერებულად მომარაგდეს. მიტოზისა და ზრდის პროცესში დიდი რაოდენობით ატფ ისარ-ჯება.



ბ.  $25^{\circ}\text{C}$  ოპტიმალურია ბაქტერიალური ფერმენტების მუშაობისთვის. თერმოსტატი ამ ტემპერატურას ინარჩუნებს.



1. ისინი ხშირად ეფერებიან ძალლებსა და კატებს, ამის შემდეგ არ იძანენ ხელებს, პირში იდებენ კვერცხებით დაბინძურებულ სათამაშოებს.
2. ქოლერა და ტოქსოკარა ბუზებით შეიძლება გავრცელდეს.



ქოლერის თავიდან აცილება შეიძლება ხელების ხშირი დაბანით, გადადულებული წყლის სასმელად გამოყენებით, ხილისა და ბოსტნეულის გადადულებული წყლით გარეცხვით.

## VI ადამიანი და მიკრობანიზმები

### §47



დაავადებების პრევენცია

უსაფრთხო ცეკვი

უსაფრთხო საკვები

- 1 ჭურჭლის ფსკერზე დალექილი ნივთიერება ცილაა. მუავა არეში ცილის მოლექულები შეუქცევადად დენატურირდება, მათი მესამეული და მეოთხეული გლობულარული სტრუქტურა იშლება და პირველად, ძაფისებრ სტრუქტურაში გადადის.



მარილი ჰიპერტონულ გარემოს ქმნის, რის გამოც წყალი ბაქტერიის უჯრედიდან გარეთ გამოდის და მისი მეტაბოლიზმი წყდება. ხახვი ფიტონციდებს შეიცავს, რომლებიც ბაქტერიების გამრავლებას თოვენავს. ძმარი მუავა არეს ქმნის, რომელიც არახელსაყრელია ბაქტერიების ფერმენტების მუშაობისთვის.



1.
  - ა. მურაბების ხარშვისას, მაღალ ტემპერატურაზე ბაქტერიები იღუპებიან, გარდა ამისა, შაქარი ჰიპერტონულ გარემოს ქმნის, წყალი ბაქტერიის უჯრედიდან გარეთ გამოდის და მისი მეტაბოლიზმი წყდება.
  - ბ. იმ შემთხვევაში, თუ მურაბაში ნაკლები შაქარია და მან ჰიპერტონული გარემო ვერ წარმოქმნა, მაშინ მას მიკრობი საკვებად გამოიყენებს და კარგად გამრავლდება.
  - გ. სპირტი ბაქტერიის მემბრანების დესტრუქციას იწვევს, რადგან მასში კარგად იხსნება ლიპიდები და ბაქტერიები იღუპება.



- ფიზიკური მეთოდია — ფილტრაცია, კოაგულაცია; ქლორირება, ფტორირება — ქიმიური; აერობული ბაქტერიების გამოყენება ორგანული ნივთიერებების გარდასაქმნელად — ბიოლოგიური.
- ზოგიერთი კონსერვანტი, მაგალითად, ნიტრატი დიდი კონცენტრაციებით საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისთვის. ის საჭმლის მომნელებელ ორგანოებში ნიტრიტად გარდაიქმნება, რომელიც ჰემოგლობინის რეკინას უანგავს. ამის შედეგად ორგანოები უანგბადით ვეღარ მარაგდება.



- დეპიდრატირებული საკვები მსუბუქია.
- მისგან სხვადასხვა კერძის მომზადება ადვილია.
- ის უსაფრთხოა მიკრობების შემცველობის თვალსაზრისით.

## VII ადამიანი და მიკროორგანიზმები

### §48




ანტისეულები და იმუნური პასუხი  
იმუნოლოგის გამოყენება

- ვაქცინა პრეპარატია, რომელიც დამზადებულია დასუსტებული ან მკვდარი მიკრობებისგან, ან მათი შსამიანობადაკარგული ტოქსინებისგან. ვაქცინის შეყვანისას ორგანიზმი მათ საწინააღმდეგო ანტისეულების გამომუშავებას იწყებს და ორგანიზმს დაავადების მიმართ იმუნიტეტი გამოუმუშავდება.
- მონო ერთს ნიშნავს, კლონი — ერთნაირს. ამ ტერმინით იმის ხაზგასმა სურთ, რომ ანტისეულებს ერთი სახის უჯრედები ამზადებს, რომლებიც გამუდმებით იყოფა.




1.





1.

- ა. 0 ჯგუფის სისხლი, რადგან მისი ერითროციტები არ შეიცავს აგლუ-ტინოგენებს.
- ბ. AB ჯგუფის სისხლი, რადგან ისინი შეიცავენ ორი სახის აგლუტინო-გენებს.
- გ. მათ პლაზმაში არ გააჩნიათ აგლუტინინები.
- დ. AB ჯგუფი მიეკუთვნება IV ჯგუფის სისხლს, რომელიც უნივერსალუ-რი რეციპიენტია.
- ე. 0 ჯგუფი იგივე I ჯგუფის სისხლია. ის უნივერსალური დონორია.



2. ვაქცინა მხოლოდ ვირუსის ცილოვან გარსს შეიცავს, და არა ვირუსს მთლიანად, ამიტომ მას დაავადების გამოწვევა არ შეუძლია.
3. ახლო ნათესავების დნმ-ის მოლეკულები ერთმანეთს ჰგავს, ამიტომ ისინი მსგავსი ცილების სინთეზში მონაწილეობს. თავის მსგავს ცი-ლებს კი ორგანიზმის იმუნური სისტემა მტრად არ მიიჩნევს.
4. ამ სიტუაციაში უკეთესია შრატის შეყვანა, რადგან თუ პაციენტი ინ-ფიცირებულია, მზა ანტისხეულების შეყვანა უკეთეს შედეგს მოგვ-ცემს.

1.



რეციპიენტი	დონორი			
	A	B	AB	0
A b				
B a				
AB არ შეიცავს აგლუტინინებს				
0 a b				

- ეს ფერმენტი ერთოციტების მემბრანას აგლუტინოგენს აცილებს. ამით **B** ჯგუფის სისხლი 0 ჯგუფის სისხლად გადაიქცევა, რომლის ერთოციტების მემბრანები არ შეიცავს აგლუტინოგენებს და ამიტომ სისხლის გადასხმებისას ხშირად გამოიყენება.
- ანტისხეულები ცილებია. ცილების უნიკალურობას ამინომჟავების რაობა, მათი რაოდენობა და თანმიმდევრობა განსაზღვრავს. 20 ამინომჟავიდან მიღიონზე მეტი სხვადასხვა ცილის აგებაა შესაძლებელი.

## VI ადამიანი და მიკრობრგანიზმები

### §49




ინდივიდუალური და საერთო დაცვა დაავადებებისგან  
მძიმე ინფექციური დაავადებები: შიდს-0 და ტუპერკულოზი  
დაავადებების პრევენცია  
შიდს-ისა და ტუპერკულოზის გავრცელება მსოფლიოსა და  
საქართველოში

- ① აივ-ვირუსის რნმ-ის მოლეკულაში ჩანერილია ინფორმაცია მისი ცილების სტრუქტურის შესახებ.
- ② აივ-ით დასწებოვნების შანსი ძალიან მაღალია სისხლის გადასხმის დროს.



1.


- აივ-ინფიცირებულთა მცირე რიცხვით გამოირჩევა სვანეთი, რაჭა-ლეჩეუმი, მცხეთა-თიანეთი.



- ბ. ამის მიზეზი შეიძლება იყოს მოსახლეობის მცირე რიცხვი, მოსახლეობის ასაკი. (ამ რაიონებში ახალგაზრდობა ნაკლებადაა), მოსახლეობის ნაკლები მიგრაცია და კონტაქტები სხვა ქვეყნებთან.

2.

- ა. აივ-ინფიცირებლთა რიცხვი საქართველოში განუხრელად იზრდება.




- ბ. პიკური სიტუაცია აივ-ინფექციის გავრცელების თვალსაზრისით 2010 წელსაა.
- გ. აფრიკის ქვეყნებში შიდს-ის გავრცელება შემცირდა. საქართველოში აივ-ის გავრცელების ევროპის მსგავსი დინამიკა.
- დ. მოსახლეობამ მეტი უნდა იცოდეს აივ-ვირუსის მოქმედების სპეციფიკის, მისი გავრცელებისა და მისგან თავდაცვის საშუალებების შესახებ:
- საჭიროა ერთჯერადი სამედიცინო ინსტრუმენტები და სასტერილიზაციო საშუალებებით სამედიცინო დაწესებულებების უზრუნველყოფა.
  - კონტროლის დაწესება სხვადასხვა სახის სალონებზე, სადაც მაღალია აივ-ით დასწებოვნების რისკი.
  - პროპაგანდა ნარკოტიკების საწინააღმდეგოდ.
1. კოცნისას აივ-ვირუსით დასწებოვნების ძალიან პატარა შანსი არსებობს იმ შემთხვევაში, თუ პირის ლორნოვანი გარსი ორივე ადამიანს აქვს დაზიანებული.
  2. ძმად გაფიცვისას ადამიანები თითებს ხანჯლით იჭრიდნენ და ერთ-



მანეთს „სისხლს უცვლიდნენ“ — ჭრილობებით ეხებოდნენ ერთმანეთს.

- შიდს-ს ადამიანი ებრძვის:



ინდივიდუალურ დონეზე:

- უარს ამბობს ნარკოტიკების გამოყენებაზე;
- არ იყენებს სხვის შპრიცს, თუ თავს ვერ ანებებს ნარკოტიკს;
- ხმარობს პრეზერვატივს;
- ფრთხილია სექსუალური პარტნიორის შერჩევისას.

საზოგადოებრივ დონეზე:

- კონტროლს აწესებს ისეთ სალონებზე, სადაც აივ-ვირუსის გავრცელების შანსი დიდია.
- უზრუნველყოფს სამედიცინო დაწესებულებებს ერთჯერადი სამედიცინო ინსტრუმენტებითა და სადეზინფექციო საშუალებებით.
- ატარებს შემეცნებით ღონისძიებებს და ზრდის მოსახლეობის ინფორმაციის დონეს აივ-ვირუსთან დაკავშირებით.

მსოფლიო დონეზე:

- ფინანსურად უწყობს ხელს სამეცნიერო დაწესებულებების შიდს-ის სამკურნალო ახალი პრეპარატების შექმნასა და შიდს-თან ბრძოლის ახალი სტრატეგიების გამომუშავებაში.

- როგორც ჩანს, აივ-ვირუსს მოზრდილი ადამიანის ორგანიზმში კუჭის წვენის მაღალი მუავიანობა კლავს. ახალშობილის კუჭში მარილმუავას ნაკლები რაოდენობაა და ამიტომ მისი მუავიანობა დაბალია.

# VI ადამიანი და მიკროორგანიზაციები

## §50



სასარგებლო მიკროორგანიზაციები  
სპონსორის გამოყენება პურის ცხობასა და ყველის წარმოებაში  
ანტიპიოტიკები  
პაპტერიების როლი ღვინის წარმოებაში. ფერმენტების  
მიღება გენერიკული მიღების პაპტერიებიდან

- 1 სპირტული დუღილის პროცესში ატფ გამოიყოფა, რომელიც სოკოს უჯრედებს ენერგიით ამარავებს.
- 2 შაქარი ცომის აფუების პროცესს აჩქარებს, რადგან ის უფრო სწრაფად გარდაიქმნება სპირტად და ნახშირორჟანგად, ვიდრე ფქვილის სახამებელი.
- 3 სვეტი ლაქტაზას შეიცავს.



1. მაჭარში დაღვინების პროცესი დამთავრებული არ არის — ყურძნის წვენის გლუკოზა მთლიანად სპირტად არ გარდაქმნილა. ამიტომ ის ტკბილიცაა და გვათრობს კიდეც, რადგან გარკვეული რაოდენობით სპირტსაც შეიცავს.
2. პენიცილინი ბაქტერიის უჯრედების კედლის წარმოქმნას უშლის ხელს. ადამიანის უჯრედებს კედელი არ აქვს, ამიტომ ის ახალი უჯრედების წარმოქმნას ხელს ვერ შეუშლის.



1. ვირუსს უჯრედის კედელი არ გააჩნია, ამიტომ პენიცილინი მის გამრავლებას ხელს ვერ შეუშლის.
2. წყლის გაცხელებაზე ნაკლები ელექტროენერგია იხარჯება, ამასთან მაღალ ტემპერატურაზე ტანსაცმლის ქსოვილების სტრუქტურა არ უარესდება.

## ინფორმაცია მასშიანებლისათვის

### აივ ეპიდემიის ისტორია

აივ-ის წარმოშობის შესახებ მეცნიერებს სხვადასხვა ვერსიები გააჩნიათ, მაგრამ არც ერთი არ არის დამტკიცებული. აივ-ით გამოწვეული ეპიდემია უეცრად და მოულოდნელად თავს დაატყვა კაცობრიობას და სულ უფრო მეტი და მეტი ადამიანის სიცოცხლე მიაქვს თან, ვრცელდება ყველა კონტინენტზე და თითქმის ყველა სახელმწიფოში. შიდს-ის შემთხვევა პირველად დარეგისტრირდა ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიერ 1981 წელს. ახალი დაავადება, ჩვეულებრივ, ვლინდებოდა მძიმე ფორმის პნევმონიით (ფილტვების ანთებით), ლიმფური სადინარების სიმსივნით (კაპოშის სარკომა), იმუნური სისტემის მკვეთრი დაქვეითებით. ვინაიდან იმუნური სისტემის უცნობი დარღვევის პირველი შემთხვევები ჰქონის კომოსექსუალ მამაკაცებში აღინიშნებოდა, ექიმებმა თავიდან ამ დაავადებას „გეი-ასოცირებული იმუნოდეფიციტი“ უწოდეს.

1982 წლიდან აშშ-ს დაავადებათა კონტროლის ცენტრმა დაავადებათა რეესტრში შეიტანა ახალი დაავადება — შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი (შიდსი); ხოლო 1983 წელს, თითქმის ერთდროულად, საფრანგეთსა და აშშ-ში აღმოჩენილ იქნა დაავადების გამომწვევი ვირუსი, რომელსაც 1987 წლიდან თანამედროვე დასახელება — ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ) აქვს.

აივ მიეკუთვნება „ნელ ვირუსებს“, რომელთათვისაც დამახასიათებელია ნელი განვითარება და ინვეს ქრონიკულ ინფექციებს. ისინი ჩაინერგება მასპინძელი უჯრედის გენეტიკურ აპარატში (ქრომოსომაში), რაც საშუალებას აძლევს, დიდი ხნის განმავლობაში იარსებოს და გამრავლდეს. შესაბამისად, ნელი ვირუსი შეიძლებოდა ასულობით და ათასობით წლის განმავლობაში ყოფილიყო ადამიანების მცირე ჯგუფში და ახლა გვგონია, რომ დაავადება ახალია.

თავის დროზე, პლუტარქებმ დაავადებათა წარმოშობის შესახებ ორი ჰიპოთეზა წამოაყენა; პირველი: დაავადება ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ექიმებმა ვერ მოახერხეს მისი ამოცნობა; მეორე: ახალი დაავადებები სხვა ქვეყნებიდან ან კოსმოსიდან შემოვიდა. შეიძლება ამას დავამატოთ ის, რომ დაავადება ყოველთვის იყო, მაგრამ შევნიშნეთ მაშინ, როცა გავრცელდა ან კიდევ, დაავადება ცხოველებში იყო და ადამიანს არ ჰქონდა.

შესაძლოა, ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი ყოველთვის არსებობდა და მისი სათავე ადამიანებისა და მაიმუნების საერთო წინაპარში ან ძუძუმწოვართა საერთო წინაპარშიც კი ვეძებოთ. მაშინ გასაგებია, რატომ ნახულობენ აივ-ის მსგავს ვირუსებს კატებში, ცხვრებში, ცხენებსა და ხარებში. ადამიანისა და მაიმუნის ვირუსები ძალიან ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ მაიმუნის ვირუსი ადამიანს არ გადაედება. ამავე დროს, ადამიანი ერთადერთი პრიმატია, რომლსაც ერთდროულად აივ 1 და აივ 2 ვირუსი შეიძლება ჰქონდეს. ამას გარდა, სამხრეთ ამერიკაში გამოჰყვეს აივ 3. ეს ვირუსები განსხვავდება ერთმანეთისგან და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არსებობს ერთმანეთისგან დამოუკიდებელი 2 ან 3 ეპიდემია სხვადასხვა ვირუსით სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონაში.

აივ ეპიდემიის მიზეზი შეიძლება იყოს ვირუსის მუტაცია, რის შედეგადაც ის უფრო პათოგენური გახდა, ანდა ჩვენს პლანეტაზე არსებული სოციალური ცვლილებები — მოსახლეობის მიგრაციის გაძლიერება, მოგზაურობა, ნარკოტიკების

გავრცელება, სექსუალური რევოლუცია, ინექციებისა და სისხლის გადასხმის ფართო გამოყენება და ა.შ.

- გამომწვევის მახსიათებლები

ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი იღუპება  $56^{\circ}\text{C}$ -ზე  $30$  წუთში,  $78^{\circ}\text{C}$ -ზე –  $10$  წუთში, ინაქტივირდება  $70\%-იანი$  ეთილის სპირტით, აცეტონით,  $0,2\%-იანი$  ნატრიუმის ჰიპოქლორიდით. ამავე დროს, გამომშრალი სახით  $4\text{-}6$  დღე ცოცხლობს  $22^{\circ}\text{C}$ -ზე და უფრო დაბალ ტემპერატურაზე კიდევ უფრო დიდხანს.

აივ დიამეტრში შეადგენს  $1/10000$  მმ-ს. ვირუსი მიეკუთვნება რეტროვირუსების (ე.წ. „ნელი ვირუსების“) კლასს, რომლებიც შეიცავს რიბონუკლეინის მჟავასაგან (რნმ) შემდგარ გენებს.

რეტროვირუსებს შეუძლია რეპროდუქცია მხოლოდ ცოცხალი უჯრედის — „მასპინძლის“ შიგნით იმიტომ, რომ ისინი მხოლოდ რნმ-ს შეიცავენ და არ შეიცავენ დნმს. რეტროვირუსი უჯრედი-მასპინძლის შიგნით საკუთარ რნმ-ს იყენებს მატრიცის სახით ვირუსული რნმ-ს გამოსამუშავებლად (პროვირუსი).

ინფექციური პროცესი იწყებს განვითარებას, როცა აივ უჯახება უჯრედს, რომელსაც შეუძლია მიუერთდეს. ვირუსული ნაწილაკი იყენებს სპეციალურ ცილას იმისთვის, რომ მიუერთდეს უჯრედის მემბრანას, ხოლო შემდეგ შედის უჯრედის შიგნით.

უჯრედის შიგნით ვირუსის ნაწილაკი გამოჰყოფს თავის რნმ-ს და უჯრედშიდა ფერმენტები გარდაქმნის ვირუსულ რნმ-ს დნმ-ად. ეს ახალი აივ-დნმ გადაადგილდება უჯრედის ბირთვში და განთავსდება უჯრედი-მასპინძლის დნმ-ში. როცა აივ-დნმ უკვე უჯრედის ბირთვშია, მას პროვირუსი ეწოდება. აივ-პროვირუსი რეპროდუციორდება უჯრედი-მასპინძლის მიერ. შედეგად, ნარმოიქმნება ახალი ვირუსები, რომლებიც „გამოდის“ ამ უჯრედიდან და უერთდება შემდეგს, ჯერ კიდევ არაინფიცირებულ უჯრედს და ამგვარად იმეორებს რეპლიკაციისა და ორგანიზმში ვირუსის კონცენტრაციის ზრდის პროცესს.

აივ ინფექცია ნელა პროგრესირებადი ინფექციური დაავადებაა. მას იწვევს ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ). ვირუსი, ადამიანის ორგანიზმში შექრის შემდეგ, აზიანებს ორგანიზმის იმუნურ (დამცველ) სისტემას და მწყობრიდან გამოჰყავს იგი, რის შედეგადაც ინფიცირებულ პირს ადვილად უჩნდება სხვადასხვა ინფექციური ან სიმსივნური დაავადება. აივ ინფექცია გადამდებია ინფიცირების მომენტიდან სიცოცხლის ბოლომდე. ინფიცირებულისგან ვირუსი შესაძლოა, გადაეცეს სხვა პირებს მაშინაც კი, როდესაც ინფიცირებულს გამოხატული არა აქვს დაავადების რაიმე ნიშანი. ინფიცირებიდან 2-3 თვის მანძილზე, შეიძლება თავი იჩინოს მცირე პრობლემებმა, როგორიცაა: ფალარათი, ცხელება, ყელის, თავის, კუნთებისა და სახსრების ტკივილი, ლიმფური კვანძების გადიდება. ყველა ეს ნიშანი 2-3 კვირაში მკურნალობის გარეშეც ქრება და ამიტომ ადამიანმა შეიძლება ეჭვიც არ მიიტანოს აივ ინფექციაზე.

შემდეგ იწყება მცირე სიმპტომების ფაზა. ამ დროს ადამიანი გარეგნულად ჯანმრთელად გამოიყენება. იგი ჩვეულებრივ რიტმში აგრძელებს ცხოვრებას, შეიძლება არ ჰქონდეს არავითარი ჩივილები და დაავადების ნიშნები, თუმცა, ზოგჯერ ადგილი აქვს წონაში კლებას, ზოგად სისუსტეს, ღამის ოფლიანობას, ლიმფური კვანძების გადიდებას ორ ან მეტ ადგილზე (საზარდული, ილლია) ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ამას მოჰყვება გამოხატული სიმპტომების ფაზა, როდესაც ადამიანის იმუნური სისტემის მნიშვნელოვანი დაზიანების შედეგად, თავს იჩენს ოპორტუნისტული

დაავადებები. ეს არის დაავადებები, რომელთა გამომწვევი ბაქტერია, ვირუსი თუ სოკო, ჩვეულებრივ, შეიძლება ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმშიც ბინადრობდეს და არ იწვევდეს პათოლოგიას, იმუნიტეტის დაქვეითების შემთხვევაში კი, როგორც წესი, ძალიან მძიმედ მიმდინარეობს, ცუდად ექვემდებარება მკურნალობას და სიკვდილით მთავრდება.

შიდს დაავადების ბოლო სტადიაა. შიდს-ის განვითარება იწყება მას შემდეგ, რაც აივ დააზიანებს იმუნური სისტემის ერთ-ერთი ძირითადი უჯრედების, ლიმფო-ციტების მნიშვნელოვან რაოდენობას. ყოველივე ამის შედეგად ვითარდება იმუნო-დეფიციტი – მდგომარეობა, როდესაც იმუნური სისტემა იმდენად დათრგუნულია, რომ იგი ვეღარ იცავს ორგანიზმს სხვადასხვა ინფექციური თუ სიმსივნური დაავადებისაგან. ამ დროს შეიძლება განვითარდეს ფილტვის, თავის ტვინის, საჭმლის მომნელებელი სისტემის და სხვა ორგანოების ინფექციური დაავადებები და სიმ-სივნეები, რომლებიც აღარ ექვემდებარება მკურნალობას.

ზოგიერთ ავადმყოფში აღინიშნება ე.წ. განლევის სინდრომი, რომლისათვისაც დამახასიათებელია წონის მნიშვნელოვანი კლება, კერძოდ სხეულის მასის 10% და მეტი.

## აივ ინფექციის გადაცემის გზები

აივ ადამიანის ორგანიზმში მხოლოდ სამი გზით ხვდება:

1. აივ-ინფიცირებულ ადამიანთან დაუცველი სქესობრივი კონტაქტის დროს (სქესობრივი გზით გადამდები სხვა ინფექციების არსებობა ზრდის აივ-ით დაინფიცირების რისკს);

2. აივ-ინფიცირებული ადამიანის სისხლის მოხვედრის გზით ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმში (ეს შეიძლება მოხდეს აივ-ინფიცირებული დონორების სისხლის ან სისხლის შემცველების გადასხმით; არასტერილური სამედიცინო ხელსაწყოების გამოყენებით, რომლებზედაც შეიძლება დარჩენილი იყოს ინფიცირებული ადამიანის სისხლის ნაწილაკები. გადაცემის ეს გზა ყველაზე მეტად გავრცელებულია ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა შორის, რომლებიც საზიარო შპრიცს იყენებენ);

3. აივ-ინფიცირებული დედიდან შვილზე (ეს შეიძლება მოხდეს როგორც ორსულობის დროს, ასევე მშობიარობის პროცესში და ძუძუთი კვების დროს).

აივ ინფექციის წყაროს წარმოადგენს ადამიანი – ვირუსმტარებელი ან შიდსით დაავადებული. ვირუსი ყველაზე მაღალი კონცენტრაციით არის სისხლში, სპერმაში და საშოს გამონადენში. სხვადასხვა კონტაქტების დროს დასნებოვნების საშიშროება განსხვავებულია. ნებისმიერ შემთხვევაში, აივ-ით ინფიცირება შესაძლებელია მხოლოდ ჯანმრთელი ადამიანის კონტაქტით დაინფიცირებულ ბიოლოგიურ სითხე-ებთან – სისხლთან, სპერმასთან, საშოს გამონადენთან, ქსოვილებთან და ორგანოებთან.

ვირუსის გადაცემის ალბათობა:

- ინფიცირებული სისხლისა და მისი პროდუქტების გადასხმა – დაახლოებით 90%-მდე.
  - დედიდან შვილზე – დაახლოებით 30%.
  - ნარკოტიკების ინექციური მოხმარება – დაახლოებით 30%.
  - ერთჯერადი დაუცველი ვაგინალური სქესობრივი აქტი – დაახლოებით 0,1%.

- ერთ დაუცველი ანალური სქესობრივი აქტი – დაახლოებით 0,1%.

• სამედიცინო დახმარების მიღების დროს კანისა და ლორწოვანი გარსების საფარის მთლიანობის დარღვევით – დაახლოებით 0,3% აივ-ინფიცირების რისკი იზრდება სქესობრივი პარტნიორების რაოდენობის ზრდის დროს. ვირუსის არსებობის ალბათობა უფრო მაღალია იმ პირებში, ვისაც აქვს სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები, რომლებიც ინვევს ურეთრისა და სასქესო გზების სხვა ნაწილების ან-თებით პროცესებს.

ქირურგიული და სხვა ინვაზიური (შეღწევადი) ჩარევების შედეგად ინფიცირება ძალზე იშვიათად ხდება და ეს გზა განხილული უნდა იქნას სხვა, უფრო მნიშვნელოვანი რისკების ფონზე, რომლებსაც ადგილი აქვს ინვაზიური სამკურნალო მანიპულაციების დროს.

გახსოვდეთ! ვირუსი არ გადაეცემა მწერების კბენით! ვირუსი იღუპება სისხლისმნიველი მწერის სხეულში, რადგან არსებობა მხოლოდ ადამიანის ორგანიზმში შეუძლია.

სამი პერიოდი არსებობს, რომელთა დროსაც შესაძლებელია, რომ ინფიცირებულმა დედამ ვირუსი გადასცეს შვილს:

- ნაყოფის მუცლადყოფნის პერიოდში;
- მშობიარობის დროს;
- დაბადების შემდეგ (ძუძუთი კვების დროს).

მუცლადყოფნის პერიოდში ინფიცირების ბევრი გზა არსებობს, თუმცა ჯერჯერობით ვერ ხერხდება იმის ზუსტად დადგენა, თუ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში როგორ ხდება პლაცენტარული ბარიერის გადაღახვა. პლაცენტის შიგნით დედისა და ნაყოფის სისხლის მიმოქცევის მჭიდრო კონტაქტი ხშირად განაპირობებს მცირე სისხლდენებს ან სხვა უმნიშვნელო დეფექტებს, რის შედეგადაც დედის სისხლი აღნევს ბარიერს და ინვევს ინფიცირებას.

მშობიარობის ტრავმული პროცესის დროს ხშირია დედისა და ბავშვის ქსოვილების მცირე დაზიანებები და ხდება სისხლის შერევა. შემდგომში, სამშობიარო გზების გავლის დროს, ბავშვს შესაძლებლობა აქვს, შეისუნთქოს ან გადაყლაპოს აივ-ის შემცველი დედის ბიოლოგიური სითხეები ან გამონადენი.

რაც უფრო მეტ ხანს რჩება ბავშვი საშვილოსნოში პლაცენტის მთლიანობის დარღვევის შემდეგ, მით მეტია დაინფიცირების რისკი.

სწორედ ამ ხანმოკლე პერიოდში, მშობიარობის დროს, უმრავლეს შემთხვევებში ხდება პერინატალური ინფიცირება. ბავშვების უმრავლესობას, ვინც ამ გზით ინფიცირდება, დაბადების დროს აივ-ის ანალიზზე უარყოფითი შედეგი აქვს, მაგრამ ინფიცირებიდან დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ მათი ტესტირების შედეგი დადებითი ხდება.

ძუძუთი კვება დედიდან შვილზე ინფექციის გადაცემის მესამე გზაა. ადამიანის რძე შეიცავს როგორც თავისუფალ ვირუსს, ასევე ინფიცირებულ უჯრედებსაც. ამგვარად, სანამ აივ პოზიტიური დედა ბავშვს ძუძუს აწოვებს, არსებობს ვირუსის გადაცემის რისკი. აივ პოზიტიურ დედებს ურჩევენ, არ აწოვონ ძუძუ და ბავშვი ხელოვნურ კვებაზე ჰყავდეთ.

ვირუსის სისხლის გზით გადაცემის შემცირებაზე მიმართული ღონისძიებები:

- დონორის სისხლის აუცილებელი ტესტირება.
- სისხლის პრეპარატების სპეციალური დამუშავება.
- ვირუსის პერინატალური გადაცემის პროფილაქტიკა.



## სტიგმა

სტიგმა (ბერძნ. სტიგმა – ნაჩხვლეტი, ლაქა) ჩვენამდე შორეული წარსულიდან მოვიდა. ეს სიტყვა წარმოიშვა ანტიკურ საბერძნეთში, სადაც მონებსა და დამნაშავეებს გახურებული შანთით დამღას ადებდნენ მათი სტატუსის აღსანიშნავად.

სტიგმა განიხილება, როგორც ძლიერი სოციალური იარღიყი, რომელიც ამ იარღიყის მქონე ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს ირგვლივმყოფების თვალში მნიშვნელოვან დისკრედიტაციას უკეთებს.

სტიგმა შეიძლება დავუკავშიროთ ადამიანის ისეთ მახასიათებლებს, როგორიც არის კანის ფერი, ქცევები, წარმომავლობა და ა.შ. ცალკეულ კულტურაში გარკვეული ნიშნები აღიქმება, როგორც მადისკრედიტირებელი ან არალირსეული. ამიტომ, სტიგმატიზაცია უფრო პიროვნების გაუფასურების, დევალვაციის პროცესს ასახავს, ვიდრე მის ჭეშმარიტ არსებას.

აივ-თან დაკავშირებული სტიგმის აღმოცენება მოულოდნელი არ ყოფილა. იგი დაფუძნებულია ადამიანთა ცნობიერებაში ღრმად ფესვგადგმულ ისეთ შიშებზე, რომლებიც წარსულში არსებობდა, მაგალითად, კეთრის, ქოლერის ან შავი ჭირის მიმართ. ეს სტიგმა ვითარდება არსებული ნეგატიური წარმოდგენების ნიადაგზე. ხშირად ფიქრობენ, რომ აივ-ინფიცირებულმა დაიმსახურა ის, რაც მას დაემართა, საკუთარი საქციელის გამო. ასეთი „ცუდი ქცევა“ დაკავშირებულია სექსთან ან საზოგადოებისათვის მიუღებელ ქცევასთან, მაგ., ნარკოტიკების მოხმარებასთან. ითვლება, რომ აივ-პოზიტიური მამაკაცები – ეს მხოლოდ ჰომოსექსუალები, ბისექსუალები ანდა ის კაცები არიან, ვინც მეძავების მომსახურებით სარგებლობენ; ხოლო აივ-ინფიცირებულ ქალებს საეჭვო სქესობრივი კონტაქტები ჰქონდათ ან სექს-ბიზნესის წარმომადგენლები არიან. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ შიდსის წარმოდგენა, როგორც „ქალების დაავადების“, „მავების დაავადების“, „გე-ბის შავი ჭირის“ და ა.შ., ასევე ქმნის სტიგმას და აძლიერებს ამ სტერეოტიპებსა და წარმოდგენებს.

ზოგიერთი აფრიკელი და აზიელი ლიდერის აზრით, შიდსი დასავლეთის დაავადებად ითვლებოდა, მაშინ, როცა დასავლეთში შიდსი აფრიკასთან ასოცირდებოდა.

ამავე დროს, აშკარაა თვითსტიგმატიზაციის, ე.ნ. შინაგანი სტიგმის, ანუ სირცხვილის გრძნობა, რომელსაც განიცდიან თავად ინფიცირებულები, ეჯახებიან რა საზოგადოების მხრიდან ნეგატიურ რეაქციას.

თვითსტიგმატიზაცია კი ინვევს დეპრესიას, საკუთარ თავში ჩაკეტვას, არასრულფასოვნების განცდას, რაც ძალას ართმევს ადამიანს და ბრალეულობის გრძნობას უჩენს.

აივ-თან დაკავშირებული სტიგმა აღმოცენდება სირცხვილისა და შიშის მძლავრი კავშირის ნიადაგზე – სირცხვილის იმიტომ, რომ შიდსის გავრცელების ძირითად გზებად სექსი და ნარკოტიკების მოხმარება ითვლება; და შიშის იმიტომ, რომ შიდსი შედარებით ახალი დაავადებაა და ითვლება სასიკვდილოდ. გაკიცხვა, სირცხვილი და შიში შიდსის ეპიდემიას იატაკევეშეთში დევნის, რაც ინფექციის გავრცელებას იდეალურ პირობებს უქმნის.

სტიგმის, როგორც მოვლენის განსაზღვრა მრავალგვარად შეიძლება, მაგრამ ყოველთვის, როცა სტიგმაზე ვსაუბრობთ, უნდა გამოვყოთ სტიგმის დამახასიათებელი სამი ძირითადი ნიშანი:

1. ხაზი ესმება ადამიანებს შორის განსხვავებას და ეს განსხვავება ითვლება მნიშვნელოვნად. ჩვეულებრივ, ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ ამ განსხვავებათა უმრავლესობას პრინციპულ მნიშვნელობას არ ანიჭებენ (თვალის ფერი, პასპორტის ნომერი, თმის სიგრძე და ა.შ.). მაგრამ თუკი ადამიანების სტიგმატიზაცია ხდება, მათი განმასხვავებელი ნიშნები აღიქმება, როგორც სოციალურად მნიშვნელოვანი (კანის ფერი, აივ სტატუსი) და ამ განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით ადამიანებს ჰყოფენ ურთიერთსაწინააღმდეგო კატეგორიებად („თეთრები“ და „შავები“, „ბრმები“ და „მხედველები“, „აივ-დადებითები“ და „აივ-უარყოფითები“).

2. განმასხვავებელი ნიშნების მქონე ადამიანებს უარყოფით თვისებებს მიაწერენ. ჩვენთვის დამახასიათებელია სტერეოტიპული აზროვნება. ჩვენი სტერეოტიპული შეხედულებები სხვა ადამიანებზე უმრავლეს შემთხვევაში არასწორია, მაგრამ ისინი შეიძლება ნეიტრალურ ან დადებით ხასიათს ატარებდნენ. მაგალითად: „ყველა ქალი ზრუნავს საკუთარ შვილებზე“, „ქართველები ემოციურები ვართ“.

მაგრამ, როდესაც საუბარია სტიგმაზე, სტერეოტიპები ყოველთვის ნეგატიურია: „აივ-დადებითი ადამიანი საშიშია“, „აივ-ინფიცირებულები შეგნებულად ას-ნებოვნებენ სხვებს“, „შიდს-ით ავადდებიან ამორალური საქციელის გამო“ და ა.შ. ანუ იმ ადამიანებს, რომელთაც მხოლოდ ერთი ნიშანი აერთიანებს (სისხლში აივ-ის არსებობა), მიაწერენ ისეთ ნეგატიურ თვისებებს, რომლებსაც ვირუსთან არანაირი კავშირი არ აქვს: სხვებისთვის საფრთხის შემცველი; სურვილი, ზიანი მიაყენოს ადამიანებს; ამორალური ქცევა და ა.შ.

3. ადამიანებს ყოფენ ორ ჯგუფად: „ჩვენ“ და „ისინი“. სტიგმატიზაციის პროცესში ვაზროვნებთ კატეგორიებით: „ჩვენ“ და „ისინი“. ასეთი დაყოფა გვაძლევს საშუალებას, ვიფიქროთ, რომ „ისინი“ არ არიან ისეთები, როგორებიც „ჩვენ“ ვართ. ეს დამოკიდებულება ხშირად შეიმჩნევა ჩვენს გამოთქმებში.

მაგალითად, არავინ ამბობს „გრიპით ინფიცირებული“, რადგან ადამიანი, რომელსაც გრიპი აქვს, ერთ-ერთი „ჩვენთაგანია“. ამავე დროს, ხშირად ვამბობთ: „აივ-ინფიცირებული“, რითაც ამ ადამიანის მთელი ინდივიდუალობა მის ინფექციამდე დაგვყავს. აივ დადებითი სტატუსის მქონე ადამიანების სტიგმატიზაციას ხელს უწყობს მთელი რიგი ფაქტორებისა:

1. აივ ინფექცია/შიდს-ი არის დაავადება, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს;

2. აივ ინფექცია გადამდებია და ჯერ კიდევ საზოგადოებაში დაბალია მისი გავრცელებისა და პროფილაქტიკის გზების შესახებ ინფორმირებულობის დონე;

3. აივ ინფექცია ასოცირებულია ისედაც სტიგმატიზებულ ჯგუფებთან, როგორიცაა: ნარკოტიკების მომხმარებლები, მეძავები, ჰომოსექსუალები.

დისკრიმინაცია — (ლათ. დისკრიმინატიო — განსხვავება) — არის ადამიანთა გარეული ჯგუფის ნევრთა უფლებების დაკინიება რომელიმე ნიშნის მიხედვით (ეროვნული, რასობრივი, გენდერული, აღმსარებლობის, სექსუალური ორიენტაციის, დაავადების და ა.შ.).

სტიგმის და დისკრიმინაციის გამო:

- ადამიანები უარს ამბობენ ტესტირებაზე;
- ცდილობენ დამალონ საკუთარი აივ სტატუსი;
- უარს ამბობენ მკურნალობაზე და პროფილაქტიკურ პროგრამებში მონაწილეობაზე.

ეს იწვევს ინფიცირებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას და

ზრდის აივ ეპიდემიის გავრცელების რისკს.

საბოლოო ჯამში, სტიგმა და დისკრიმინაცია ხელს უწყობს ეპიდემიის გავრცელებას.

საშიშია არა დაავადება, არამედ ადამიანების დამოკიდებულება დაავადებულების მიმართ. როცა არსებობს დისკრიმინაცია, უფრო ხელსაყრელია, არ იცოდე საკუთარი აივ-სტატუსი. რა გასაკვირია, რომ დიაგნოზის გამხელა ბევრისათვის უფრო საშიშია, ვიდრე თავად ვირუსი: დაავადება რამდენიმე წლის შემდეგ გამოვლინდება, ხოლო აივ-სტატუსის გამუღავნება დაუყოვნებლივ და შეუქცევად შედეგებს მოიტანს.

რა სოციალურ-ფსიქოლოგიურ პრობლემებს ეჯახება აივ ინფიცირებული ადამიანი?

დღეს აივ-ინფექცია აღარ ითვლება სასიკვდილო დაავადებად, თანამედროვე სამკურნალო საშუალებების ფონზე, ეს არის ქრონიკული მართვადი დაავადება, თუმცა საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპები აივ ინფექციის დიაგნოზს მაინც სასიკვდილო განაჩენად აღიქვამს. ამიტომ აივ ინფექციის დიაგნოზზე პირველი რეაქცია შეიძლება საკმაოდ მძიმე იყოს — შოკი, გალიზიანება, შიში, დაბნეულობა. ამ დროს ადამიანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური მხარდაჭერა.

აივ ინფექციის დიაგნოზმა შეიძლება ოჯახის წევრები და მეგობრები შეაკავშიროს. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში ახლობლები გაურბიან ან ხელს ჰკრავენ აივ-ინფიცირებულ ადამიანს.

აივ-ინფექციის დიაგნოზის სტიგმატიზაცია აძნელებს გადაწყვეტილების მიღებას იმის შესახებ, ვის უნდა ეცნობოს დიაგნოზი. ავადმყოფმა ადამიანმა შეიძლება გადაწყვიტოს, არ უთხრას თავისი დაავადების შესახებ სხვებს ან აწოდებს მათ არაზუსტ ან არასრულ ინფორმაციას (მაგ., უფრო იტყვის, რომ კიბოთია დაავადებული, ან ჰეპატიტით, მაგრამ არა შიდს-ით).

მძიმე დაავადების არსებობა არსებით ზეგავლენას ახდენს პაციენტის სხვა ადამიანებთან ურთიერთობაზე და მის აქტივობაზე. ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ავტონომიურობის, თვითკონტროლისა და მომავლის პერსპექტივის დაკარგვის განცდა. აივ/შიდს-მა შეიძლება სერიოზულად დაარღვიოს ჩვეული ოჯახური და ცხოვრებისეული რიტმი; ზოგიერთი აივ ინფიცირებული იმდენად დაშინებულია საკუთარი მდგომარეობით, ცდილობს, თავიდან აიცილოს ფიზიკური კონტაქტი ოჯახის წევრებთან ან მეგობრებთან იმის შიშით, რომ აივ ინფექცია არ გადასდოს.

სტიგმისა და დისკრიმინაციის გამო, აივ ინფიცირებულებს უარს ეუბნებიან სამსახურზე, სამედიცინო მომსახურებაზე, ჩნდება ფინანსური პრობლემები.

როგორც წესი, სტიგმა ვრცელდება ინფიცირებულთა ოჯახის წევრებზეც. ისინი, ხშირად, ისეთივე სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემების წინაშე დგებიან, როგორც თავად ინფიცირებული. აივ ინფექცია აზიანებს საზოგადოების ახალგაზრდა, შრომისუნარიან ნაწილს. ინფექციის გავრცელება მოითხოვს მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯების ზრდას ქვეყანაში.

სტიგმა ხელს უწყობს არაჯანსაღი ურთიერთობების და შეხედულებების გავრცელებას, ზოგჯერ აგრესიას ინფიცირებულების მიმართ. ამასთან ერთად, სტიგმა ხელს უშლის საზოგადოებაში აივ ინფექციის შესახებ სწორი ინფორმაციის გავრცელებას, რადგან ითვლება, რომ ეს პრობლემა ეხება მხოლოდ ადამიანთა გარკვეულ ჯგუფებს. შედეგად, ადამიანები არ იცავენ უსაფრთხო ქცევის წესებს და რისკის ქვეშ აყენებენ საკუთარ ჯანმრთელობას.



საგამომცემლო სახლი „ტრიასი“  
თბილისი, რობაქიძის გამზირი 7.  
ტელ.: +995 32 2 51 52 06; +995 32 2 14 52 52.  
+995 32 2 14 99 77; +995 0 570 50 12 89;  
მობ.: +995 599 55 56 59; +995 79 49 77 99  
[www.triasi.ge](http://www.triasi.ge)  
Email: [infotriasi@gmail.com](mailto:infotriasi@gmail.com)



ՄԻՆԻСԵՆԻ

Սահմանադրության սահմանադրություն և սոցալական հարաբերությունների նախարարություն